

# ლიტერატურული მესხეთი

№8 (176)  
აგვისტო  
2013 წელი  
ფასი 40 თეთრი

გამოცემის მეთვთამეცხე წელი

“LITERATURULI MESKHETI”

“ЛИТЕРАТУРУЛИ МЕСХЕТИ”

## წმიდა მარიამ ღვთისმშობლის საგალობელი

„წმიდა მარიამ ღვთისმშობლის საგალობელი“ XIX ს-ის ბოლოს ქ. ახალციხეში, 95 წლის სპირიტუალმა ხელმძღვანელმა ჩაუწერია ანდრია მრინაძეს. იგი სტამბოლში გადასახლებულა და იქ კი მღვდელ შალვა შარდიაძის გადაუწერია მისგან. მღვდელ შ. შარდიაძის ეს ძვირფასი საგალობელი შეუნახავს მონასტრის არქივში, საიდანაც სტამბოლის ექსპედიციის დროს პროფ. შუბანა ფუხჩარაძის გადმოუწერია. იხეივება პირველად.

ამოსული ხარ ყვავილად, წმიდაო ყოვლის სოფლისა,  
ბაღა ხარ აყვავებული, მოსაწონარი უფლისა...  
გაბრიელის ხარებითა მოგვევლინა ძალი ღვთისა,  
იესო ქრისტეს დედა ხარ, ქალი ზეციურ მამისა.

ემანუელ შენგნით იშვა, მიზეზი ჩვენი დახსნისა,  
ვარდი ხარ აყვავებული, მოსაწონარი უფლისა...  
ზიხარ მუდამ შენს ძესთანა, მეოხე ცოდვილებისა,  
პასრათი ვარ მე ცოდვილი, მუდამ შენი წყალობისა,

თვალი შენი ჩვენზედ იყოს, შიში არა გექონდეს მტრისა,  
მისი ძუძუ დაილოცოს, რომ ანუა ქრისტეს პირსა...  
კურთხეული ხარ, მარიამ, დედოფალი ხარ ზეცისა,  
ლაზარე ხარ, მშვენიერი, საკვირველო სამოთხისა.

მარიამ მიმადლებულო, სიტყვა გაქვს ანგელოზისა,  
ნეტარი ხარ მარიამო, მუდამ ყოვლისა გვარისა,  
დედოფალი ხარ დედაო, იმედო ჩვენი ხვალისა...  
ისმინე ვედრება ჩვენი, ქალწულო ჩვენი გულისა...

მწარე ცრემლები იხილე სამშობლო დაკარგულისა...  
ორნი გზანი მიგვანია, ნუ გვარგუნებ მწარე დღესა...  
ბილწსა ეშმაკსა ნუ მიგვცემ, შეგვავედრე მაცხოვარსა,  
ჩვენაც გულით ვიგალობებთ დიდი დედის სახსოვარსა...

ჟამი ისმის დალოცვისა, რომ შეიქმენ დედა ღვთისა,  
მოგვეც ძალი და შენგნა ქართულ ენით ლექსის თქმისა...  
რასა ღირს ვარ, რომ შენ გაქო, თუკი შენ არ მომცემ შნოსა,  
შენი მადლით ამ ზამთარმა, ვერ მოგვეკლას,  
ვერ დაგვაზროსა...

სანთელი ხარ ანთებული, გამნათებელი ბნელისა,  
ტურფა რამე ფრინველი ხარ, მიმზავსებული მტრედისა...  
უმეწოდ არ შემოძლია ხილვა წმიდა სამოთხისა,  
ბაღა ხარ აყვავებული, ელვარება ზურმუხტ ქვისა...

ქვეყნისა ანგელოზი ხარ, ვარსკვლავი ხარ ცისკარისა...  
ღრუბელი ხარ უმძიმარი, წვიმა შეიდი მამისა,  
სილამაზე ხარ მზიანი აისის და დაისისა...  
ისმინე ჩემი ვედრება, ერთგულ უფლისა მონისა,

სინათლის სხივი გვაჩუქე, ისმინე ქვეყნის გლოვისა...  
ცამ, ქვეყანამ გაიხარა, იესოს ქრისტეს შობისა,



ქე ღვთისა ქვეყნად მობრძანდა,  
დახსნად ადამის ტომისა  
დილ-დილით ლოცვებს გავედრებთ მესხეთის  
ფეხზე დგომისა,

მოგვეც ძალი და შენგნა სურვილი ერთად ყოფნისა...  
მიეც სინათლე, დედაო, მინას გულგაუყოფელსა,  
წყალობის კალთა გვაფინე, მშვიდობა მიეც სოფელ-  
სა,  
დედის წყალობა სინათლეს  
დაჩაგრულ გულებს მოჰფენსა...

მარიამ, ტკბილო დედაო, სხივო ღვთიურ ნათელისა,  
შენა ხარ ჩვენი ნუგეში, მუსლიმანი ქართველისაც,  
მესხეთის გულის ყვავილო, ტაოსი და კლარჯეთისაც,  
თვალის ჩინი ხარ დედაო,  
ფოცხოვის და ჩილდირისაც...

სილამაზე ხარ უჭკნობი ცისკრისა და ჩვილ დილისა.  
უფლის დედა ხარ ნეტარი, ვინ არი შენი სადარი,  
მარიამ, ჩვენი დედაც ხარ, მშობელი დედის ბადალი,  
ჩვენი გალობაც ისმინე, მხურვალე ლოცვის სადარი...

სამოთხის ია შენა ხარ, არვინ არი შენი მსგავსი,  
გულიდამ შემოგვაძარცვე ცოდვისა  
და ბოღმის ხავისა...

ხე ცხოვრებისა იწოდე, ხანი გაქვს უკვდავებისა,  
მადლობას გწირავთ გულისა,  
შენზედ გალობა გვეღირსა...

მხურვალე გული მოგვეცი, მხურვალეც ვიყოთ ლოც-  
ვისა,  
გვადირსე დიდო დედაო, მადლი მეორედ მოსვლისა,  
შენს სადიდებლად მოგვეცი,  
ნიჭი ჭეშმარიტ მგოსნისა...  
პასრათობა ამისრულე, ქალწულო ჩვენი გულისა,

ისმინე ჩვენი ვედრება სამშობლო დაკარგულისა!  
დედის უბეში გვამყოფე, ხელი გვაშორე მტერისა...  
ისმინე, დიდო დედაო, ვედრება ჩვენი ერისა...  
გვამყოფე გამგრძელბელი მამა-პაპათა წესისა,

ჰოი, რა ტკბილი დედა ხარ, შენი დიდება გვეღირსა!

## ლიტერატურული კონკურსი



გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქცია აცხადებს კონკურსს პოეზიაში.

საკონკურსო მასალები მიიღება დევიზით: ერთი კონკურსით იგზავნება საკონკურსო მასალა და დევიზი, მეორე კონკურსით – ავტორის გვარი, სახელი, მისამართი, საკონტაქტო ტელ.

ლეფონი, ლექსების ჩამონათვალი და დევიზი (კონკურსზე უნდა მიეთითოს დევიზი და სახელწოდება „კონკურსისათვის“; დაუშვებელია ავტორის ვინაობის დაფიქსირება).

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოსა და უცხოეთში მცხოვრებ ყველა მოქალაქეს, გარდა გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ თანამშრომლებისა და სარედაქციო საბჭოს წევრებისა.

დაწესებულია პრემიები:  
პირველი პრემია – 1000 ლარი – ასპინძის მუნიციპალიტეტის გამგეობისაგან;

მეორე პრემია – 500 ლარი – ა(ი)პ სამცხე-ჯავახეთის სასწავლო უნივერსიტეტისაგან;

ორი მესამე პრემია 400-400

ლარი – სს სადაზღვევო კომპანია აღდაგი ბისიასა და ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მორფოლოგიის ინსტიტუტისაგან;

დაწესებულია აგრეთვე პრემიები რელიგიურ თემატიკაზე:

პირველი პრემია – 500 ლარი – საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტისაგან;

მეორე პრემია – 400 ლარი – სადაზღვევო კომპანია აღდაგი ბისიასაგან;

გამარჯვებულებს პრემიები გადაეცემათ 2013 წლის ოქტომბერში, ვარძიაში – „პოეზიის სახალხო დღესასწაულზე“ – შოთაობაზე.

საკონკურსო ლექსები უნდა გამოგზავნოს მხოლოდ დაბეჭდილი ფორმით. ხელნაწერი არ მიიღება. მეორე ნომინაციაში მონაწილეებმა კონკურსზე მიუთითონ: „რელიგიური თემატიკა“.

კონკურსში გამარჯვებული ლექსები გამოქვეყნდება გაზეთ „ლიტერატურული მესხეთში“.

საკონკურსოდ უნდა გამოიგზავნოს არაუმეტეს ხუთი გამოუქვეყნებელი ლექსი მიმდინარე წლის 1 ოქტომბრამდე შეამდებ მისამართზე: 0500, ასპინძის რაიონი, დაბა ასპინძა, თამარის ქუჩა №3

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქცია. ტელ. 599979524

შუშანა ფუტყარაძე



მოდგმის ბუნებას. ქართველთა ეროვნული სახე საუკუნეთა განმავლობაში ჩამოაქანდაკა, გამოკვეთა სწორედ ქრისტიანულმა სარწმუნოებამ. ჩვენს ერს დაანათლა სტუმართმოყვარეობა, კაცთმოყვარეობა, მაცხოვრის სახარების იდეების შესაბამისი კეთილშობილური თვისებები, რომლებიც საუკუნეთა სანახებში განმტკიცდა ქართველთა შეგნებაში და თაობიდან თაობას გადამოეცა ჯანსაღი ტრადიციების სახით. ქრისტიანობა ქართველთათვის იქცა ეროვნულ სარწმუნოებად. სწორედ ამიტომ ძნელი იყო ქართული სულის გატყევა, გადასხვაფერება, გადაგვარება.

წინავე ოსტატების მიერ, რომლებიც უფლის ჭეშმარიტად მოსიყვარულნი იყვნენ. ოპიზრები, მტბევერები, ომკელები, ხახულარები, ანჩელები, ხანძთელები... უპირველესად მაცხოვრის სულიერი შვილები იყვნენ. უფლის მაღლი, ღვთისმშობლის ნათელი უნათებდა მეცნიერებისკენ მიმავალ გზას, ვარსკვლავებისკენ მიმართულ მზერას, დიდ მწერალსა და ასტროლოგს ხიხანელ ტბელ აბუსერისძეს. ამ დიდი ნინაპრების შთაგონების წყარო უპირველესად იყო ღვთის სიყვარული, განცხადებული მამულის, ენის, მშობლის, სატრფოს, მოყვასის ტრფალიში. ათასეული წლები გამოუვლია უძველეს ქართულ ანდაზას: „რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია!“

თამარ მეფის ხსოვნა, პატივისცემა და მოკრძალება ქრისტიანული ტაძრებისადმი, სიყვარული მშობლიური ენისადმი. ექვთიმე თაყაიშვილი დასახელებულ ნაშრომში აღნიშნავს, რომ „ქობულეთში, აჭარაში და იმერხევეში მამადაიანობამ ფეხი ვერ მოიფარა მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისამდე. არც ოსმალთა პოლიტიკური უფელთა ყოფილა აქ განმტკიცებული. ზოგ სხვა ადგილებშიც დიდხანს დარჩნენ ქრისტიანები ხან ფარულად, ხან აშკარად. მაგალითად, გიორგი ყაზბეგმა 1874 წელს პარხლის მიდამოებში იპოვა ხუთი კომლი აშკარად ამილიარებული ქრისტიანობისა და მათი მღვდელი, გვარად ლებრაძე. სოფელ ხევეციასა და არმენხევის მცხოვრებნი, სულ 80 კომლი, ფარული ქრისტიანები იყვნენ. უკანასკნელი მსოფლიო ომის დროს, როდესაც რუსის ჯარმა დაიკავა ჭოროხის ბასეინი, მთელმა ამ სოფლის მოსახლეობამ აშკარად აღიარა თავისი ქრისტიანული რწმენა და დიდ სიხარულს განიცდიდნენ. ჩვენმა 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიციის წევრებმა დ. შვეარდნაძემ და ი.ზ.დანევიჩმა ინახულეს იგინი და ჰქონდათ საუბარი მრევლის მოწოდების შესახებ; ჩვენს საკათალიკოსო საბჭოს უნდა გაეგზავნა მათთვის მღვდელი, რომ ფრონტი არ მოშლილიყო და რუსის ჯარს არ მიეტოვებინა ეს მხარე“ (4, 217).

# ტაო-კლარჯეთის ქართველთა სულიერების ბალავარი

სამშობლოს უერთგულესი შვილის დიდი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, წმიდა ღვთის კაცად შერაცხული ექვთიმე თაყაიშვილის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის სარბიელი ვრცელი იყო. მრავალმხრივი და მრავალფეროვანია მისი შემოქმედება. სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებულს არ ასვენებდა ქართველი ერის ცხოვრებაში ნამოჭრილი საჭირობოროტო საკითხები; მისი ფიქრი და ოცნება მამულზე ზრუნვაში იხატებოდა. გულსიყური გამახვილებული ჰქონდა დედის კალთაში ახლად დაბრუნებული – ტაო-კლარჯეთის მიმართ. თითქოს გრძნობდა, რომ მოსასწრები იყო იქ ბევრი რამის გაკეთება. ამიტომაც შეძლო თხუთმეტი წლის მანძილზე სამი ექსპედიციის მოწყობა არტაანში, კოლაში, ოლთისში, ტაოში; შთამომავლობას საშვილიშვილო ნამოღვაწარი დაუტოვა საპატრონებლად, დღენიდაც საგალდებულო საზრუნავად, სამომავლო იმედად.

დაუფინყარია ჩილდირის ტბასთან, თეთრ ციხესთან 1578 წელს გამართული ბრძოლის შემზარავი სურათები. ქართველთა მტერი ჩვენი ერის ფიზიკურ შესაძლებლობებს ხშირად ასჯერ და ათასჯერ აღემატებოდა ხოლმე. „რა ერთსა გცემდნენ ათასნი, ეგრეცა მოგვრევიან“, – ბრძანებს რუსთაველი. ამიტომაც მარცხდებოდა ზოგჯერ ჩვენი ხალხი. გზადგაზა ასე დაეკარგეთ ჩვენი ისტორიული სამშობლოს უღამაზესი მხარეები, ჩვენი ტაო-კლარჯეთი.

მოძღვრებამ, მის დასაცავად განხორციელებულმა თავგანწირულმა ბრძოლამ შეადუღა ქართველი ერი, გამოანათო ქართული სული ყველგან, ყველა ქართველში, მათ შორის ტაოშიც. ეს სულიერება ისე ჩაინერგა ქართველთა გენეტიკაში, ჯიშში, ქართველთა თესლში, რომ ჭამთა ცვლის შედეგად ქართველთა ისტორიული სამშობლოს ზოგიერთ მხარეში გაჩენილმა საჯარო სხვადასხვაობამ ქართველთა ეროვნული შეგნება, ქართული ცნობიერება დიდად ვეღარ დააზარალა. დიდი ექვთიმე ამას გრძნობდა სწორედ ისტორიულ ტაოში.

ზაენა თორთუმში, მაგრამ იგი იძულებული გახდა გზიდან დაბრუნებულიყო, ვინაიდან ამ დროს რუსის ჯარმა მიატოვა ფრონტი და თურქებმა ხელახლა დაიჭირეს მათ მიერ დატოლილი ადგილები (5,3). ექვთიმე თაყაიშვილის ცნობით, ტაოს მოსახლეობას ჯერ კიდევ ჰქონდა სახლებში შენახული ძველი საეკლესიო წიგნები და ზოგიერთი ქრისტიანული ადათ-წესების შესრულებას კიდევ ახერხებდნენ. იგი წერდა: „ყურბან-ბაირამობის დროს (მუსულმანთა აღდგომას) აზნადებენ შეღებილ კვერცხებს და მიაქვთ ეკლესიის ნანგრევებში. ამას აღნიშნავს ე.ევიდნაბაშვიც ბანის ტაძრის შესახებ, რომელიც მან ინახულა 1879 წელს“ (4, 217).

წმ. ექვთიმეს მიერ მოწყობილი ექსპედიციები, მართალია, ძირითადად არქეოლოგიური ხასიათისა იყო, მაგრამ მკითხველი ამ დიდი მამულიშვილის ნაშრომებიდან როდი ეცნობა მხოლოდ საკვლევი რეგიონის არქეოლოგიურ მონაცემებს. დიდი მეცნიერის ნაფიქრ-ნაზრევში კარგად ჩანს სამნახევარი საუკუნის მანძილზე დედის კალთას ჩამოცილებული მხარის ქართული მოსახლეობის სულის მოძრაობა, მათი წინაპრების სულთა გამოძახილი, რომელიც აქაურთა რწმენა-წარმოდგენებშია ჩანსულ-ჩაგვირისტებული და სამომავლო იმედდაცა ქცეული.

ურიცხვ მტერთა გარემოცვაში მოქცეული ტაო-კლარჯეთის დამოუკიდებლობისა და თავისუფლების შენარჩუნება ქართველთაგან მსხვერპლს მოითხოვდა. ვინ მოსთვლის ერისა და სჯულის დასაცავად განწირულ ჩვენს დიდებულ წინაპრებს, წმინდა ზვარაკად შეწირულ ნამებულთა სახელებს. აღნიშნულ საკითხებზე საინტერესოდ მსჯელობენ ქართველი ემიგრანტი მწერლები – ალექსანდრე მანველიშვილი, გიორგი კერესელიძე და მინდია ლაშაური. მკითხველს მივანდობთ რამდენიმე ამონარიდს მათი ნაშრომებიდან: „ქართველი ერის ისტორიაში ათასობით ნამებულნი, ქრისტიანობის საბაბით, იყვნენ მსხვერპლნი მამულის თავისუფლებისათვის ბრძოლისა“ (1, 31).

1555 წლიდან (ოსმალეთის საზღვრებში მოქცევიდან) 1907 წლამდე (ექვთიმეს ექსპედიციამდე), 352 წელი იყო გასული. მაგრამ ისტორიულ ტაოში ქართველებს ჯერ კიდევ მტკიცედ ჰქონდათ შენარჩუნებული ქართველობის შეგნება, ქართული ცნობიერება. ისინი სიხარულით ხვდებოდნენ საქართველოდან მობრძანებულ სტუმრებს და, შეძლებისდაგვარად, ეხმარებოდნენ კიდევ; ექსპედიციის ხელმძღვანელს მოუთხოვრებდნენ თავიანთი მხარის წარსულის შესახებ ჯერ კიდევ შემონახულ ლეგენდებს, ისტორიულ ამბებს. ამ მხრივ საინტერესო ცნობებს ვპოულობთ ექვთიმეს ნაშრომში „არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და სოფელ ჩანგლში 1907 წელს“. არქეოლოგიური ხასიათის ნაშრომში გვხვდება ე.წ. „ლირიკული გადახვევები“. მკითხველი გრძნობს, რომ ექვთიმე არქეოლოგიურ გათხრებს აწარმოებდა არა მხოლოდ ტაოს ძირძველ მიწაზე, არამედ აქაურ ქართველთა – ფანასკერტელთა, ბანელთა, კავკასიძეთა, ჭიმჭიმელთა. შთამომავლების სულშიც ეძებდა დიდებული წარსულის ანარეკლს; იგი თითქოს აქაურთა სულსაც თხრობდა და სულის სიღრმეში მკითხველის დასარწმუნებლად ამოაქვს ბავალო ოქროზე უძვირფასესი ქართული ცნობიერება, რომელიც დაფუძნებულია წმინდა მარიამ ღვთისმშობლისა და დიდი თამარ მეფის სახელებზე. ქრისტეს მოძღვრებაზე. ტაოელი რომ მაშინ ქართველობდა, ეს სულის გამძლეობის, შეუდრეკლობის, სიმტკიცის ნიშანი იყო, ნაწრთობი ქრისტეს მოძღვრებით, ნანანავები ღვთისმშობლის კალთით, ნასაზრდოები ქართული ენით.

ისტორიული ტაოს ქართული მოსახლეობის ხსოვნა შემონახული ჰქონდა დიდი სიყვარული წმინდა მარიამ ღვთისმშობლისადმი. ხახულის ტაძარი წმ. მარიამ ღვთისმშობლის სახელობისაა. ამიტომაც დიდი ყოფილა მოკრძალება და პატივისცემა ამ ტაძრისადმი 1907 წელს და ასევე დღესაც. ექვთიმე წერდა: „ხახულში, მონასტრის კარის ბჭეში, აღმოსავლეთის კედელში, ღვთისმშობლის სურათია გამოქანდაკებული, რომელსაც მკვიდრნი „მარიამს“ უწოდებენ. მუსულმანი ქალები ამ ქანდაკებასთან მოდიან თამამად, ალაპყრობენ ხელებს და სიხოვერ შვილიერებს: ვისაც რძე აკლია, რძის მომძებრებს; ვისაც ავადმყოფი ჰყავს, მის მორჩენას და სხვას, ვისაც რა აწუხებს. მარიამი დიდად სწამთ არათუ დედაკაცებს, არამედ მამაკაცებსაც. მათი რწმენით, მარიამი არავის შეარჩენს ტაძრის შეურაცხყოფას და ხელის ხლებას“ (4, 218).

წმ. ექვთიმე გზადგაზა, ადგილ-ადგილ ამოწმებდა ტაოელ ქართველებში შემონახულ ქართული ენის გამძლეობისა და სიმტკიცის ხარისხსაც, აქაურთა სულში დაბუდებულ სახარებისეულ მაღლსაც. ასეთი საინტერესო ცნობებით იგი დღევანდელ მკვლევარებს ერთგვარად აგულიანებს კიდევ და მის მიერ გაკვალული გზით სიარულისაკენ მოუწოდებს.

„ზექვეყნიური იდეალი ქრისტესი ფარი იყო თავისუფლებისათვის მებრძოლი საქართველოსა“ (2, 11). „ქრისტიანობა კოსმოპოლიტური მოძღვრებიდან ეროვნულ სარწმუნოებად გადაიქცა საქართველოში. ქრისტიანობისა და ეროვნების გაიგივება არსად არ მომხდარა, გარდა საქართველოსა. ამ ეროვნული შეგნების ანარეკლი იყო თამარის ეპოქის კლასიკური საქართველო, შექმნილი ბაგრატიონთა ჯადოსნური ხელით“ (3, 29–30). „საქართველოში ქრისტიანობა იქცა ეროვნულ სარწმუნოებად და დაეფუძნა ქვაკუთხედად მთელი ერის ისტორიას. ის გახდა მთავარი საყრდენი საქართველოს კულტურული განვითარებისა, სულიერი და ზნეობრივი ამაღლებისა, სოციალური გაჯანსაღებისა და ეროვნული იდეის განმტკიცებისა. შეიძლება ითქვას, რომ არც ერთი ერის ისტორიაში სარწმუნოებას და, ეგრძოდ, ქრისტიანობას, ისეთი დავალებით როლი არ უთამაშია, როგორც მოხდა ეს საქართველოში. საქართველოს 15 საუკუნის ისტორიიდან რომ ქრისტიანობა გამოვიტყუოთ, დარჩება ისეთი სიცარიელე, რომლის ამოვსებას ჩვენ ვერ მოვახერხებთ ვერც ერთი სხვა მდგომარეობის წარმოდგენით. ქრისტიანობა იქცა ერის ცხოვრების ქსოვილად, რომელზედაც ამოიქარგა მისი კულტურულ-შემოქმედებითი ყოფა“ (1, 27).

მათლავა, საუკუნეთა სრბოლაში ნაგროვები ქართველი ერის სულიერი და მატერიალური კულტურის შედეგები შექმნილია სიტყვის, ფუნჯისა თუ საქრთელის იმ შესა-

რუსულად დანერგულ ბროშურას – „ხახულის მონასტერი“, რომელიც ბათუმშია დაბეჭდილი 1918 წელს. პირველი მსოფლიო ომის დროს, როცა რუსეთის ჯარმა ეს მხარე დაიკავა, პორუჩიკი ნ.შუგუროვი დანიშნეს ხახულის კომენდანტად. ექვთიმე ასე ახასიათებდა მას: „პორუჩიკი შუგუროვი მეტად პატიოსანი, სათნო და ღვთისნიერი ადამიანია. როდესაც მან პირველად ხახულის ეკლესია ნახა, გაოცებული დარჩა მისი ლამაზი სტილით, მშვენიერი დაცვით და მკვიდრთა ამ ძველისადმი კარგის განწყობილებით“ (იქვე). შუგუროვს 1917 წლის ივლისში თბილისის თავადაზნაურთა საკრებულოში მოხსენება ნაუკითხავს ხახულის მონასტრის შესახებ. მას შეუკრებია ლეგენდები წმინდა მარიამის სიძლიერის შესახებ. „საერთოდ, იქაური მამადაიანები ძალიან პატივსაცემენ ხახულის ტაძარს და მათ ბევრი თქმულებაც აქვთ მის შესახებ. მაგალითად, შუგუროვი შემდეგს მოგვითხრობს: ერთხელ ერთი მარჯვე და ღმერთი ყმაწვილი, რომელსაც გაეგონა, რომ ხახულის გუმბათში ჯვართან თითქოს დამალული იყოს დიდალი საუნჯე, ამგვარადა გუმბათზე... ასვლით კი ასულა, მაგრამ

ხელცარიელი ჩამორუნელები, შინ მისვლის-თანავე ჩამჯდარი იატაკზე და სული განუტე-  
ვებია. „მარიაშა დასაჯა თავზედობისთი-  
საო“, – დასძინა თურმე ამ ამბის მომთხრობ-  
მა მაჰმადიანმა“ (5, 63).

წმინდა მარიამ ღვთისმშობლის შესახებ  
ხაზულელებს ექვთიმესათვისაც უამბნიათ  
ბევრი რამ. იგი წერს: „ჩვენ გვიამბეს, რომ  
ყურბან-ბაირამის დღეს, თურმე, ქალებს შე-  
ღებელი კვერცხები მოაქვთ „მარიამთან“ და  
სანთელსაც უნთებენ მას“ (იქვე).

6. შუგუროვი ძალიან უკმაყოფილო ყოფი-  
ლა ზოგიერთი რუსი ჯარისკაცის თავხედური  
ქცევის გამო. ხახულის ღვთისმშობლის მუხ-  
ლზევითი ბარელიეფის სახე დაუზიანებიათ  
რუსი ჯარისკაცებს ხიშტის წვერებით. ექვთი-  
მე წერს: „ხახულის ყოფილი კომენდანტი შუ-  
გუროვი, გვიმონებებს რუსის სალდათებისა და  
პრაპორშჩიკების ბარბაროსობას, რომელთაც  
მიანერს ხახულის ღვთისმშობლის ქანდაკე-  
ბის სახის გაფუჭებას და დასძენს: „განა ესენი  
არ იყვნენ, იშხნის ტაძარში მიზანში სროლა  
რომ ასტეხესო?“ (იქვე). როგორც ჩანს, გა-  
უნათლებელ, ურწმუნო ჯარისკაცებს ეგო-  
ნათ, რომ ოსმალების ყოფილ ტერიტორიაზე  
არსებული ქართული და სომხური ტაძრები  
„თათრული ეკლესიები“ იყო და ამ სალოცა-  
ვების შეურაცხყოფა დასაშვებად მიიჩნდათ.

წმინდა მარიამ ღვთისმშობლის სასწაულ-  
თმოქმედების შესახებ ექვთიმეს თქმულებე-  
ბი სხვაგანაც ჩაუწერია. იგი წერს: „ზოგ სხვა  
ადგილებშიაც დიდი მოკრძალება აქვთ ეკ-

ბი და ყარაფაფხებში. ერთ ასეთ სოფელში –  
ბობისგერში, მას მოუხმენია ასეთი თქმულე-  
ბა: „ბობისგერის ეკლესია შემკული ყოფილა  
წმინდანთა ფიგურებით. ერთ ქვაზე გამოქან-  
დაკებული ყოფილა იოანე ნათლისმცემელი  
თუ წმინდა ნიკოლოზი. ამ ქვაზე თურმე დიდად  
პატივს სცემდნენ სომხები და ბერძნები. მას  
უნთებდნენ სანთლებს და ლოცულობდნენ  
მის წინაშე. ერთხელ ერთ ქურთს ეს ქვა ეკლე-  
სიიდან გაუტანია. მაგრამ სიზმარი უნახავს:  
თუ ქვას არ დააბრუნებ თავის ადგილზე, ამ  
დღეებში მოკვდები. შემწებელ ქურთს ეს  
ქვა ეკლესიაში დაუბრუნებია მაშინვე“.

1907 წელს, ზაფხულში, როცა არქეოლო-  
გიური ექსპედიციის წევრები იკვლევდნენ ის-  
ტორიული ტაოს მნიშვნელოვან მხარეს – ოლ-  
თისის მიდამოებს, ბევრ ადგილას ჯერ კიდევ  
კარგად იყო შემონახული ეკლესია-მონასტ-  
რები. მათ შორის აღსანიშნავია: სოლომონი-  
სის ორი ეკლესია (სულ მოხატული ყოფილა  
ფრესკებით), კალკოსის, ორთულის, პატარა  
ვანქის (ამ ეკლესიაში ქრისტიანები წელიწად-  
ში ორჯერ მოდიან-ღვთისმშობლის მიძინე-  
ბის დღეს და აღდგომის შემდეგ), ბარდუსის  
ხეობის, კოპის (ჩუქურთმებით შემკობილი),  
პერტუსის, ლექსორის, ოლთისის ციხის, ფარ-  
ნაკის, ტაოსკარის, სომეხანქის, კინეპოსის,  
ანზავის (ეკლესიის კედლები მოხატული ყო-  
ფილა), ჩანგლის (ჩუქურთმითანი, მოხატული)...  
წმინდა ღვთის კაცი, დიდი ექვთიმე თავაიშ-  
ვილი საყურადღებო, განსაკუთრებულ დამო-  
კიდებულებას ამჟღავნებს მუსულმანი ქარ-

ნ. შუგუროვის სიტყვებში: „სამი წლის განმავ-  
ლობაში ჩემი ფრონტზე ყოფნისა მე კარგად  
დავუკვირდი ნამდვილ თურქებს; მაგრამ  
ხახულის თურქების სახეებში, ნამეტნავად  
ახალგაზრდებისა, აშკარად შევნიშნე ნამდვი-  
ლი ქართული სახეები. მეტად თავისებურია  
დიდრონი შავი თვალები და ანაგება ტუჩო-  
სა... განსაკუთრებით ხახულის „თურქთა“  
(ესე იგი გამაჰმადიანებული ქართველების)  
შესახებ უნდა ვთქვა, ეს ხალხი რანდულად  
პატიოსანია, სიმართლით გამსჭვალულია და  
ფრიად სტუმართმოყვარე. მიუხედავად იმი-  
ნა, რომ ადგილობრივი მცხოვრებნი ომით  
გაუბედურებული იყვნენ, მრავალჯერ შე-  
ურაცხოფილი სალდათა მიერ, მათ მიხედ-  
კეთილი განწყობილება დაიცვეს ჩვენდა მი-  
მართ, ნამეტნავად, ოფიცერთა მიმართ. მე  
არ ვიცი შემთხვევა, რომ მათ ბოროტისათვის  
ბოროტით მოეზლოთ. პირიქით, სულ მცირე  
კეთილისათვის გვიძღვნიდნენ ნათელი გუ-  
ლის მადლობით... აი, ხალხი, რომელთაც გა-  
ნახორციელეს თავიანთი შორის ქრისტიანული  
იდეალები“ (4, 225).

ტაოელ ქართველებში ქართველობის შეგ-  
ნებას, ქართულ ცნობიერებას აღიერებდა  
დიდი სამარ მეფის ხსოვნა. აქაურებს არც  
ერთი თხარა ქართველი მეფის სახელი აღარ  
ახსოვდათ; მხოლოდ „თამარ დედოფალი“  
იყო კეთილად მოსაგონარი, სათაყვანებელი,  
აქაურთა წინაპრების მზრუნველი „დედა-ქარ-  
თლისა – თამარი“. თამარ მეფის ხსოვნა და-  
კავშირებული იყო ხალხის საკეთილდღეოდ

ხუმბალი, ბალხი, ხოდ-სუფლია, უტავი, ვანის-  
ხევი, კირვანსი, ოთხთა ეკლესია, ბინათი... ეს  
სოფლები ამიერტაოშია, დღევანდელ იუსუ-  
ფელის რაიონში.

ექვთიმე თავაიშვილი ამიერტაოში კიდევ  
ასახელებს ქართულად მოლაპარაკე სოფელ  
ჭიჭიშხს, რომელიც მაშინ შედგოდა იშხნის  
სამუხტროში (სამამასახლისოში). იგი ამ სოფ-  
ლის შესახებ გვანდის საინტერესო ცნობას:  
„ამ მხარეში არის კიდევ ერთი დიდი სოფე-  
ლი მალალ ზეკარზე, იშხნის მახლობლად.  
სოფელში 208 სული მცხოვრებია და ყველა  
ქართულად ლაპარაკობს. ამ სოფლის სახელი  
რუკაზე არის „ჩიჩიში“. მაგრამ ნამდვილად  
მისი სახელია „ჭიჭიში“ და მცხოვრებნიც ასე  
გამოთქვამენ მის სახელს. ამ სოფლის სახელი  
გვამცნევს, თუ საიდან წარმოსდგა სახელიწ-  
დება ცნობილის ქართველი მეცნიერის და  
ფილოსოფოსის იოანე ჭიჭიშხელისა, რომე-  
ლიც ამდენ დავას და უჯერო განმარტებას  
ინვევდა მკვლევართა შორის.

ეხლა ცხადია, იოანე ყოფილა სოფელ ჭიჭ-  
იშიდან და აქედან წარმოსდგა „ჭიჭიშილი“,  
როგორც რუსთავიდან რუსთველი, ხონიდან  
ხონელი და სხვა... ჭიჭიშიში ძველად ერისთა-  
ვიც მჯდარა“ (4, 233). ე.ი. ავტორი აზუსტებს  
იოანე ჭიჭიშხელის ვინაობას, რომელიც ლი-  
ტერატურის მკვლევართა შორის საკამათოდ  
იყო ქცეული.

ექვთიმე თავაიშვილის ცნობით, იმიერ ტა-  
ოში, კოლასა და არტანუში 1907 წლისათვის  
ქართული ენის ცოდნა ძალიან შესუსტებუ-

# აქვთიმე თავაიშვილის შრომების მიხედვით



ღვთისმშობლისა. მაგალითად, ოთხთა ეკლესიის  
გვერდით თუმცა მშენიერი ბაღნარია, მაგრამ  
ხალხი იქ არ ცხოვრობს. იქ არ შეიძლება ცხოვ-  
რება; ამბობენ: ვინც არ დასახლდა, ყველანი  
ამოწყდაო. ერთხელ ერთმა მწყემსმა ეკლესი-  
აში ფარა შერეკაო, მაგრამ ეს ფარა შემდეგ  
მოვარდნილმა წყალმა იმსხვერპლაო“ (4, 219).

სოფელ კალკოსში ძველი ეკლესია ნაც-  
რისფერი და ნითელი ქვითაა ნაშენი, კედლებე-  
ზე შემორჩენილია ასომთავრული წარწერები.  
ეკლესიაში ინახება ძველი ქართული სახარე-  
ბა, რომელსაც თავყვანს სცემენ. ამ სოფლის  
მცხოვრებნი სოფელ ორთულიდან არიან  
მოსული და ამბობენ, ჩვენ წინათ ქართველე-  
ბი ვიყავით, ხოლო გრიგორიანობა მივიღეთ  
შემდეგ და სომხებად ვთვლით თავსო. ექვთი-  
მესთვის უთქვამთ: სახარების ძალა მუსულ-  
მანებსაც სწამთ და ზოგჯერ ავადმყოფები  
მოჰყავთ განსაკურნებლადო.

ფანასკერტსა და კარნავაზს შუა, ოლთი-  
სის წყლის მარჯვენა ნაპირზე ამჟამად დიდი  
ველია. ძველად დასახლება ყოფილა. ადგი-  
ლის სახელია აქმეხერი – თეთრი ქალაქი. აქ  
ერთ ადგილას ექვთიმეს უნახავს ეკლესიის  
წანგრევი. აქაურების თქმით, ამ ეკლესიას  
რქმევია სუთფინარ-რძის წყარო. იგი წერს:  
„აქ მართლაც პატარა წყარო გამოდის, სადაც  
რქმევია ქალები მოდიან, სვამენ და მათი  
თქმით, ყოველთვის ემატებათ რძე“ (4, 374).

ქართული ეკლესიების მიმართ პატივის-  
ცემისა და მოკრძალებული დამოკიდებულე-  
ბის გრძობა ექვთიმეს შენიშნული აქვს იმ  
ძველ ქართულ სოფლებშიც, საიდანაც შიდა  
თურქეთში გადასახლებული ქართველების  
ნამოსახლარზე ჩაასახლეს სომხები, ქურთე-

ვლების მიმართ. იგი მათ გარეგნობაში, წეს-  
ჩვეულებებში, ყოფაცხოვრებაში ხედავს სახა-  
რების მადლს, ქრისტიანულ რწმენაზე დაფუძ-  
ნებულ მორალს, ეროვნულ სულისკვეთებას.  
იგი წერს: „მუსულმანი ქართველები ყველგან  
თვალსაჩინოდ განირჩევიან სამუსლიმანო სა-  
ქართველოს სხვა მცხოვრებთაგან, თურქები-  
საგან, ქურთებისაგან, თარაქმებისაგან და  
სხვებისაგან. განირჩევიან სახით, ჩაცმა-და-  
ხურვით, ზნე-ჩვეულებით, დარბაისლობით  
(პირველ თქმულია ძველთაგან სიდარბაისლე  
მესხისა), სიღინჯით და პატიოსნებით. ტანისა-  
მოსი მამაკაცისა ისეთია, როგორც გურულე-  
ბისა, აჭარლებისა და ლაზებისა, ესე იგი, ჩაქუ-  
რა... მათ შორის ისხდის ალება არ არსებობს,  
მრავალცოლიანობა იშვიათია, ხალხი მშვიდია,  
პატიოსანი. ქურდობა მათ შორის შეუძლებე-  
ლია. ხახულის მუხთარს ვეითხე, ქურდობა  
თუ არსებობს თქვენს შორის-მეთივ? დიდად  
გაიკვირა. ქურდობა ჩვენში არავის გაუფონი-  
აო; ქურდი ქურთია, ჩვენში შეუძლებელიაო.  
რუსის მოხელენიც, რომლებმაც ისტორია ამ  
მხარისა არ იცოდნენ, ანუ ნაკლებად იცოდნენ,  
ისინიც ამჩნევდნენ ამ ტიპიურ განსხვავებას  
და გამოსთქვამდნენ აზრს, რომ ისინი გამაჰ-  
მადიანებული ქართველებიაო. მაგალითად,  
იპროსკურიაკოვი, ვ. ლისოვსკი, პ. ხელმინციკი  
და ნ. შუგუროვი“ (4, 224).

მუსულმანი ქართველების განსხვავებუ-  
ლობა, ოსმალების იმპერიაში მოსახლე სხვა  
წარმოშობის ხალხებისაგან, შეუმჩნევია ხახუ-  
ლის კომენდანტს პორუჩიკ ნ. შუგუროვსაც.  
თავის ბროშურაში „ხახულის მონასტერი“,  
იგი ამაზე დამაჯერებლად მსჯელობს. ექვ-  
თიმე თავაიშვილი თავის ნაშრომში იმონებს

მის მიერ გაკეთებულ საქმეთან: ხიდების,  
ციხე-ქალაქების, სარწყავი არხების, სალო-  
ცავების აშენებასთან. ხალხი მადლიერი იყო  
მისი მეფობით. ეს მადლიერება თაობიდან  
თაობას გადმოეცა; ტაოელებმა 1907 წელსაც  
იცოდნენ თამარ-მეფის ვინაობა და დღესაც  
ეთაყვანებიან მის სახელს.

ექვთიმე თავაიშვილს ტაოში ყოფნისას ბევ-  
რგან დახვდა თამარ მეფის ხსოვნა, ხალხში შე-  
ნახული ლამაზი ლეგენდებისა და თქმულებე-  
ბის სახით. იგი წერს: „იშხანში, ხახულში, ოთხ-  
თა ეკლესიაში, პარხალი მცხოვრებნი მათი ეკ-  
ლესიების აშენებას ძლევაშის, მდიდარს და  
შესანიშნავ დედოფალს მიანერენ. მაგრამ სახე-  
ლი მისი იციან კობაკში და ბინათში, სხვაგან  
დავიწყებული აქვთ. ოთხთა ეკლესიის მცხოვ-  
რებნი ამბობენ: იმ მეფის ასულს, რომელმაც  
ოთხთა ეკლესია აღაშენა, ფული არ ეყო და თა-  
ვისი თმის სამკაული გაჰყიდაო. ხოლო კობაკის  
მცხოვრებლებმა იციან სახელი დედოფლისა,  
რომელმაც აღაშენა იშხანი, ოშკი, ხახული, ოთ-  
ხთა ეკლესია და პარხალი. ეს იყო თამარი... მას  
ჰყავდა თეთრი რაში ისეთი, რომ ერთს დღეს  
შეეძლო მოეგლო ოშკი, იშხანი, ოთხთა ეკლესია  
და პარხალი. კობაკის მახლობლად უჩვენებენ  
კლდეს ხელისგულის გამოსახულებით და ამბო-  
ბენ, ეს თამარ მეფის ხელის ნაშთიაო. როცა მან  
გაიარა ამ კლდეტან თავისი ჯარით, ცხენიდან  
ჩამოვარდა და ხელი კლდეს მიაბჯინა, რომელ-  
ზედაც დარჩა ნასახი მისი ხელისაო“.

ექვთიმე თავაიშვილი განაგრძობს მოყო-  
ლას თამარის შესახებ: „პარხლის ზემო სოფ-  
ლებში დღემდის დარჩენილია ძველი გრძელი  
არხი, რომელიც იწყება სოფელ უტავიდან,  
კობაკის მახლობლად, გაჭრილია კლდეში რა-  
მოდენიმე ვერის სიგრძეზე და მიდის სოფელ  
ზაფრეთში; ამას მიანერენ თამარ მეფის და  
ამბობენ, ყველაზე დიდი ღვანლი, რომელიც  
მან დასდო ამ მხარეს, ეს არისო. კიდევ უფრო  
კარგად იციან თამარის სახელი სოფელ ბი-  
ნათის მცხოვრებლებმა. ბინათი მდებარეობს  
მელოს მახლობლად, სოფელ ორჯოხის ზე-  
მოდ, ჭოროხის პირზე. ამ სოფელში 219 სული  
ცხოვრობს, ყველა ქართულად ლაპარაკობს.  
მათი თქმულებით, ამ სოფლის სახელი ასე  
წარმოიშვა: ერთხელ მეფე თამარმა აქ გამოი-  
არა; ცუდი ტაოსის გამო გზა ვეღარ განაგრ-  
ძო და ინება ღამის გათევა ამ სოფელში; მას  
მიუჩინეს საუკეთესო ბინა და მას შემდეგ სო-  
ფელს დაერქვა სახელი „ბინათი“, რომ ამით  
აღენიშნათ თამარის ღამის გათევა ამ სოფ-  
ლის ბინაში“ (4, 221).

ექვთიმესათვის აღნიშნული ლეგენდების  
ჩანაწერები გადაუცია „სოფელ მელოს უჩას-  
ტკის ნაწარნიკს“ – ალექსანდრე სტეფანეს ძე  
მატიასევიჩს. მას პირველი მსოფლიო ომის  
დროს მოუვლია ტაოს სოფლებში და შეუკრე-  
ბია სტატისტიკური ცნობებიცა და ლეგენდე-  
ბიც, აღუწერია ქართულ ენაზე მოლაპარაკე  
სოფლებიც. ექვთიმე სიხარულით იხსენებს  
ქართულად მოლაპარაკე სოფლებს, როგო-  
რიცა: კობაკი, არმენხევი, ხევეკი, გუდახევი,

ლი იყო, რადგან ამ მხარეებიდან ოსმალებმა  
მოსახლეობა შიდა თურქეთში გადაასახლა,  
ხოლო იქედან კი სომხები, ბერძნები, თარაქ-  
მები, ყარაფაფხები გადმოასახლეს და მო-  
სახლეობა ძალიან აჭრელდა. ამან გამოიწ-  
ვია ქართული ენის თანდათან დავიწყება და  
საურთიერთო ენის – თურქული ენის გავრ-  
ცელება. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ბევრ სო-  
ფელში ექვთიმეს დროს ჯერ კიდევ ახსოვდათ  
ქართული ენა. ასეთი სოფლებიც დასახლებუ-  
ლი აქვს მას. ესენია ფანასკერტი, ანზავი, ნი-  
აკოში, ველი...  
ექვთიმე თავაიშვილს ნაშრომში – „არქე-  
ოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და  
სოფელ ჩანგლში 1907 წელს“ – მოცემული  
აქვს არტანის ოლქის, კოლას უბნის მატერი-  
ალური და სულიერი კულტურის ამსახველი  
მასალებიც. კოლაში სათავეს იღებს მდინა-  
რე მტკვარი. კოლას მთებიდან მომდინარე  
წყაროები ერთ ადგილას ერთიანდებიან და  
ქმნიან მდინარე მტკვარს. მტკვარის სათავედ  
კოლაელებს მიაჩნიათ ერთი დიდი წყარო,  
რომელიც ნაკადულად გადმოჰქუხს მთიდან.  
ქრისტიანი ქართველები მას „აიაზმას“ ანუ  
„ნაკურთ წყალს“ უწოდებენ, წმინდა წყალს.  
ექვთიმე წერდა: „ეს სახელი ძველთაგან უნდა  
მომდინარეობდეს, ქართველებს ამ სახელით  
მოუნათლათ თავისი საყვარელი მდინარე.  
ამ წყაროზე აშენებული ყოფილა ძველი ქვის  
ეკლესია, რომლის წანგრევები დღესაც ჩანს;  
ალბათ, ეს ის ადგილია, სადაც ჯერ მოინათ-  
ლენ წყალში ღამე, ფარულად თავიანთი  
წარმართი მშობლებისაგან და შემდეგ ამი-  
სათვის ენამენ მათგან ამავე ადგილას „ცხრა  
ყრმა, სულიერი ძმანი, კოლაელი“, რომელთა  
ცხოვრება გამოცა ნ.მარმა“ (4, 304).

კოლას მოსახლეობა 1907 წლისათვის უკვე  
გამუსლიმანებული ყოფილა. გამუსულმანე-  
ბული ქართველების – მესხების გარდა, აქ  
ცხოვრობდნენ ქურთები, ბერძნები და სომხე-  
ბი, ოსმალითიანად გადმოსახლებულნი და და-  
სახლებულნი იმ ადგილებში, რომლებიც გა-  
მუსულმანებულმა ქართველობამ დატოვა და  
მუშაჯირი გახდა, თურქეთის შიდა რაიონებ-  
ში ჩასახლდა. ექვთიმეს ცნობით, კოლა-ოლ-  
თისიდან და არტანიდან 1877–1878 წლების  
რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ, მუშაჯირი  
(იძულებით გადასახლებული) გამხდარა 1858  
კომლი – 36. 775 ქართველი.

ექვთიმე თავაიშვილის ცნობით, კოლა-  
ში ქრისტიანობის კვალი ჯერ კიდევ არ იყო  
წაშლილი. თითქმის ყველა სოფელში იყო  
წანგრევები ან ნაშთები ეკლესიებისა, რო-  
მელთა მიმართ მოსახლეობა მოკრძალებას  
გამოხატავდა. სოფელ დადაშენში ექვთიმემ  
განსაკუთრებული ინტერესი გამოამყვანა  
აქ შემორჩენილი ეკლესიის ნაშთების მიმართ.  
როგორც ცნობილია, დადაშენში იყო საეპის-  
კოპოსო კათედრა. ქართლის მეფის კურთხე-  
ვის დროს დადაშენელ ეპისკოპოსს ოცდამეთ-  
ხუთმეტე ადგილი ეჭირა.

აპირან ჯგუხაძე

ნამოდი, კაცო, ეკლესიის მხრიდან ნავი-
დეთ, - დაბალი ხმით უთხრა კახამ ნიკოს,
რომელიც წინ სწრაფი ნაბიჯით მოდიოდა.

ეკლესიასთან

თმა შეუთხელდა, მაგრამ გარეგნული ხიბლი
კვლავ შემორჩა. სამსახურში, სამეზობლო-
სა თუ ქალებში, დიდი პოპულარობით სარ-
გებლობს, მასზე გიჟდებიან, მოსვენებას არ
აძლევდნენ, ნიკოც არ ჩამოუვარდებდა თავის
მეგობარს, რომელსაც თავი უკვე გამელოტე-
ბული აქვს, პატარა ღიმილი ემჩნევა, მაგრამ
კაცური პენი მაინც შემორჩა.

- კარგი, კაცო, რა სწრაფად მიდიხარ, სად
მიგეჩქარებ?
არ შეეშვა ნიკო.
- დროზე ნამოდი, მგონი ამინდი იცვლება
და ხომ იცი, წვიმა თუ ნამოვიდა, სულ გავი-
ლუმპებით.
- ჰო, ჰო მოვიდვარ, - გაიღიმა ნიკომ და
ფეხს აუჩქარა.
- დღეს ოთხშაბათია, არა? წარმოსთქვა
კახამ და მეგობარს გადახედა:
- ჰო, - უპასუხა ნიკომ და ჩაფიქრებულმა
დაუმატა: აბა, კაცო, კვირას აღდგომაა. გავ-
გიჟდები კაცი, რამდენი საქმე მაქვს, რამდენი
რამ მაქვს მოსაგვარებელი. ჯერ მშობლების
სასაფლაოს უნდა მივხედო, მერე, იქვე ახ-
ლოს, ბიძაჩემია დაკრძალული, იმას უნდა
მივაგო პატივი, შემდეგ „მუხატვერდის“ სა-
საფლაოზე უნდა ავიდო, სიმამრის საფლავს
დავხედო, ორშაბათს კი ჩემ ბიძაშვილთან ვარ
დაპატივებული. შენც კარგად იცი, ღვინის
სმას ვერიდები, ჩემი ამბავი ხომ მოგესხენება,
დაღვივის შემდეგ ორი დღე სახლიდან ვერ გა-
მოვიდვარ, თავის ტკივილი მკლავს.

- რომელ ბიძაშვილთან? - დაინტერესდა
კახა.
- ვახოს ძმასთან, შარშან ავტოკატასტ-
როფაში რომ დაიღუპა.
- ო, როგორ დამენანა ეს კაცი!
- ეჰ, გაჭირვების ტალღეებს იყო ეგ უბე-
დური, მაგის სული აცხონოს ღმერთმა! -
თქვა ნიკომ და ღრმად ამოიხარა.
- მეც შენ დღეში ვარ, ნიკო, მეც ძველ-
ნა საქმე მაქვს. ხომ იცი, რამდენი სჭირდება
ოჯახს. ამიტომ მინდა ეს დღეები ცოტა ნავი-
ვარჯიშო, თორემ ბევრის დაღვევა მომიწევს
და ჩემი ამბავი ხომ იცი, შენგან განსხვავე-
ბით, ორი ჭიჭა თუ დავლივ, გაჩერება აღარ
ვიცი, გრძობები მახრჩობს და თავს ვეღარ
ვიკავებ! - წარმოსთქვა კახამ.

უეცრად ნიკომ მეგობარს მოჰკრა თვალი
და კახას უთხრა: შენ იარე, ერთი წუთით გაის
და დაველაპარაკები და მალე დაგეწევი.
- ვინ არის? - დაინტერესდა კახა.
- ჩემი ძველი მეგობარია, დაველაპარაკე-
ბი და დაგეწევი.
- კარგი, ძმაო, ოღონდ ცოტა დაუჩქარე.
- თქვა კახამ და ეკლესიისკენ განაგრძო გზა.
ეკლესიის შესასვლელთან ხალხი შეკ-
რებილიყო, ზოგი პირველს ინერდა, ზოგი
ეკლესიის კედელს კოცნიდა, ზოგი კი, -
ეზოში შედიოდა. კახა როდესაც ეკლესიას
გაუსწორდა, შეყვინდა და ზეცას ახედა,
შემდეგ გუმბათზე გამოასახულ ანგელოზებს
მიანერდა, პირველნი გადაიხრდა და კვლავ
ქუჩის გაუყვდა. მოულოდნელად, შორიხლოს,
ულამაზე ქალს მოჰკრა თვალი. რაც უფრო
უახლოვდებოდა, მით უფრო შესამჩნევი
ხდებოდა მისი სილამაზე, მშვენიერი ტან-ფე-
ხი გრაციოზული მიხვრა-მოხვრა, საოცრად
შვენიოდა. კახა გაოგნებული მისჩერებოდა
და დაიბნა კიდევ. თვალი მთარინდა ქალს.
იფიქრა, არ შემინდოსო, კვლავ ეკლესიის-
კენ გაიხედა და უნებლედ, ისევ პირველი
გადაინერდა. ქალმა კი, კახას რომ მიუახლო-
ვდა, ეშმაკურად შეათვალიერა, თმა გაისწო-
რა, ჩაიცინა, თავისთვის რაღაც ჩაიბუტბუტა

და გზა განაგრძო. კახამ ინსტიტუტურად თავი
მოაბრუნა და კვლავ ქალისკენ გაიხედა. კაცს
ნერვიულობა დაეტყო, სახე აელენა, ასეთი
სილამაზე კარგა ხანია, არ ენახა, გაუკვირდა
კიდევ, ეს რა მემართებო, რაღაც უცნაური
გრძობა დაეუფლა, ისიც გაიფიქრა, ხომ
არ გავყვე და არ გავიცნოო, მაგრამ, იმასაც
გრძობდა, რაღაც უხილავი ძალა აჩერებდა,
აშეშებდა და ნებას არ აძლევდა განზრახვა
აესრულებინა. მალე გამოერკვა, თავს ძალა
დაატანა, ქალს თვალი მოაცილა და კვლავ
ეკლესიისკენ გაიხედა. ღრმად ამოიხარა,
ხელი ჩაიქნია და გზა განაგრძო. გაეცინა კი-
დეც და ჩაფიქრდა: შუა ხანს გადავცდი კაცი,
ცოლ-შვილის პატრონი ვარ, რამდენი რამ გა-
დამხდენია, რა არ მინახავს და მაინც... პატარა
ბიჭივით ავცანცარდი, გამოვთავყვანდი.
ამ ფიქრში იყო, როცა ნიკოც წამოვიდა, მე-
გობარს მხარზე ხელი დაჰკრა და ხმამაღლა
უთხრა:

- ნახე შე ბებერო, რა ქალმა ჩაგაიარა
გვერდში?!
- შენც შენიშნე? - გაიკვირვა კახამ.
- შენ რა, კაცი აღარ გგონივარ თუ? ასეთ
სილამაზეს როგორ ვერ შევამჩნევდი.
- მომენონა და, მერე როგორ, ზღაპარი
ქალია, ზღაპარი!
წარმოსთქვა ნიკომ და კახას ბეჭზე დაჰკ-
რა ხელი
- ნეტავ ვინ არის? ჩვენი უბნელი არ უნდა
იყოს, თორემ ეგეთი ქალი შეუამჩნეველი არ
დაგვრჩებოდა, ბებერ ლომებს!
- ისე, ჩემო ნიკო, ბუნება საოცარია, ზოგს
ასეთს გააჩენს ღმერთი და ყველაფერს დაგა-
ვინყებს კაცს.
- ძალიან მოგეწონა? - ისევ შეეკითხა
ნიკო.
- ძალიან, რომელია...
- ჰოდა, მე თუ მკითხავ, იმ ქალსაც მო-
ენოე...
- რას ამბობ, რას მიედ-მოედები, - გაიკ-
ვირვა კახამ.
- შე კაი ადამიანი, ჩემს მეგობარს რომ ვე-
ლაპარაკებოდი, სწორედ მაშინ გამოიარა მე
ანგელოზმა, იქვე თავის ამხანაგებს შეხედა, გა-
დაკოცნეს და, როგორც ქალებს სჩვევიათ, ლა-
პარაკი დაიწყეს. ეტყობა, ძალიან ახლობლები
არიან, გვერდზე გავიდნენ და საუბარი გააბეს.
მე კი მათი ლაპარაკი გარკვევით მესმოდა. ეს,
შენგან მოწონებული, ქალი ეუბნებოდა თავის
დაქალს: ყველა კაცს კი არ უნდა ეცვას შარვა-
ლი, აგერ, ვახედე, ეკლესიის წინ ისეთი გარეგ-
ნობის კაცი დაინახე, კინაღად გული შემიღონ-
და, თან მეგობარს შენზე მიანიშნა, იქ დგასო.
ეტყობა, ვიღაც დევნებრაბია... მიუვახლოვდი,
ვაგრძობინე, რომ ძალიან მომეწონა. მოკლედ,
ერთი სიტყვა რომ ვთქვა...

ის კი ბუყესავით იდგა და პირველს ინერ-
დაო...
- ჩემზე თქვა? - ჩაეძია კახა.
- აბა, როგორ, ძმაო! შენაირ კაცს, რო-
მელი ქალი გაუფლის გულგრილია.
- მაშაყირებ არა? - გაეცინა კახას.
- არაფერსაც არ გამაყირებ, რაც სიმართ-
ლეა, იმას გეუბნები.
- ეშმაკობ ხომ, ნიკო?
- ეჰ, რა ჯიუტი ხარ, ჩემი არ გჯერა, ხომ?
- ცოტა იწყინა ნიკომ.
- ისე, ჩემო ნიკო, ეს ცხოვრება საოცარ-
ი რამ არის, ზოგი რა ლამაზი იბადება და
ზოგი...
- ამაში არაფერია განსაკუთრებული -
ლაპარაკი შეანწყვტინა ნიკომ: - დადებითი
და უარყოფითი, სილამაზე და სიმახინჯე, ბო-
როტება და სიმახინჯე, ბოროტება და სიკეთე,
სამაყაროს თანამდევნი ნაწილია, ამ ორი სან-
ყისის გარეშე არაფერს ექნებოდა აზრი.
- მოვრჩეთ ფილოსოფიას! თქვა და უნებ-
ლედ, კვლავ უკან გაიხედა, - ეგებ, იმ ქა-
ლისთვის კიდევ მოეკრა თვალი და, მისდა
გასაკვირად, ის ქალიც მას უყურებდა. მათი
თვალები ერთმანეთს შეეფეთნენ. დიდხანს
უყურებდნენ ერთმანეთს. კახამ გადაწყვიტა
მისკენ ნასულოყო, მაგრამ, შეყოვნდა. ნიკოს
შეხედა და ხმამაღლა უთხრა: ისე, ჩემო ძმაო,
ლამაზ ქალში ანგელოზი და ეშმაკი ერთადაა
ჩაბუდებული, თან გზობლავს, თან კი... ათასს
სისულელეს გაფიქრებინებს. თქვა თუ არა,
სხვანაირი, საოცარი გრძობა დაეუფლა,
თითქოს გამოერკვაო, კვლავ ქალისკენ გა-
იხედა, მერე თავი გადაქნია, მეგობარს ხელი
გადახვია და გზა განაგრძო. ცოტაც და მზე-
მაც გამოანათა.

ჯუმა ჯუმათიანი

კუპკიანი ქალი

ჟურნალის კითხვით გავერთე. მოუს-
ვენარი დრო სადღაც გაპარულიყო.
მარტოობის სიცივე უცებ შემომხვია
ნისლივით და ხარხელაურის ლექსის
უკანასკნელი ტაქები ხელიდან ამაცა-
ლა. მიზეზი ნათელას არყოფნა და
უჩვეულო სიჩუმე იყო. გამოლი-
ავებულ სარკმელთან მივედი.
ჩემი ტყვე თავის ყვავილთან
იდგა. ეფერებოდა. ვამლის
ხის ტოტოვანდნად ჩამოსრილ-
ბული მზის სხივები ბუღულა
თმების პატრონისა და ახლად-
გაშლილი ყვავილის გარშემო სა-
მაიას ცეკვავენდნენ. ჩემი წყვილი
მეძებარი დაჟინებით ცდილობდა ამ
უმშვენიერეს ჰარმონიაში შეჭრას...
ნათელამ მათი ძახილი გაიგონა და
ამოანათა:

- ნახე, ჩვენი ყვავილი როგორ
გაიზარდა?! - თავი ისევ დახარა,
თითქოს ვარდისფერ სურნელს
მახარებდა. მისი პროფილის
დანახვამ ოდესღაც მასსოფრო-
ბაში ჩაფენილი სურათი ამო-
ატივტივა. გაოგნებულს სიტყვე-
ბი ყელში გამეჩხორა... პირი წყლიდან
ამოყვანილ ლოქოსავით ღია დამრჩა
და გაფართოებულ თვალებთან ერთად
კითხვის ნიშნის დამამსგავსა: „აქამდე
როგორ ვერ მივხვდი?!“ - გაოცებუ-
ლი ვეკითხებოდი აღმოჩენით გამთ-
ბარ-გახალისებულ ფიქრებს. სანერი
მაგიდის უჯრადში ათასგვარი ქა-
ლადის გროვიდან კუპკიანი ქალზე
რამდენიმე წლის წინ დაკონსერვე-
ბული ჩანანერი გამოვაძვინე, საეარძელს
მივეკედლე და ღიმილისფერი ფიქრებით
დავეკროდი მესხიერების ლაბირინთებში.
- ჩვენმა ყვავილმა საყვედურთან მო-
კითხვა გამოგვიზავა, - ასე დაუშვიდო-
ბებლად რატომ მიმატოვეო! - სიყვარულით
სავსე კალათა შემოიტანა ჩემმა ტყვემ და
თავზე გადმომაყარა. მე კიდევ ამ დროს
„პაგანიის“ დატოვებულ სიმღერას ვლიღ-
ნებდი: „რისთვის მაგონებ ვაზზე მიმობნე-
ული ნამო...“ თან აღმოჩენილი საიდუმლო-
ში მქონდა თავი ჩარგული და „მოკითხვას“
განგებ ყურადღებას არ ვაქცევდი.
- გეწყინა, მარტო რომ დატოვე?! - შე-
ფიქრებულ იდგა ჩემ წინ. მის თვალებში
უკვე სანვიმარი ღრუბლები ირეოდნენ და
სიტყვებს ძალისძალად ამოსთქვამდა.
- როდისმე კუპკიანი ქალი გეხვარა? -
მინდოდა მის თვალებში სიხარულის ნაპერ-
წკლები სწრაფად მენახა. თვალს არ ვაცი-
ლებდი.
- კი. ერთ ზამთარს... - გაოცებული
მხვერავედა.
- ფოლთქიანი კუპკა? - დავუზუსტე.
- კი. მერე რა. - მიუხედავდრელობის ბუ-
რუსიდან ვერ გამოდიოდა.
- მალასაყლოიანი ქურქიც გეცვა? -
უკვე ღიმილით ვეკითხებოდი.
- საიდან იცი?! - მოულოდნელმა კით-

ხეგმა, რაღაც საიდუმლოს
მოლოდინმა მოქანცა. ფეხზე
ძლივს იდგა.
- მოდი ჩემთან. რაღაცას
გაჩვენებ... - ჩანანერი გავუ-
წოდე. ფრთხილად ჩამოჯდა,
სათაურს დახედა, მერე განც-
ვიფრებულმა შემომხედა უთქ-
მელად.
- ხმამაღლა წაიკითხე! -
ვთხოვე და თან ველოდებოდი
მზის გამოანათებას.
ავტობუსში ვიჯექი. თოვდა.
ხარის თვალებსოდენა ფიფქე-
ბი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ
სწრაფდაშვებამი. სამედიცინო
ინსტიტუტთან გავჩერდით.
ქვევით, ტროტუარზე გვერ-
დულად იდგა კუპკიანი, სურვი-
ლისფერი ქალი, თავდახრილი,
ჩანთაში „არქეოლოგიურ გათ-
ხრებს“ აწარმოებდა. ქურქის
მალალი საყლოსა და ფოლა-
ქიანი კუპკით შევიწინოებულ
ბუღულა თმებს შორის მოშიშ-
ვლებული კისერი მოუჩანდა.
გაყინულმა ფიფქებმა სასურველი
თბილი ბინა დანიახეს. ნიხლებს კვრით
ერთმანეთს ასწრებდნენ, პირდაპირ ეშვე-
ბოდნენ და კოცნიდნენ თბილ და გამოძნე-
ვად ლამაზ კანს...
ღიმილისფერი შური ნისლივით ედე-
ბოდა ჩემი ტვინის ნაოჭებს... უცებ ქალმა
კუპკიანი თავი ასწია. ზევიდან გამოქანე-
ბულმა ბზრივად ფიფქმა ვეღარ მოასწრო
თბილ გამოქვამულში ჩახატომა და საყლოს
მიეყინა.
- ეგეც შენ! - კუპკიანმა ქურქის საყე-
ლო და მე ტვინის ნაოჭები ჩამოვიფრთ-
ხეთ. ქალმა, ეტყობა, ავტობუსში ამოსვლა
გადაიფიქრა. ფიფქები მიაცილებდნენ გა-
დათეთრებულ გზაზე. აქეთ მე ვკვდებოდი,
იქით ფიფქები იყინებოდნენ. „ქალი ნავიდა
სხვისასა!“
ნათელამ კითხვა დაამთავრა. გაოცება,
უჯერობა, სიხარული, შემოსახლრავი
სიყვარული - ყველაფერი ერთმანეთში ირე-
ოდა, სულის მოთქმას არ აცლიდა. მერე,
ემოციებით დატვირთულ-დამძიმებულმა
ჩემს მკერდში მოძებნა საყვარელი ადგილი.
- ეს შეუძლებელია! - მისი გულის გა-
მალებულ ფეთქვას ვგრძობდი. - იმ დღეს
ფული მომპარეს. ბევრი კი არ იყო, მაგრამ
სახლში ნასასვლელი აღარ დამრჩა... ჩემს
მკერდს ეჩურჩულებოდა. - ავტობუსის
გაჩერებასთან აღმოვაჩინე, ჩანთაში ხურ-
დაც აღარ მქონდა. ფეხით ნავედი. - უკვე
იღიმებოდა. ბუღულა თმებზე ვეფერებოდი
საყვარელ არსებებს. ფიფქების ჯავრს ვიყ-
რიდი და ტურქებით ფრთხილად ვხებოდი
იმ ადგილას, სადაც მაშინ ისინი კოცნიდნენ
იასამნის სურნელის მოლოდინე ქალს. სიყ-
ვარულით ვიყავით სავსე მე და ჩემი ტყვე-
ნირკეს ოინებისა არ გვეფიქრებოდა, საავდ-
რო ღრუბლები არ ჩანდა.

ბილიკი

ჩვენი ექსპედიცია იმ წელს გლოლის მხარეში მუშაობ-
და. იქ ერთ მარტოხელა მოხუცს დავუახლოვედი. ეტყო-
ბოდა, ფიქრის მეგობარი და სიტყვის ფასის მცოდნე იყო.
საქართველოს მთებში, - სვანეთში, რაჭასა და სამეგრელოში, აჭარაში, მთიულეთში, ხევ-
სურეთსა და თუშეთში - ვიცნობდი ასეთ ადამიანებს და მუდამ მანვლებდა კითხვა: რა-
ტომ აღარ არიან ასეთები ბარში?! წუთუ გრძელი ზამთრის დაუსრულებელი გვირახები
ლაშქვებს უნდა შეებრძოლო მარტო ან ალპინისტის ხიფათიანი თოკით უნდა აიარო მწვერ-
ვალზე, რომ უფლის სიახლოვე და ძალა შეენიოს სულს და სანთლის შუქზე ატაროს ნირკეს
„კუთვნილი“ გავი?!
ვალკომ შოთის პური, ლორი და არაყი გამოიტანა. მისი ნაფერდებული ეზო შარავზა-
ზე ჩადიოდა. მისი იქით კი ხევი იყო.
- ახლა, ბიძიკო, მეგობრობა დავლოცოთ, - ჭიქები შეავსო მასპინძელმა. - მე ერთი
დამრჩა, კალე. იმ ხევის გაღმა ცხოვრობს, ჩემსავით. ბავშვობიდან ერთად მოვდივართ
ცხოვრების აღმართზე.
- ვალიკო-ბატონო, აბა, აღმართ-დაღმართო, რომ ამბობენ?
- არა, ბიძიკო, სულ აღმართია. ეგაა მხოლოდ, ბოლოსკენ იღლები და გიჭირს, მაგრამ
მეგობარმა, კეთილმა ადამიანმა, თუ წყალი მოვანოდა, გაუძლებ და წუნუნის გარეშე ახვალ
მწვერვალამდე. იქ თავდება გზა. - თითქოს შეისვენა მოხუცმა აღმართზე. მერე ისევ გაავ-
რძელა. - მეგობრობა უღალატო და უეჭვიანო უნდა იყოს, ბიძიკო. ერთხელ, ბავშვობაში,
კალეს შურდული მოვპარე. მეორე დღეს დაბლვერილი ამოვიდა. სულ ქვეშიდან მიყურებ-
და. ერთ ხაზად ქვეული ნარბების იქეთიდან ორი სველი და ხანჯლის წვერივით თვალებით
მჩხვლევდა. სიტყვა არ დაუძრავს. მუჭში დამალული ახალი შურდული გამალა, კისერზე
ჩამომკიდა, „მოპარული“ აღო და, ა, იმ ბილიკს დაუყვია. ერთი კვირა გავძელით ასე. მერე
ჩვენს ხევი „ვიპოვეთ“ ერთმანეთი და მოვდივართ ერთად სიყვარულითა და სისუფთავით.
მაგ ბილიკს რომ ხედავ, ჩემი და კალეს ბილიკია, ეგ და ბალახი არ ამოსულა მანდ. ჰოდა,
ჩვენს გულებს შორის სავალ გზაზე არასოდეს ამოსულიყოს ბალახი, ბიძიკო!
ხშირად ვიხსენებ ამ გულწრფელ, სიყვარულით სავსე სადღეგრძელოს და იმასაც, შა-
რავზაზე გამოცილებულმა მოხუცმა იმ ბილიკის თავთან თითქოს თავისთვის რომ ჩააკე-
ნეს ხევი: „ეს ჩვენი მთავრობის კაცები ყველაფერს ყიდიან და ეს ბილიკიც თუ გავიყი-
დეს?!“.

პოეზია

სალომე მირზაშვილი

ერთხელ ერთ მოხუცს

ერთხელ ერთ მოხუცს, - შორ გზაზე დამდგარს, შეშა მოჰქონდა, ჰოდა, დალილი - რა ვერ გაუძლო ტვირთის სიმძიმეს, ქვაზე ჩამოვდა ქანცგამოცლილი. ჯერ ინყო ლოცვა, - წყევლაც ეცადა, სიკვდილს ნატრობდა სასომხიდილი, უცბად ამინი გამოეცხადა, - აგისრულოო, უნდა ნადილი. - ჰე, ბერკაცო, აბა, მითხარი, რისთვის მიხმობდი, რისთვის მეძახდი? ჩაუქირქილა გამომკითხავმა და ნისლად შერჩა გამოხედვამი. შეშინდა კაცი, იცრუა, რა ქნას, სული ტკბილია, უფრორე - ხორცი, შენც თრთი, სიკვდილის პირას რომ დგახარ

რადგან წყევლით ცვლი, რაც გასურდა ლოცვით... რატომ მეძახდი? - ჩაილულულა, რა უბასუხოს, სიკვდილს ცელიანს?! - გეძახდი, მსურდა დამხმარებოდი, დიდი ხანია სახლში მელიან! ...

სისინო ბაბუნია

ლექსის ზილიკით

ლექსის ბილიკით ცხინვალის გზას მიუჯახლოვდი, არ მჭირდებოდა არც საზღვარი და არც ნებართვა... ლექსის ბილიკით ნახანძრალი ვნახე ნალკოტი და დავაბრუნე ყველა ვალი, რაც რამ მემართა...

ლექსის ბილიკით განმიახლდა ნაიარევი, - არ მომესალმა მოძმე, გვერდით რომ ჩამიარა!.. არ მომესალმა!.. და ტკივილმა არ მოსალმების დარდიან გულზე ასპიტვიით გადამიარა!..

ლექსის ბილიკით გავექეცი ძალმომრეობას, გულამოსკენილი ვტიროდი და მეკვროდა სუნთქვა, და ვგრძნობდი, ჩემს წინ თანდათან რომ ფართოვდებოდა მოყვარე მტრისგან შეკუმშული ქართული რუკა!..

ადრეული შემოდგომა

ადრეული შემოდგომა მიყვარს, როცა სივრცე ველარ იტყვს ფერებს, ზეცის კარი როცა არის ღია, ტრფობის ცეცხლი ეკიდება თელებს...

დრო მოვა და დაღვინდება ურჩიც, ფოთოლს მიწა გაუსინჯავს ჭაშნიკს, მერე ქარი - ამ სამყაროს ფუნჯი, მათ ნაკვალევს სამუდამოდ ნაშლის.

ადრეული შემოდგომა მიყვარს, ქარი ლექსებს ფოთლებივით გაშლის, დრო და ჟამი ჩამომაცლის ნიღაბს, და სურნელი გამაბრუნებს ვაშლის...

ადრეული შემოდგომა მომდევს, ყვითელ ფერში გადამდნარი მთებით, ფოთოლივით, ამ სამყაროს ტოტებს რა ოქროსფრად ნელა-ნელა ვწყდები...

ავტობუსში

ასაკოვანი მამაკაცი ნამოდგა, - თავისი ასაკის ქალბატონს ადგილი დაუთმო... ახალგაზრდას მოხუცის ჩრდილი დაადგა თავზე... ადგება? ყურში აქვს საცობი, თვალელებში ხომ არა!.. არ ადგა! „უნარჩვევიანი“ უუნარო!..

დავით ბაბუნია

რადგან შესძელი

როგორც რაინდი ტრიბუნალის წინაშე იდექ, გასამართლებდა მართლის თქმისთვის მსაჯულთა ბანდა!.. ო, ეს რამხელა სატყვიარი შენ ერთმა ზიდე და ჩამოხიე ბოროტებას ბოლომდე ფარდა!

მართლმსაჯულება ქვეყნიერი სიბილნედ სცანი, მის გზა-ფარსებზე რა ამაყად გადინადირე!.. შენ ტიტანივით აღიმართე და მთელი ძალით უსამართლობას ცხვირ-პირიდან ძმარი ადინე!..

და სიცოცხლეში საუკუნის ვასცდი სამანებს, შენი სახელი განახლების სიმბოლოდ იქცა!.. ზრახვა „მამათა“, რადგან ცოცხლად დაასამარე, ვერ შემოგბედავს დავინყებას - ეს დედამინა!..

დრო ერთ ფოთოლსაც ვედარ მოსწყვეტს მაგ შენს დიდებას, რადგან შესძელი უღმერთობის გაბედითება (გაბითურება!..)

ზაქარია ნათანაძე

რვი სამარის კართან

ვის არქმევს სახელს ჩემი გამრიგე, ვინ აძლევს სალამს უფმურ განთიადს, შვილი, რომელიც მამას არიგებს, დედა, რომელიც იხდენს არშისა?!

ვინ მღერის ისე, როგორც მდინარე, ვინ ახმიანებს ბუნების მუზას, პოეტის გული, ჭმუხვით მძვინვარე, ჭაობში უშვებს სიცოცხლის ღუზას.

და ათრობს მზესაც, ვისი სიტყვებიც, ვინც ჩინებულად მორთავს სასახლეს, ამიბნევს გზა-კვალს, ვისაც მიყვებო, ვინც ჩემში მუზა მიზნად ჩასახვს.

იპარავს ის ვინც მუდამ იპარავს, სასახლეს შეჰკრავს ისევე გამრიგე, სული მიუფა თავის მისავალს, კათალიკოსი წესსაც ამიგებს.

ცრემლებს დამადენს გაზაფხულის მზე, დარღვევს ღუმის ჯავახეთის მთა, საგზლად ჩამიდებს ქატოსა და ბუეს, გზას დამანახვებს უნახავ ჭირთა.

მწამს, გზად შემხვდება თეთრი არნივი, ვეტყვი ყველაფერს, შენს დანახარებს, კარებს გამიღებს მარჯვენა ცივი, და უსულგულოდ დამასამარებს.

მე მჯერა, ვიტყვი ჩემს ბოლო სიტყვას, არ ვეპუები დროების ტრიალს, აღარ მანუხებს, რაც ჩემზე ითქვა, ჯოჯოხეთის სპა ატეხავს ზრიალს.

ვინ დაურჩება მორჩილთა გულებს, ვინლა მოისმენს რწმენის ღაღადისს, ვინ ანუგეშებს ტანჯულთა სულებს, ვინ დაღვრის ცრემლებს კართან სამარის.

ერთხელ წავედი და კვლავაც მოვალ, დროის ტრიალს თუ არ ვეპუები, დავემგვანები წვიმას ან თოვას, სიკვდილის მეფეს არ ვეგუები.

თუ არ ირწმუნებთ ჩემს შეგონებას, არ შეგანუხებთ სინდისის განცდა, ან მიმანერეთ ტკბოლ მოგონებას, ჩემი სხეული თქვენს საზღვრებს გასცდა.

მიზანი ახლოს

სისხამი დილა იღვიძებს მშვიდად. დღეა ნარ-ნარი და მშვენიერი, მზის ამოსვლამდე საკმაოდ გრილა, შექმნის თვე მოდის ფეხბედნიერი.

ავინთე სულით, მწამს განთიადის, ჩემში ლტოლვაა, რაღაც ღვთიური, ჩემთვის ვარ მშვიდად, დროთა ტრიალში, ღრუბელთა გრგვინვა კავკასიური.

პირველი ბრძოლა, პირველი მარცხი, გაშლილი ფრონტი უხილავ მტერთან, უკან მოხედვას დრო აღარ მაცდის, სურვილი კვდომის, უნათლესს სვეტთან.

ახლა წუთია სიმართლის ნახვის, მაგრამ აქ არ მაქვს მე სადარდელი, უკან დამრჩება ძველი ოჯახი, ნაზავი ცოდვის და სახარების.

გავცდები ზღურბლსაც, ბუნების კარის, კაცთაგან განსჯა ფერფლად ვერ მაქცევს, ვერ დამამძიმებს ლოდი სამარის, ჩემი სულიც რომ მიწაში დარჩეს.

ტაო-ქლარჯეთის ქართულთა სულიკების ბალავარი

დასაწყისი გვ. 2-3

დადაშენის ლამაზი გუმბათიანი ეკლესია გაშენებული ყოფილა მაღალ გორაკზე. ეკლესია მონითალო თილის ქვით ყოფილა შექმნილი შიგნით და გარეთ. ამ ეკლესიის ქვები დადაშენებულს მოუხმარიათ სოფლის ჯამეს ასაშენებლად. ეკლესიის გაძარცვული კედლების ნაშთები უკეთ ყოფილა შენახული. ეკლესია დანგრეული დახვედრია გერმანელ ბოტანიკოს კარლ კოსხაც 1843 წელს.

დადაშენის ეკლესიის შესახებ კარლ კოსხ დადაშენებულისაგან თქმულება ჩაუნერია, რომელსაც იმონებებს ექვთიმე. დადაშენების თქმით, ეს ეკლესია ხალხს მიუტოვებია უპატრონოდ იმიტომ, რომ ცოდავ დატრიალებულა ამ ეკლესიაში. „ამ თქმულების მიხედვით, საქართველოს მეფე არტანუჯში ცხოვრობდა. მან უბრძანა ერისთავს მისთვის დადაშენში აშენებინა საზაფხულო სასახლე და ეკლესია. ერისთავმა თავდაპირველად ეკლესია აღაშენა. მობრძანდა მეფე და უსაყვედურა ერისთავს, რომ მას უმაღლეს სასახლე არ აუშენებია. ერისთავმა უპასუხა: ზეციური მეფე უფრო მაღლა დგას, ვიდრე მიწიერიო. განრისხებულმა მეფემ ბრძანა, ამ კადნიერებისთვის ერისთავის ეკლესიის სვეტზე ჩამოეიდება. ბრძანება ასრულეს და მით ეს ეკლესია ნაბილნეს. მორწმუნე ხალხმა მიატოვა მას შემდეგ ეს ეკლესია, მაგრამ კედლები კიდევ დგანან, რომ სსოვნა უცნაურის სისხლის ღვრისა არ ამოიფხვრას ხალხის მესხიერებიდან“-ო, წერს ექვთიმე თაყაიშვილი.

კოლაში ექვთიმეს უნახავს კარგად შენახული და დაცული ეკლესიებიც. მათ შორის აღსანიშნავია სოფლების - ჯიჯორის, თურქაშენის, დემურკაფის, ზევას... ეკლესიები. კარგადაა დაცული და ფრიად ლამაზია კალაჯუხის ციხე და ციხის ეკლესია. „ეს უსათუოდ ერთი საუკეთესო ძეგლია კოლას რაიონისა,“-აღნიშნავდა დიდი ექვთიმე. ამრიგად, ექვთიმე თაყაიშვილის ნაშრო-

მებში ჩანული და ჩაგვირისტებული ტაოელ ქართველთა სულიერების ამსახველი მასალები მიგვანიშნებს ქართველი ერის სიმტკიცესა და უკვდავებაზე. 350 წელზე მეტი ხნის მანძილზე ტაოს ქართველობას შენარჩუნებული ჰქონდა ეროვნული ცნობიერება. მათი სულიერება ნასაზრდოები იყო სახარებისეული მადლით, აღმოცენებული იყო იმ ნიადაგზე, რომელსაც ამკობდა წმიდა მარიამ ღვთისმშობლისა და დიდი თამარ მეფის სსოვნა. სწორედ ეს ახარებდა დიდ მეცნიერსა და ჭეშმარიტ ერისკაცს, წმიდა ღვთის კაცად შერაცხულ ექვთიმე თაყაიშვილს და ზღაპრულ ძალას ჰმატებდა, რომ ფეხდაფეხ მოეწყო ძირძველი ქართული მიწა და მოეფერებოდა დედასაქართველოს სახელით.

ას წელზე მეტი გავიდა ექვთიმე თაყაიშვილის მოგზაურობიდან. ტაოელ ქართველთა ეროვნული ცნობიერება უცვლელია. მათ დღესაც ახსოვთ წმიდა მარიამ ღვთისმშობლისა და თამარ მეფის სახელები, ეთაყვანებიან მათში შემონახულ თამარ მეფის დროინდელ ქართულ ენას და წინაპართა ნაანდერძე წესჩვეულებებს, ამაცობენ თავიანთი ქართველობით, ოცნებობენ მდიდარ, ერთიან, ძლიერ

საქართველოზე (6, 168; 170-181). ტაოელი და კოლაელი ქართველები გვიმტკიცებენ ნიკოლოზ ბარათაშვილის ბრძნული სიტყვების ჭეშმარიტებას: „რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების, საშვილიშვილოდ გარდაეცემის“.

ლიტერატურა ალ. მანველიშვილი, „ქრისტიანობა საქართველოში“, პარიზი, 1955;

გ. კურესელიძე, „იესო ქრისტე და ქართველი ერი“, იბ. უფროსი პედი ქართლისა“, №5, გვ. 11-12, პარიზი, 1949;

მ.ლაშაური, „წმ. ნინო - ქართველთა განმანათლებელი და ქრისტიანობის როლი საქართველოში“, მიუნხენი, 1958;

ექვთიმე თაყაიშვილი, „არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და სოფელ ჩანგლში 1907 წელს“, იბ. „დაბრუნება“, ექვთიმე თაყაიშვილი, ემიგრანტული ნაშრომები, გურამ შარაძის საერთო რედაქციით, თბილისი, 1991;


ექვთიმე თაყაიშვილი, „1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში“, თბილისი, 1960;

შ. ფუტყარაძე, „ჩვენებურების ქართული“, ტ. I, ბათუმი, 1993.



**„მუზეუმის დაარსებას ყველა ჩვენის ქვეყნის მოყვარე კარი დიდის სიყვარულით უნდა შეეგებოს და დიდი მადლობა ჩაინერგოს გულში იმათ მიმართ, ვინც ეს ფრიალ სასარგებლო საქმე ითავებს!“**

**ილია**



ბოლო ოცი წლის განმავლობაში საქართველომ, როგორც სახელმწიფომ პოლიტიკურ-ეკონომიური და კულტურული განვითარების თვალსაზრისით, წინ ვერ წაინია. ამ მხრივ ქვეყანა მოჯადოებულ სივრცეში აღმოჩნდა და აი უკვე მერამდენედ ერთიდაიგივე წრეზე განაგრძობს მოძრაობას. ეს განსაკუთრებით მტკივნეულად აისახა კულტურის სფეროზე, მათ შორის, სამუზეუმო საქმის შემდგომ განვითარებაზე.

შეუსაბამობა, რომელიც აგერ უკვე ოცი წელია ახალ პოლიტიკურ-ეკონომიურ სისტემა-სა და სახელმწიფო ორგანიზაციებში შემორჩინილ, მოძველებულ ადმინისტრაციული მართვის სტილს შორის არსებობს, საზოგადოების განვითარების სტაგნაციის ერთ-ერთ მთავარ

რონობა და ზუსტი აღრიცხვიანობა, თუ არა-სამუზეუმო პროფილის თემების მეცნიერული კვლევა?

– რამ გამოიწვია ექსპონატებისათვის წლე-ბის წინ გამოყოფილი საარსებო სივრცის მინი-მუმანდე შემცირება, რომლის შემდეგაც მატე-რიალური კულტურის ზოგიერთი ექსპონატი მნიშვნელოვნად დაზიანდა?

– რატომ არ შეიქმნა მუზეუმში ექსპონატე-ბის გადარჩენის გრძელვადიანი პროგრამა?

– რატომ მოხდა, რომ მუზეუმის ყველაზე პასუხისმგებელ პერსონას, ფონდის მცველს (კურატორს), რომელიც თავისი საქმიდან გამომ-დინარე სისხლის სამართლის პასუხისმგებლო-ბის ველშია მოქცეული და ჯანმრთელობისთვის

წლების განმავლობაში არსებულ „არასამუზე-უმო გარემოს“ დამკვიდრებასა და სისტემის გაუმართაობას სხვა გარემოებებიც უწყობდა ხელს. პირველი და უმთავრესი, მუზეუმის მეც-ნიერებათა აკადემიის სისტემაში დაქვემდებარ-ება გახლდათ, რამაც დაწესებულებაში სამუ-ზეუმო საქმიანობა მეორე პლანზე გადასწია. მეცნიერებათა აკადემიის წინაშე თანამშრომ-ლის ვალდებულება მხოლოდ სამეცნიერო თე-მების შესრულების აუცილებლობაში გამოიხა-ტებოდა. აკადემიის ინტერესებში არ შედიოდა ახალი გამოგონებისა თუ ისეთი სამუზეუმო-სა-ფონდო საქმის წარმოება, როგორცაა: ნივთე-ბის რესტავრაცია-კონსერვაცია, დაცვა-აღრიც-ხვა, ექსპერტიზა, ექსპონატთა აუთენტურობის დადგენა, საექსპოზიციო საქმე, სადავო-სა-სააღრიცხვო სისტემის მოწესრიგება, ფონდში ექსპონატებისათვის სათანადო პირობების შექ-მნა, ნივთების კატალოგიზაცია და სხვა.

ქვეყანაში სამუზეუმო საქმის „მინელების“ ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იმაშიც მდგომარეობს, რომ დაწესებულებამ ზემდგომი საუნეყე-ბო ორგანიზაცია რამდენიმეჯერ გამოიცვალა. (მაგ: სახალხო კომისარიატის კულტურის გან-ყოფილება, საქართველოს მეცნიერებათა აკა-დემია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, კულტურის სამინისტრო.) ამგვარი ცვლილე-ბებმა უარყოფითად იმოქმედა სამუზეუმო საქ-მის განვითარების ერთიანი ხაზის ჩამოყალიბე-ბაზე. მუზეუმი არაერთხელ დაშლადრა არაერთ-ფილურ ორგანიზაციაზე დაქვემდებარებული დაწესებულება, რომელთა მიმართულება არ შეესაბამებოდა სამუზეუმო საქმიანობას. ამის

როგორცაა: მუზეუმები, ბიბლიოთეკები, მეც-ნიერებათა აკადემია, უმაღლესი და სასკოლო სასწავლებლები, რომლებიც ძველი საბჭოური მართვის სისტემით განაგრძობენ არსებობას, სტაგნაციას განიცდიან. მაშინ როდესაც საქარ-თველოს მთავრობა ცდილობს სახელმწიფოში ლიბერალურ-დემოკრატიული ფასეულობე-ბი დაამკვიდროს, საჯარო დაწესებულებებში ხელმძღვანელები „ერთმართველური პოლიტი-კით“ ძალაუფლების მონოპოლიზაციას ახდენენ, რაც უარყოფითად აისახება ორგანიზაციის შემდგომ განვითარებაზე.

ბევრ დაწესებულებაში და მათ შორის ეროვ-ნულ მუზეუმში, მართვის დემოკრატიული სტი-ლი და საჯაროობა კვლავაც ძნელად მისაღწევ პოლიტიკურ ინსტრუმენტად რჩება, რაც ხელს უშლის საკითხების სწორ და თანმიმდევრულ გადაწყვეტას.

თუ კი მომავალშიც, სამართლებრივ-ფი-ნანსური და პოლიტიკური თვალსაზრისით კვლავაც პირდაპირ ვიქნებით დამოკიდებული მთავრობაზე და ინსტიტუციონალური თავი-სუფლება კონსტიტუციით არ იქნება მონიჭებუ-ლი, შესაძლოა, მომავალში მუზეუმი, როგორც ეს წარსულშიც არაერთხელ მოხდებოდა, მთა-ვრობის სურვილების შესრულების ობიექტად გადაიქცეს. ეროვნული მუზეუმი მათის თაფ-ლით სავსე კასრია, რომელიც „შემოქმედებითი ნყურვილის“ დასაკმაყოფილებლად შეუძლიათ გამოიყენონ. სამწუხაროდ, მსგავსი შემთხვევები ეროვნული მუზეუმის ისტორიაში არაერთხელ განმეორებულა, რომლის მაგალითებსაც ქვე-მოთ მოგახსენებთ.

# ეროვნულ მუზეუმში სტრუქტურული

მიზეზად უნდა მივიჩნიოთ. ეპოქა შეიცვალა, ხოლო სახელმწიფო დაწესებულებების მართვის სტრუქტურა (ვერტიკალურ-სუბორდინაციული) კვლავ საბჭოური დარჩა. ქვეყანაში პოლიტიკურ და სისტემური ცვლილებების მიუხედავად, საჯარო დაწესებულებების მართვლობის მო-დელი, ვერ შეეცვალა დროის პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურის მოთხოვნებს.

მსგავსი მდგომარეობა ყველა „სახეცვლე-ლილ“ პოსტსაბჭოურ სახელმწიფო დაწესებუ-ლებებში. მათ შორისაა, ახალ რეალობას ვითომ-და მისადაგებული, მაგრამ ძველი მართვის სის-ტემით „აღჭურვილი“ საქართველოს ეროვნული მუზეუმიც, რომელიც დღესაც საბჭოური ტიპის სტრუქტურით განაგრძობს არსებობას.

საშიშ გარემოში უხდება მუშაობა, ყველაზე და-ბალი ხელფასი აქვს დანიშნული?

პრობლემები, რომლებიც მუზეუმის ცხოვ-რებაში დაგროვდა, ათწლეულებიდან მომდინარეობს. მათი გადაწყვეტა არც ისე იოლ საქმეს წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, უნდა გამო-ინახოს დრო და შესაძლებლობა მათ გადასაჭ-რელად. ამ საკითხების მოსაგვარებლად მთა-ვრობის მხრიდან პოლიტიკური ნებაც უნდა გა-მოიკვეთოს.

მუზეუმში შემორჩენილი მმართველობის სტრუქტურა ერთ დროს კომუნისტურ რეალო-ბაში არსებული სისტემური ცვლილების შედე-გად ჩამოყალიბდა, რადგანაც იმ დროს სისტემა პოლიტიკური იდეოლოგიას განასახიერებდა. ბუნებრივია, მუზეუმის სტრუქტურაც ამ შე-ვეთიდან გამომდინარე აიგო, რაც დღეისათვის სავესტით მიუღებელია.

გამო მუზეუმის თანამშრომლებს ხშირად უხ-დებოდათ უაზრო ადმინისტრაციული ბრძანებების შესრულება. მათ შორის არ შეიძლება არ გავიხსენოთ ერთი, რბილად რომ ვთქვათ, მე-ტად უხერხული და ლოგიკას მოკლებული გან-კარგულება, რომლის მიხედვითაც რკინის ნიე-ტებს ხის ნაწილები დაეკავს და ექსპონატები ცალ-ცალკე შეინახეს. ასე რომ, თუ ექსპონატის მთლიანობაში ნახვა დაგვირგვინდა, რკინის ფონდში არსებული ნაჯახის ან ცულის ტარი ხის საცავში უნდა მოიძიოთ. მსგავსი შინაარსის ბრძანება ვანდალიზმის ნიშნებს ატარებს და ანტისამუზეუმო ქმედებას მიეკუთვნება.

უკანასკნელი 9 წლის განმავლობაში „ინს-ტიტუციონალური“ ცვლილების მიუხედავად, მუზეუმში კვლავ სისტემურ თანხვედრაში დარჩა საბჭოთა მმართველობის ფორმასთან. განსხ-ვავება მხოლოდ თანამდებობებისა და სტრუქ-ტურული ერთეულების სახელების მონაცვლე-ობაშია. მაგ: მუზეუმის დირექტორის ნაცვლად შემოღებული იქნა გენერალური დირექტორის თანამდებობა, დირექტორის მოადგილის ნაც-ვლად – მთავარი კონსერვატორის, განყოფილე-ბის გამგის ნაცვლად – მთავარი კურატორის, ფონდის მცველის მაგივრად – ასისტენტ-კურა-ტორის, ლაბორანტის ნაცვლად – ასისტენტის და ა.შ. გარდა თანამდებობრივი დასახელებე-ბისა, შეიცვალა სტრუქტურული ერთეულების სახელწოდებებიც და ამით დასრულდა მუზეუმ-ში საქმის უკეთესობისაკენ შემობრუნების „ტი-ტანური შრომა“.

შევეცდებით დოკუმენტურ-საარქივო მასა-ლებზე დაყრდნობით, შევქმნათ რეალური სუ-რათი დღევანდელი სისტემის მიზანშეწონ-ლობის შესახებ.

ეროვნული მუზეუმის ამჟამინდელი მმარ-თველობითი სისტემისა და მისგან შექმნილი „ცოდვების“ ნათლად წარმოჩენისათვის თხრო-ბის დაწყება ცოტად შორიდან მოგვიჩვენს!

ექსპონატების მუზეუმიდან გატანა და შემ-დგომში მათი უკვალოდ გაქრობა საბჭოთა პერი-ოდისა და დღევანდელი მუზეუმის სახალხო კომისარიატის, კომუნისტური მმართველობის, ოთხმოცდაათიანი წლების სამხედრო დიქტატუ-რის, მოქალაქეთა კავშირისა თუ „ნაციონალე-ბის“ მმართველობის პერიოდში. იცვლებოდა დრო და პოლიტიკური სიტუაცია, ხოლო სახელ-მწიფოს მხრიდან ანტისამუზეუმო „გამოხტომე-ბი“, როგორც ფორმით, ასევე შინაარსით, უც-ვლელი რჩებოდა.

საბჭოთა ცხოვრების წესმა მუზეუმი „ერთი კაცის“ დაწესებულებად აქცია, რომელიც მხო-ლოდ პოლიტიკური სისტემის წინაშე იყო ან-გარიშვალდებული. ადმინისტრაციასთან დაახ-ლოებულ „პარტიულ ინტელექტუალურ ელი-ტას“ არასდროს ჰქონია სურვილი მუზეუმში ნოვატორული იდეებისა და ინოვაციური აზრის გაერაზრეობის გამხდარიყო.

ტოტალიტარული მმართველობის დროს, დირექცია ვალდებული იყო სამუზეუმო საქ-მეში, უპირველესად, პარტიული-იდეოლოგიური ხაზი გაეტარებინა. სამთავრობო შეკვეთებმა: საბჭოთა პერიოდის გამოფენამ, მეგობრობის მუზეუმმა, ოკუპაციის მუზეუმმა და სხვამ, სა-მუზეუმო საქმის განვითარებას მნიშვნელოვანი ვერაფერი შემატა. ყველა დროის პარტიული მმართველობა მუზეუმს აიძულებდა საქე-სპოზიციო ფართობის მნიშვნელოვანი ნაწილი იდეოლოგიური შინაარსის ექსპოზიციისთვის დაეთმო.

უპირველესად, სამუზეუმო პროფილთან მისადაგებული გამართული სტრუქტურული სქემის შექმნაზე უნდა ვიზრუნოთ, რაც საშუ-ალებას მოგვცემს ისეთი სისტემური ზადე ჩა-მოყალიბება, რომელიც თანხვედრით იქნება სახელმწიფოს პოლიტიკურ და ეკონომიურ მო-დელთან. ასეთი ცვლილება მუზეუმს მისცემს პროფესიური განვითარების სწრაფ და, აქედან გამომდინარე, მუშაობის ბუნებრივ რეჟიმში გადასვლის საშუალებას. სახელმწიფო სისტე-მასა და დაწესებულებაში არსებულ გამართულ სტრუქტურას შორის თავსებადობა გახდება ორგანიზაციაში კრიზისის დაძლევის გარანტი. ცნობილია, რომ დაწესებულების წარმატება და მაღალი შედეგები უფრო მეტად მომდინარეობს სწორად მიღებული სტრუქტურული გადაწყვე-ტილებებიდან, ვიდრე ცალკეული პიროვნების უნარებისა და მონდომებისაგან.

როგორც ხედავთ, საბჭოთა პერიოდის სტრუქტურასა და ახლანდელს შორის არსე-ბითი განსხვავება არ შეინიშნება. მუზეუმში შემორჩენილმა ვერტიკალურ-სუბორდინაცი-ული მართვის წესმა ადმინისტრაციული წყობა კვლავ საბჭოური დატოვა. ძველისაგან განსხ-ვავებით დღევანდელი ადმინისტრაცია კიდევ უფრო შორს წავიდა. მათ მიერ შემოღებული ახალი თანამდებობრივ-საშტატო ერთეულები საქმის წარმოებაში ერთმანეთის დუბლირე-ბას ახდენენ. მაგალითად: საფონდო-სააღრიც-ხვო საკითხის მოსაგვარებლად გამოცემული გენერალური დირექტორის ბრძანებულებამ ექ-სი თანამდებობრივი საფეხური უნდა გაიაროს, რომ ბრძანების შინაარსი ფონდის ასისტენტად ედ მივიდეს. მაშინ როდესაც, ისტორიისა და ეთნოლოგიის ფონდები სამშტატო ერთეულების მკვეთრ სიმცირეს განიცდის, რამაც საცავების აღრიცხვა-გადაბარების გაჭიანურება გამოიწ-ვია.

შევეცდებით დოკუმენტურ-საარქივო მასა-ლებზე დაყრდნობით, შევქმნათ რეალური სუ-რათი დღევანდელი სისტემის მიზანშეწონ-ლობის შესახებ.

ეროვნული მუზეუმის ამჟამინდელი მმარ-თველობითი სისტემისა და მისგან შექმნილი „ცოდვების“ ნათლად წარმოჩენისათვის თხრო-ბის დაწყება ცოტად შორიდან მოგვიჩვენს!

ექსპონატების მუზეუმიდან გატანა და შემ-დგომში მათი უკვალოდ გაქრობა საბჭოთა პერი-ოდისა და დღევანდელი მუზეუმის სახალხო კომისარიატის, კომუნისტური მმართველობის, ოთხმოცდაათიანი წლების სამხედრო დიქტატუ-რის, მოქალაქეთა კავშირისა თუ „ნაციონალე-ბის“ მმართველობის პერიოდში. იცვლებოდა დრო და პოლიტიკური სიტუაცია, ხოლო სახელ-მწიფოს მხრიდან ანტისამუზეუმო „გამოხტომე-ბი“, როგორც ფორმით, ასევე შინაარსით, უც-ვლელი რჩებოდა.

პრობლემა, რომელზედაც გვინდა ვისაუბ-როთ, საქართველოს ეროვნული მუზეუმის მარ-თვის სტრუქტურული მოდელის შეცვლის აუცი-ლებლობას შეეხება, რომელიც ასე წლის წინ დამკვიდრდა და, რაოდენ ვასაკვირიც არ უნდა იყოს, დღესაც განაგრძობს არსებობას. ჩვენი მიზანია გამოკვლევულ იქნას საერთო და გან-მასხვავებელი ნიშნები, რომლებიც მუზეუმის ამჟამინდელი და საბჭოური პერიოდის მართვის სტრუქტურებს შორის არსებობს. ვეცდებით გა-მოვეკეთოთ ის წინააღმდეგობები, რომლებიც არ აძლევს ეროვნულ მუზეუმს დამოუკიდებელ და, მართვის თვალსაზრისით, დემოკრატიულ ინსტიტუტად ჩამოყალიბების საშუალებას. ჩვე-ნი სურვილია, მართვის მოდელის ისეთი სის-ტემის შემუშავება, რომელიც მუზეუმში პრო-ფესიონალური მიმართულების განვითარებას მაქსიმალურად შეუწყობს ხელს და შემდგომში ავტომატურ რეჟიმში განაგრძობს არსებობას.

წლების განმავლობაში სამუზეუმო საქ-მის წინსვლასა და განვითარებას ხელს ისიც უშლდა, რომ პარტიული ხაზით დანიშნული დირექტორები ვერ ერკვეოდნენ მუზეუმში სხვა სამეცნიერო დარგების (ეთნოგრაფია, ზო-ოლოგია, ბოტანიკა, საბიბლიოთეკო, საფონდო, საექსპერტისო საქმე და სხვ.) მნიშვნელობაში. დირექტორები სარგებლობდნენ რა ქვეყანაში პოლიტიკური ელიტის მხარდაჭერით, მუზეუმ-ში მხოლოდ მათთვის მისაღები სამეცნიერო მიმართულებების განვითარებით იყვნენ დაკა-ვებული. ამგვარმა დამოკიდებულებამ გავლე-ნა იქონია დარგობრივი მიმართულებების ცუდ დაფინანსებაში, საზღვარგარეთ ექსპოზიციების მოწყობის გადაწყვეტილებებზე, ფონდების სივრცის შეზღუდვაში, საფონდო-სააღრიცხვო საქმის უგულვებელყოფაში და მრავალი სხვა. ასე მორღებოდა ათწლეულების განმავლობა-ში, რამაც საეკონომიკური შედეგად მიგვიყვანა. სამუზეუმო საქმის კეთების კულტურამ ფასა-ღური სახე მიიღო.

საშიშ გარემოში უხდება მუშაობა, ყველაზე და-ბალი ხელფასი აქვს დანიშნული?

პრობლემები, რომლებიც მუზეუმის ცხოვ-რებაში დაგროვდა, ათწლეულებიდან მომდინარეობს. მათი გადაწყვეტა არც ისე იოლ საქმეს წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, უნდა გამო-ინახოს დრო და შესაძლებლობა მათ გადასაჭ-რელად. ამ საკითხების მოსაგვარებლად მთა-ვრობის მხრიდან პოლიტიკური ნებაც უნდა გა-მოიკვეთოს.

მუზეუმში შემორჩენილი მმართველობის სტრუქტურა ერთ დროს კომუნისტურ რეალო-ბაში არსებული სისტემური ცვლილების შედე-გად ჩამოყალიბდა, რადგანაც იმ დროს სისტემა პოლიტიკური იდეოლოგიას განასახიერებდა. ბუნებრივია, მუზეუმის სტრუქტურაც ამ შე-ვეთიდან გამომდინარე აიგო, რაც დღეისათვის სავესტით მიუღებელია.

საქართველოში მთავრობის მიერ სამუზე-უმო ქონების დატაცების პირველი ფაქტი გასუ-ლი საუკუნის ოციანი წლებში დასტურდება. 1929 წელს მუზეუმის იმდროინდელი ქონებიდან, რომელიც დოკუმენტებშია ცნობილი, როგორც მირზოვეისეული კოლექცია, სპეციალურმა კო-მისიამ 286 ნივთი (საიმპერატორო სერვიზები, საქისი კომპოზიციები, მემორიალური ბრინ-ჯაოს და ვერცხლის ნაკეთობები, ქსოვილები, რარიტეტული საშხედრო ნივთები და მრავალი სხვა), როგორც არა „სამუზეუმო ხასიათის“ ნიე-თები, განათლების კომისარიატის ბრძანებით (№270.1020), ვინმე კონსტანტინე ვასიერანის შუამდგომლობით, საქართველოს ცაქთან არსე-ბულ უპატრონო ბავშვთა კომისიას გადასცეს. აღნიშნული ქმედება წინასწარ მოფიქრებულ კომინაციას წარმოადგენდა, რათა სამუზეუმო ქონება (ძირითადად გამოყენებითი ხელოვნე-ბის ნიმუშები) დაინტერესებული პირების ხელ-ში მოხვედრილიყო. დოკუმენტების ნაცნობის დროს ნათლად იკვეთება ამ საქმეში ნივთმცოდ-ნის მაღალი პროფესიონალური დონე.

საკითხის ზედპირული განსჯაც კი მრავალ შეკითხვას ბადებს, რომელიც აუცილებლად სა-ჭიროებს პასუხის გაცემას. მათ შორის უმთავრე-სი გახლავთ შემდეგი:

– რამ გამოიწვია მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში მყოფ მუზეუმებში, პროფესიონალუ-რი მიმართულების (სამუზეუმო პროფილის) შე-ნელება და საბოლოოდ გაქრობა?

– რა არის მთავარი: მუზეუმში ამჟამად არ-სებული ექსპონატების შესწავლა, მოვლა-პატ-

„ერთმართველური“ რეჟიმის პერიოდში მუზეუმების დირექტორებს ხელს არ აძლევდათ ორგანიზაციაში რეფორმების გატარება, რად-გან სისტემა საშუალებას იძლეოდა დირექციის წარმომადგენელთათვის მუზეუმში კომფორ-ტული გარემო შექმნილიყო.

ს.ჯანაშიას სახ. სახელმწიფო მუზეუმში

საქართველოში დაწესებულებათა ერთი ნაწილი, რომელთა მენეჯმენტი გამართულ სო-სიტემაზეა აგებული შედგის თვალსაზრისით საერთაშორისო სტანდარტებს მიუახლოვდა (ჯარი, პოლიცია, ტელევიზიები, ბანკები, კომუ-ნიკაციის საშუალებები, კერძო სადასრველო ომპა-ნიები და სხვა), ხოლო ისეთი ორგანიზაციები,

საქართველოში მთავრობის მიერ სამუზე-უმო ქონების დატაცების პირველი ფაქტი გასუ-ლი საუკუნის ოციანი წლებში დასტურდება. 1929 წელს მუზეუმის იმდროინდელი ქონებიდან, რომელიც დოკუმენტებშია ცნობილი, როგორც მირზოვეისეული კოლექცია, სპეციალურმა კო-მისიამ 286 ნივთი (საიმპერატორო სერვიზები, საქისი კომპოზიციები, მემორიალური ბრინ-ჯაოს და ვერცხლის ნაკეთობები, ქსოვილები, რარიტეტული საშხედრო ნივთები და მრავალი სხვა), როგორც არა „სამუზეუმო ხასიათის“ ნიე-თები, განათლების კომისარიატის ბრძანებით (№270.1020), ვინმე კონსტანტინე ვასიერანის შუამდგომლობით, საქართველოს ცაქთან არსე-ბულ უპატრონო ბავშვთა კომისიას გადასცეს. აღნიშნული ქმედება წინასწარ მოფიქრებულ კომინაციას წარმოადგენდა, რათა სამუზეუმო ქონება (ძირითადად გამოყენებითი ხელოვნე-ბის ნიმუშები) დაინტერესებული პირების ხელ-ში მოხვედრილიყო. დოკუმენტების ნაცნობის დროს ნათლად იკვეთება ამ საქმეში ნივთმცოდ-ნის მაღალი პროფესიონალური დონე.

1935 წელს საქართველოში სტუმრად ჩა-მოსულ ავღანეთის მეფისათვის საჩუქრად, მუ-ზეუმის ექსპონატი მიურთმევიათ. საჩუქარი მთლიანად ვერცხლში ჩასმული ქამარ-ხანჯლი-სა და ჩოხის ქილებისაგან შედგებოდა.

1948 წელს ორბელიანების ყოფილ სასახლე-ში „საზღვარგარეთთან მეგობრული ურთიერ-ობის საზოგადოების“ შენობის ინტერიერის მოსაწყობად, ხელოვნების მუზეუმიდან გატანი-ლი იქნა, ევროპული ავეჯის რამდენიმე უნიკა-ლური ნიმუში. აღნიშნული ავეჯი დაფიქსირდა ამერიკის საელჩოს შემოღების აუდიტორული შე-

მოწმების დროს. ამჟამად სამუზეუმო ექსპონატები დაკარგულად ითვლება.

ზოგიერთი სამინისტრო საბჭოთა პერიოდში დარგობრივი გამოფენის მოსაწყობად ეროვნული მუზეუმის ექსპონატებს იყენებდა. ერთ-ერთი ასეთი გამოფენის ექსპონატი იყო, რომელიც 1962 წელს ჩატარდა და მევენახეობა-მეღვინეობის მსოფლიო საერთაშორისო კონგრესს ეძღვნებოდა, ეროვნული მუზეუმის საცავებიდან გაიტანეს (1962 წლის 4 ივნისი, აქტი №3) 110 ერთეულზე მეტი სამუზეუმო ექსპონატი, რომლის უმეტესობა ბოლო დრომდე დაკარგულად ითვლება. მათ შორის იყო XVIII-XIX ს-ის უნიკალური ვერცხლის ჭურჭელი. აღნიშნული ექსპონატები საქართველოს მეზობლებს-მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტს ერთი წლით ჰქონდათ ნათხოვარი. ვადის ამოწურვის შემდეგ ექსპონატები კლავ მუზეუმს უნდა დაბრუნებოდა. სამეცნიერო საბჭომ და იმდროინდელმა დირექციამ ნივთები დიდი ხნის შემდეგ როგორც იქნა მოიკითხა. აღმოჩნდა რომ აღნიშნული სამუზეუმო ექსპონატები სამინისტროს დაკარგული ჰქონდა. მუზეუმმა სამართლებრივი პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მიზნით მეცნიერებათა აკადემიის დადგენილების საფუძველზე ექსპონატებზე ნებაყოფლობით განაცხადა უარი. (საქ.მეც.აკადემია დადაგენილება №66. 1997 წლის 12 ივნისი). აღნიშნული დადაგენილებით დაკარგული ნივთები სამინისტროს მუდმივ მფლობელობაში

ში გადაცემის მიზნით დირექციამ მიიღო მუზეუმისათვის შეუფერებელი და ანტიკონსტიტუციური ბრძანებულება „ექსპონატების დროებით სარგებლობაში გადაცემის წესის შესახებ“ (2009 წლის 31 დეკემბერი, №376). ამრიგად, საბჭოთა პერიოდში დამკვიდრებული – მუზეუმიდან ექსპონატების გატანის „პროვინციული“ ტრადიცია, სამართლებრივად „შეიფუთა“. ახალმა დირექციამ მიღებული ბრძანებულებით მოიხსნა შესაძლო ინციდენტზე პასუხისმგებლობა და ქმედება კანონიერ ჩარჩოში მოაქცია.

ეროვნული მუზეუმიდან ამ დადგენილების „კანონიერ საფუძველზე“, დროებით გატანილი იქნა 4 ფერწერული ტილო: ე.ხვლედიანის „სილნალის გზა“, გ. ქუთათელაძის „ნატურმორტი“, აბანძელაძის „აბსტრაქცია“ და ე.კალანდიაძის „ძველი ბაზილიკა“. აღნიშნული ტილოები კულტურის სამინისტროში ინტერირის მოსართავად გადაიტანეს. ზოგიერთი არაოფიციალური წყაროს ცნობით სურათები საზღვარგარეთ წაიღეს და ამჟამად, პრაქტიკაში, საქართველოს საელჩოს კედლებს ამშვენებს. მსგავს ქმედებას „ახალი პერიოდის კულტურის მოღვაწენი“ ქართველი მხატვრების კიდევ უფრო მეტი პოპულარიზაციის მიზნით ხსნიან.

აღნიშნული დადგენილება, რომელიც ხელფეხს უხსნის მთავრობის ცალკეულ ჯგუფებს ეროვნული მუზეუმის ქონება თავისი ინტერესების მიხედვით განკარგონ, არამართლზომიერია. მეტიც, იგი არათავისუფალი და მუზეუმის

მაღე გააუქმებს და მის მაგივრად უფრო გონივრულ და ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე დადგენილებების მიღებით დაკავდება. საბედნიეროდ, ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, მსგავსი მოვლენები აღარ განმეორებულა.

ამრიგად, სხვადასხვა დროს მუზეუმის ქონების ხელყოფის ფაქტები იმის დასტურია, რომ მრავალჯერადი პარტიულ-პოლიტიკური ცვლილებების მიუხედავად, კანონი ვერ გახდა ეროვნული საგანძურის დაცვის გარანტი. სტრუქტურა, რომლითაც მუზეუმი წლების განმავლობაში მუშაობდა, წინ ვერ აღუდგა სამუზეუმო ქონების განთავსებას.

ყველა ეპოქაში მთავრობა ცდილობდა ისეთი სამუზეუმო კანონი მიეღო, რომელიც სამუალებას მისცემდათ ადვილად დაექვემდებარებინათ იგი. მთავრობის ასეთმა დამოკიდებულებამ და მუზეუმის ზოგიერთი თანამშრომლის საქმიანობის კონსტიტუციურმა მიდგომამ, მუზეუმი სავალალო მდგომარეობაში ჩააგდო. როგორც ცნობილი გახდა, დღესდღეობით რამდენიმე ასეული ექსპონატია დაკარგული და ამდენივე განადგურების პირასაა მისული. (ხილეთ გარეთი „ახალი თაობა“ №122. 2013 წ.). ვწუხვართ, რომ წერილობით მოყვანილი ინფორმაცია ექსპონატების დაკარგვის შესახებ, აისბერგის მხოლოდ ხილული ნაწილია.

მუზეუმში, პროფესიონალიზმის „გარდაცვალების საქმეში“, ლომის წილი მეცნიერებათა აკადემიის სისტიმეში ყოფნასაც მიუძღვის. ს.ჯანაშიას სახ. ისტორიის მუზეუმი, აკადემიურ წრეებში ცნობილი იყო, როგორც მაღალი

მავს და სწრაფად განახორციელებს მას.

სტრუქტურული ცვლილებების უმთავრესი მიზანი უნდა გახდეს:

ა) სამუზეუმო და სამეცნიერო საქმის ერთმანეთისაგან გამოჯვანა;

ბ) მუზეუმის მმართველად არ უნდა დაინიშნოს სამეცნიერო მიმართულების წარმომადგენელი.

გ) თანამდებობებზე არ უნდა ინიშნებოდნენ, არამედ უნდა ხდებოდეს ადგილობრივი კადრებიდან მათი პროფესიონალური ნიშნით არჩევა.

დ) თანამდებობაზე წარდგენილ კანდიდატურას უნდა გააჩნდეს დარგობრივი მიმართულების დროში განვლილი სამუშაო გეგმა, სადაც გამოკვეთილი იქნება პასუხისმგებლობები და ვალდებულებები;

ე) მართვის ჰორიზონტალურმა სისტემამ უნდა უზრუნველყოს სამუზეუმო მმართველობის დეცენტრალიზაცია და პასუხისმგებლობათა გადანაწილება.

რეფორმების გატარება ვერ განხორციელდება მთავრობის პოლიტიკური და ფინანსური მხარდაჭერის გარეშე. მუზეუმის საფინანსო პოლიტიკა კონსტიტუციით უნდა იყოს გარანტირებული. რეფორმის მიზანი უნდა გახდეს ეროვნული მუზეუმის მართვის სტრუქტურის საერთაშორისო აკადემიური შინაარსის მუზეუმების სტანდარტებზე გადაწყობა.

რამ განაპირობა, მუზეუმის დღის წესრიგში სტრუქტურული ცვლილებების დაყენების საკითხი? რა უარყოფითი ნიშნები ახასიათებს დღევანდელ ადმინისტრაციულ-იერარქიულ მმართველობას? არის თუ არა საჭირო თანამ-

# ცვლილებების აუცილებლობის შესახებ



გადაცემა. არსებული ფაქტი იმითაც არის საინტერესო, რომ ამა წლის იანვრის ბოლოს, სოფლის მეურნეობის სამინისტროში აღწერის დროს ნაპოვნი იქნა სწორედ ის ვერცხლის ჭურჭელი (დოკუმენტაციის გარეშე), რომელიც ერთ დროს დაკარგულად იყო მიჩნეული. აღნიშნული ისტორიის აღარ გავაგრძელებ, მაგრამ ერთს კი ვიტყვი, მუზეუმის (როგორც დირექციის, ასევე სამეცნიერო საბჭოს) მხრიდან ექსპონატებისადმი ასეთი დამოკიდებულება მსოფლიო სამუზეუმო პრაქტიკაში უპრეცედენტოა.

გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში ეროვნული მუზეუმიდან დროებით გატანილი იქნა 120 ერთეულზე მეტი, სატროფეო იარაღების კოლექცია, რომელიც აქტის საფუძველზე ჩაბარდა (შესანახად) კალინინის რაიონის მილიციას. მას შემდეგ ექსპონატები არავის მოუკითხავს და აღნიშნული მასალაც დაკარგულად ითვლება.

ყველაზე ადრე (ცნობილია, რომ ოთხმოციანი წლებში ხელფეხების მუზეუმიდან ყოველგვარი „წესისა და კანონის დაცვით“ გატანილი იქნა და დაიკარგა მხატვარ გიგო გაბაშვილის ფერწერული ტილო „ალავერდია“. ნახატი მინისტრთა საბჭოს ინტერირის მოსაწყობად წაუღიათ, რომელიც ოთხმოცდაათიანი წლების შუა პერიოდში სამთავრობო შენობიდან უკვალოდ გაქრა.

„ტრადიციად ჩამოყალიბებული“ მუზეუმიდან ნივთების წაღების ერთ-ერთ საინტერესო ფურცელს, პრეზიდენტის რეზიდენციაში ინტერირის მოსაწყობად ნიკო ფიროსმანის ფერწერული ტილოს – „წმინდა გიორგობის დღესასწაული ბოლნისში“ გატანის ისტორია წარმოადგენს. ზემოდ აღნიშნული სამუზეუმო ნივთებისაგან განსხვავებით, საზოგადოების ენებათაღვლევის შემდეგ, ექსპონატი დროზე ადრე დაუბრუნდა კანონიერ მფლობელს და ამჟამად მუზეუმის განკარგულებაშია. ეს გახლავთ ერთადერთი უნიკალური შემთხვევა, როდესაც სამთავრობო დონეზე წაღებული ექსპონატი მუზეუმს უკან დაუბრუნდა.

სამუშაო, რომ ამგვარი ტრადიცია მუზეუმის პრაქტიკაში დღესაც განაგრძობს არსებობას. სხვა ორგანიზაციაზე ექსპონატის ხმარება-

ცხოვრების წესისთვის მიუღებელია.

რამდენად კონსტიტუციურია აღნიშნული ბრძანებულება და ჰქონდა თუ არა მისი მიღების უფლებამოსილება მუზეუმის დირექციას?

პასუხისთვის ინტერნეტ გამოცემის „პრეს.ჯი“ მასალას მოვიხილავთ.

აღნიშნული ქმედების მართლზომიერების შესახებ ბ-ნი ზაქარია ქუცნაშვილი ბრძანებს: „ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს მე-2 მუხლის თანახმად: დაუშვებელია ნორმატიული შინაარსის სამართლებრივი აქტის, ინდივიდუალური შინაარსის სამართლებრივი აქტის სახით მიღება და, პირიქით. ამავე კანონის მე-8 მუხლის განახლებით, მხოლოდ საქართველოს საკანონმდებლო აქტით შეიძლება განისაზღვროს: ა) საკითხები, რომელთა გადაწყვეტაც საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, საქართველოს ორგანული კანონით ან საქართველოს კანონით არის გათვალისწინებული! რადგანაც „საქართველოს კონსტიტუციის 34-ე მუხლის II პუნქტში“ კულტურულ მემკვიდრეობას სახელმწიფო იცავს, მუზეუმიდან ექსპონატების გათხოვების უფლებას ძირითადი კანონიდან გამომდინარე კანონი უნდა ანიჭებდეს და არა მუზეუმის დირექტორის ბრძანება. საქართველოს კანონის მე-16 მუხლში მართლაც არის მე-3 პუნქტი, რომელიც ადგენს, რომ „მუზეუმის საცავებში დაცული ექსპონატებით სარგებლობის წესი განისაზღვრება მუზეუმის დებულებით“, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ კანონმდებლობით შესაძლებელია სამუზეუმო ექსპონატების თავისუფალი გადაადგილება შიგნით სამუზეუმო სივრცეში“.

მუზეუმიდან ნივთების „თხოვება“ ენიშნავს მდგომარეობას როგორც მთლიანად საზოგადოების, ასევე მის ცალკეულ წევრთა ინტერესს, რადგანაც სამთავრობო დაწესებულებებში განთავსებით, ფართო საზოგადოებისათვის მათი ნახვის მანის მნიშვნელოვანდ მცირდება. მსგავსი დადგენილებები ეროვნულ დონეზე უნდა იქნებოდეს „გაქორავების პუნქტისა“ და „პერიფერიული აზროვნების“ იმიჯს სძენს. რაც ყველაზე მთავარია, ექსპონატები ხშირი ტრანსპორტირების დროს გარკვეული რისკის ქვეშ ექცევა. მე დრამა დეკორა, რომ აღნიშნულ დადგენილებას დირექცია

სამეცნიერო პოტენციის მქონე დაწესებულებაში დაწესებულებაში, მაღალი სტატუსის მქონე ჩუნება სწორედ სამუზეუმო საქმის წარმოების დროს ხარჯზე ხდებოდა.

მეცნიერებათა აკადემიის დაქვემდებარებაში ყოფნისას, აკადემიურ წრეებში ადგილის დასამკვიდრებლად მუზეუმი ტრამპლინად იქცა! ეროვნული დაწესებულების „გამოყენებით“ ლიბერულად გადაქცევამ, პროფესიონალური ვექტორი არასასურველი მიმართულებით შემოაბრუნა.

არის კი გამოსავალი, ერთპიროვნულ მმართველობით სისტემას თავი დაეღწიოთ და მუზეუმს პროფესიონალური მიმართულება დაუბრუნოთ?

პასუხი ერთია! მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მუზეუმში დღეს არსებული სტრუქტურის სრული დემონტაჟი მოხდება და მმართველობითი სისტემა ჰორიზონტალურ სიბრტყეში გადაინაცვლებს. ამით საფუძველი შეექმნება მუზეუმში, საფონდო-საექსპოზიციო საქმის სწრაფად განვითარების. ჩვენი უპირველესი მოვალეობაა შთამომავლობას სრულად გადავცეთ ის, რასაც ჩავიბარებთ. თუ ექსპონატების დაცვის გამართული მექანიზმის შექმნა ვერ შევძელით, წლების განმავლობაში ყველაფერი დაიკარგება, რადგანაც პოლიტიკური ცვლილებების მიუხედავად, სამუზეუმო ქონებისადმი დამოკიდებულება მთავრობის მხრიდან არასდროს შენელებოდა.

მუზეუმში დღეს არსებული სტრუქტურული ბაღე, კონსტიტუციური კანონმდებლობა, შიგნით სამუზეუმო დადგენილებები და დაფინანსების საკითხი, რომლებიც ადევნებენ არ არის ობიექტურ რეალობასთან, დაუყოვნებლივ უნდა გადაიხედოს. სხვა შემთხვევაში, დირექცია ვერ შეძლებს მომავალში წინ აღუდგეს მთავრობის ზოგიერთი წევრის ანტისამუზეუმო ქმედებას. გარემოებიდან გამომდინარე ადმინისტრაცია მძევალი გახდება მთავრობის მოთხოვნების და მათი სურვილების უსიტყვო შემსრულებლად გადაიქცევა. დღეს არსებული სტრუქტურული სისტემით დირექცია ვერ გადაჭრის დაწესებულების წინაშე მდგარ პრობლემებს. იგი ვერ შეძლებს პროფესიონალური საქმიანობისათვის საჭირო გარემოს ჩამოყალიბებას.

წლების განმავლობაში დაგროვილი წინააღმდეგობების გადასაჭრელად, მუზეუმში ვერტიკალურ-იერარქიული მართვის სისტემა, რომელიც ყველანაირ პოლიტიკურ მოდელს ერგება, დემოკრატიული მართვის ჰორიზონტალური პრინციპით უნდა შეიცვალოს.

ახალი სტრუქტურის დამკვიდრებამ, რაც თანამდებობრივ არჩევითობას გულისხმობს, ხელი უნდა შეუწყობს პროფესიონალების სამუზეუმო მართვის საქმეში ჩართულობას. სწორი საკადრო პოლიტიკა სამუზეუმის მოგვეცემს მუზეუმის საქმიანობა შესაბამისობაში მოვიყვანოთ რეალურ სამუშაო პროფილთან. პროფესიონალური ნიშნით შერჩეული კადრი სწორად გააანალიზებს მიმდინარე პროცესებს, ზუსტად შეაჩვენებს სამუშაო მიმართულებებს, დაეგე-

შრომელთა ჩართულობა სამუზეუმო მმართველობაში?

რეფორმის განხორციელებამდე უნდა გავიაზროთ, როგორი მუზეუმი გვინდა და რა უნდა მოვიტხოვოთ ამისათვის მთავრობისაგან? რას შევთავაზებთ სამინისტროს და რა პარამეტრებით შექმნებათ მათ ამ პროექტში მონაწილეობა? ამ საკითხების დროულ გადაწყვეტაზე იქნება დამოკიდებული რამდენად სწრაფად და ხარისხიანად გავივლით რეფორმაციის პერიოდს.

სანამ ღია დისკუსიების ფორმატში არ ჩამოყალიბდება რეალური გზები და არ მოხდება მათი დაფინანსება, დირექციისა თუ მთავრობისაგან გაკეთებული ყველა განცხადება დარჩება ფასადური და ფარისევლური.

იმასათვის რომ მუზეუმმა დაიბრუნოს ეროვნული სიმდიდრის გადარჩენისა და მათი პროპაგანდის ფუნქცია, პირველ რიგში აუცილებელია შეიქმნას ისეთი სტრუქტურა, რომელიც მკვეთრად გამოიხატავს ერთმანეთისაგან სამუზეუმო (საფონდო, საექსპოზიციო, რესტავრაცია-კონსერვაცია, ექსპონატთა დაცვა-აღრიცხვა, საბიბლიოთეკო-საარქივო საქმეები და სხვა) პრაქტიკას, სამეცნიერო კვლევითი საქმიანობისა და ეს გულისხმობს მუზეუმის სივრცეში მათ დამოუკიდებლად არსებობას. ჩემი აზრით, ეს ორი საქმე ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდება – პროფესიული თვალსაზრისით სხვადასხვა მიმართულების მენეჯმენტის მოითხოვს.

სამუზეუმო რეფორმები თანხვედრილი უნდა აღმოჩნდეს დღევანდელ რეალობასთან. მართვის თვალსაზრისით იგი უნდა გახდეს საზოგადოებრივი და გამჭვირვალე, სადაც პროფესიონალის მიერ გამოთქმული მოსაზრება გაზიარებული იქნება. ეს იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ რეფორმიდან გამომდინარე, ისეთი ორგანო შეიქმნება, სადაც თანამშრომელს პრობლემის გამოთქმისათვის სათანადო ტრიბუნა დაეთმობა. ასეთ სტრუქტურად „მუზეუმის თანამშრომელთა წარმომადგენლობითი საბჭო“ მიგვაჩნია, სადაც გაერთიანებული იქნებოდა სამუზეუმო საქმის დეპარტამენტის ქვედა ემულონების (უშუალოდ ფონდის მცველები) და სამეცნიერო კვლევების დეპარტამენტის წარმომადგენლები. წარმომადგენლობით სტრუქტურაში ადგილების 2/3 ფონდის კურატორებს უნდა დაეთმოთ. საბჭოს არჩევნები უნდა ჩატარდეს 2 წელიწადში ერთხელ. საბჭოში კანდიდატის წარდგენა შესაძლებელი უნდა იყოს როგორც პირად (ინდივიდუალურად), ასევე დეპარტამენტის წარდგინებით. საბჭოს უნდა მიეცეს უფლება დაინიშნოს და, ამავედროულად, უკან გამოიწვიოს როგორც მუზეუმის მენეჯერი, ასევე დეპარტამენტის ხელმძღვანელი. საბჭომ უნდა უზრუნველყოს დეპარტამენტთა ტრანსპარანტულობა. ახალმა სისტემამ ხელი უნდა შეუწყოს სტრუქტურულ ერთეულებს შორის კოორდინაციასა და კომუნიკაციის განვითარებას.

# გივი შახნაზარი - 80



გამოჩენილ სომეხ პოეტსა და მთარგმნელს, ქართველი ხალხის ერთ-ერთ მეგობარსა და მოჭირნახულეს, გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ დიდ ქომავს, ბატონ გივი შახნაზარს 80 წელი შეუსრულდა.

ჩვენი გაზეთის რედაქცია სულითა და გულით, დიდი სიყვარულით ულოცავს მხკოვან პოეტს საიუბილეო თარიღს და გვჯერა, რომ იგი უკლავად განსაკუთრებულ წვლილს შეიტანს ორი ერის კულტურული ურთიერთობის დიდ საქმეში და მრავალმხრივი საინტერესო შემოქმედებით უნინდებურად გაახარებს მის ერთგულ მკითხველებს.

გთავაზობთ ბატონი გივის ახალ თარგმანებს:

## ნაკვამ ქურაქი

XIII –XIV

I  
ამ ზღვაზე ღამეში ძლივს შევძელ  
ორ ფილთა ფიქრის განასკვა...  
ერთ ძაფს სატრფოსკენ მივყავდი,  
უმალ ავწყვიტე ჯარასა;  
ავდექი, მივადექი ღვინითა,  
არ მოვეერიდე არასა:  
– თოვს, გამეთოშა ფეხები,  
კარს არ გამოიღებ ქალასა?!

II  
სატრფოვ, თუ იცი, წუხელის  
ღამით მეტრფე რო გენვია;  
გკოცნა და გკოცნა მინარი,  
ტუჩს კალო გაალენია...  
არ ვიცი, მოიმძინარე  
თავი, თუ მართლა გეძინა,  
შენი მდიდრული წყალობა  
ჭაბუკს კი მაღლად ენია...

III  
ღამაზო, ლურჯ ფერს ნუ იცმევ  
ჩემ მკვლელად, ჩემ დამდაგედო,  
ჩემ კარზე რხევით ნუ დახვალ,  
ჩემო დამწველო აბედო;  
ხიდის ოსტატის შვილი ხარ,  
რა იქნებოდა, საბედლოდ  
შენსა და ჩემ ტუჩებს შორის  
ჩვენც ცისარტყელა გაგვედო.

IV  
სულო, სადღა არ ვეძიე,  
ქვეყანა შევაჯგურია,  
ისეთი მსურდა, ჩემამდე  
თვალცი რომ არვის სჭერია;  
ბოლოს შენ შემრჩი – მეტრფისგან  
მიტოვებული ფერია,  
რა ერქვა ჩემ ცდას, ზიარი  
შენც თუ სხვის გედგა ჭერია!

V  
ფერი მძევს, საკმელისა ვთქვა,  
ზაფრანაა თუ ფითრია? –  
არ ვიცი, – შენგნით? თუ უკვე  
სიცოცხლის წამებს მითვლიან;  
მკრუნალად შენ გთქვეს, მიშველე!  
რო ვკვდები, ხო შეგიტყვია, –  
თორემ მე სული გამძვრება,  
კაცისმკვლელს შენზე იტყვიან.

VI  
შემომწერა გული! გაზიდა  
განძი ფერად და ფენადა;  
საყიდლად მთელი დუნია  
ზედ დაესია ხელადა;  
მო! შეაძლიე იმდენი,  
სხვა გაეკაროს ძნელადა!  
იხსენ! ვაგლახ ნუ ჩამიგდებ  
ვინმე მახინჯის ხელადა!

## ავეტიქ ისააკიანი

ქ ვ ა

სადა ძევს ნეტავ, სადა ძევს ნეტავ,  
სად ასვენია ის ლოდი ახლა,  
უბრალოდ ქვად თუ ბრწყინვალე სვეტად,  
რომ დაადგავენ ჩემს ობოლ საფლავს.

დღეს იქ ვაღამებ, ხვალ სხვაგან ვათევ,  
ამა სოფელში მწირად დავდივარ;  
რა იცის კაცმა, ეგების სადმე  
იმ ქვაზეც ვმჯდარვარ და მიდარდია?!

II  
შავი არწივი ღრუბელთ დასიდან  
დამაცხრა, მძლავრ ფრთას  
ფრთაზე იცემდა,  
მკერდი მიმტვრია, გული აზიდა  
და მიაშურა შორთა სივრცეთა,  
სად სავანა მუდმივი თოვლის,  
ესროლა გული დიდებულ მთათა  
და შემდგომ იმ დღის მარად და ყოვლით  
მესმის შუვილი არწივის ფრთათა!

III  
ვიხილე სიზმრად: უდაბნოში მიირხეოდნენ  
აქლემები და საამურად რეკდნენ ეფენები,  
ჩნდებოდნენ, ისევ ეფარვოდნენ  
მზისფერ ხეობებს  
აქლემები და საამურად რეკდნენ ეფენები.

ვიხილე სატრფო: მხიარული იჯდა  
აქლემზე,  
ძვირფასად მორთულს საქორწინო  
ედგა გვირგვინი,  
დავემხე მის წინ, ჩემს ვედრებას  
არად აქნევდა  
და ქარავანმა გადმიქროლა  
გულზე სირბილით.

გულგასენილი მარტოსული გზად  
მტვერში ვინექი,  
უსასოობის მომეახლა მე კაეშანი  
და შორით, შორით საამურად  
მესმოდა ისევ,  
უდაბნო მქროლი ქარავანის რეკვა  
ეფვანთა...

## ჰავან ტერიანი

I  
ო, ნუთუ ბოლო პოეტი მე ვარ?—  
ჩემი სამშობლოს ბოლო მგოსანი!  
ნაირო ჩემო, კვდომამ თუ თვლემამ  
დაამხო შენი სვე სხივოსანი?!

მოდრუბლულ ყარიბს, ვოცნებობ როცა,  
ნათელი, შენი შუქი მეზურვის  
და მეყურება: ვითარცა ლოცვა  
შდერს ენა შენი, ენა მეფური!

მინად – ღრმად მჭლერი!..  
ცად – ნათლის სვეტი!..  
ხან რომ ღვინდება, ხან რო მაჭრდება...  
კოკრად რომ სკდება, ვარდია ნეტავ  
თუ გაგისხენა ისევ ნაჭრევმა?!

გაოგნებული ვცეუღვარ ხმევად:  
მხარეე ალთქმულო, ნათლით გვმოსავდე!  
... ო, ნუთუ ბოლო პოეტი მე ვარ,  
ჩემი სამშობლოს ბოლო მგოსანი?!

ზაფხული, 1913

## დაგვიანებული სიყვარული

ქარბუქი გლოვს, უჩანი  
ჯანღია და... ტიალი,  
ასე გაუყურარი,  
ვისი ხმაა გვიანი?

თითქოსდა ორეულის  
ჩრდილად სულს ვინ ედება?..  
უცხო და შორეული  
გესმათ ჩემი ვედრება: –

დამივიწყოს... გარშემო  
ნუ მივლის, გზა ცთუნების  
უკვე აღარ არსებობს  
უკან დასაბრუნები...

ჩემ საფლავზე გამჩენი  
ვის აკენებს?.. შორია..  
ვინ გლოვს? ვისი მტანჯველი  
ხმა შობს თეთრ ქარბორბალას?..

საფლავს, ან რომ არ ახსოვს  
კაცთაგანს თუ ღმერთთაგანს,  
ვინ იხსენებს? ხმა არ ხმობს?..  
ვინა ჰგოდებს ერთთავად?...

უცხო ქვეყნის უძირო  
ზამთრის ღამე, მარტვილი...  
აქ ვინ დაძრწის უძილო?..  
ერთთავად ვინ დამტირის?..

## პარიურ სევაქი

მასხარა

დღეს გადავწყვიტე თქვენი გართობა  
ოლონდ – არც ცეცხლის შეჭმას ვაპირებ  
და არც ორლესულს არ გადავყლაპავ,  
გადავლაპულის ნაცვლად რომ მერე  
პირიდან ჩიტი ანდა ჭრელ-ჭრელი  
ცხვირსახოცები ამოვფარინო,  
რაც ხელობაა, მოგესხენებათ,  
ჩვეულებრივი ოინბაზების.

და... არც ფოლადის ვეება ძელის  
თავზე გადება არ მიფიქრია,  
დედიშობილა, ღამაზ-ღამაზი  
ქალები ზედ რომ ვაკონწილო,  
რაც, ჩვეულებრივ, ცირკშიც გინახავთ!

და... არც ის – წვეილი ფინიის მყვარ  
მუსიკის ჰანგზე ვაცეკვო დათვი...

...მე შემიძლია აგრეთვე... გოგრით  
მზე შევექმნა, ანდა, თუ გნებავთ – თავი!..  
ზუღლით კიდევ – სომბრერო, რასაც,  
აქვე, თუ თქვენც გსურთ, მეთამბაქოე  
ერთ ამხანაგ ქალს გულით ვაჩუქებ...  
ეს არაფერი! ქუდს ვაქცევ მარშლად  
ან კარდინალად,  
ანდა...

რა გითხრათ:  
ჩემო კარგებო, ჩიტის ბრდღენად მიჩანს,  
ვთქვათ და, ეს ხო, რომ ტვინად გიქციოთ,  
ტვინი... – გემრიელ საკენკად, ხოლო  
საკენკი – ჩვეულებრივ საჭმელად...

მაგრამ... დღეს თქვენი გართობა  
არ მსურას  
ამგვარ წვრილმანი რამერუმეთი!

დღეს მსურს, სარწმუნო და ასე თამამ  
აზრს გაზიაროთ ურწმუნო თომამ,  
მე! (ასე როდი ვმსჯელობ ნიადაგ!):  
ხვალ დაუფენენ ფეხქვეშ ფიანდაზს  
სამხეცის ათასნაირ ბინადართ...  
(არ შეშრობია ჯერაც მელანი  
ბრძანებას) მგელნი, დათვნი, მელანი,

სპილო, აქლემი, კობრა... ტურები, –  
ეჰ, რა ჩამოთვლის ყველას, ყველანი,  
მიხედვით მათი დამსახურების,  
გუნდი და გუნდი, ქორო და ქორო  
ჯილდოვდებიან მედლით, ორდენით  
და იცით, რისთვის? (ვმალო როდემდე!) –  
მოთმინებისთვის მხოლოდ და მხოლოდ...

ჯილდოს მიიღებს ყველა მათგანი  
(საფლავის მთხრელი თავად აფთარიცი!)  
უკლებლივ... ყველა, –  
გარდა ზებრების,  
რადგან ეს ძველი ვირისებრები,  
უკეთურებად დარჩნენ ეულად,  
ღირსეულებად ჯერ ვერ ქცეულან,  
ტლინკებს ყრიან და ტლინკებს იმკიან  
მათივ გალიის გისოსებისგან...  
თუმცა რა? უფარგისი ზებრისა  
თუ სხვისი, ტლინკი მაინც ტლინკია...

ვგონებ, სარწმუნო და ასე თამამ,  
აზრს გაზიარათ ურწმუნო თომამ,  
მე! – თუ ასეა, ნება მიბოძეთ,  
სულ სხვა ფიქრების სახელმწიფოებს  
გასტუმროთ ახლა (აზრი მოშვავდა):  
ჭეშმარიტების თქმა უმა, აქვე,  
გადიქცა ისე უბრალო საქმედ,  
ბოდიშს ვიხდი და, ვით...  
ვთქვათ... მოშარდვა!

უბრალოდ ვიტყვი (არ ვიჭაჭები),  
რომ, მეგობრებო,  
დღეიდან სულმთლად  
განიკურნება სნება ჭაჭების;  
რა ჰქვია? ხუთვა? ხუთვა თუ ხუთვა?  
დაბადებ ერთ ქვას, ორს,  
სამს თუ ხუთ ქვას,  
ერთი არ არის? – დაჰყარეთ მუქთად,  
მთავარი მაინც შევებით სუნთქვა!

კილამ გამომრჩა ჩერჩეტს... (უიმე!)  
რომ დღეის ამას იქით ტყუილებს  
აღარ გაყვიდით... ჩანვება... თუკი  
თქვენც დაიკიდებთ კუდს და იმ კუდით  
თქვენც დაეწვივით აბეზარ ბუზებს –  
რას უწოდებენ? საფიქრალს? მუზას?  
ტვინის ჭყლეტას თუ ბოდვას სულეთის? –  
ერთია მაინც, არის სულერთი!

დაბოლოს (აბა!), ურწმუნო თომამ  
ჯერ თქვენ მოგანვდით აზრს ასე თამამს  
და მერე თქვენგნით ვირწმუნებ თავად,  
რომ იმ უმადურ ჩალა მოზვერმა,  
ზამთრის პირზე რომ ყიდვა მინდოდა,  
ის მწვანე კვლები მიზვერ-მოზვერა  
და მთლად გამიძოვ-გამიმინდორა,  
მე დათესვა რომ მსურდა სამარტოდ...

ვისი რა მჭირდა, აბა, სამადლო!

მეტი რა? არც რა!  
არ ფქვა და არც ცრა  
მტრისას!.. ტყუილად  
ავყეფ-ავბლავდელი!  
კარგად მეყოლეთ, დავეშვათ ფარდა,  
მასხარის ფარდა...

ჰოპლა!.. ნახვამდის!..



XIX საუკუნის 20-იანი წლების მიწურულს მეფის რუსეთის მთავრობას საშუალება მიეცა საქართველოს ყოველმხრივი ათვისება განეხორციელებინა, ეს მხარე „სამოქალაქო და პოლიტიკური თვალსაზრისით მჭიდროდ შეეკრათ რუსეთთან“ და ექციათ მის განუყოფელ ნაწილად, რათა „პოლიტიკურად სანდო და ეკონომიურად მაქსიმალურად მომგებიანი“ ყოფილიყო. მოსახლეობა კი „ენით, გონებით და მთელი გრძნობით რუსი გამხდარიყო“.

ამიერკავკასიის მთავარმართებლის, ფელდმარშალ ივანე თევდორეს ძე პასკევიჩის მიერ გატარებული პოლიტიკის მიზანი საქართველოში ჯარმობილითა დასახლება იყო. 25-წლიანი საავადმყოფო სამხედრო სამსახურის შემდეგ, მათ, სხვა ფუნქციებთან ერთად, თავდაცვის

ქართველთა „ჩასახლება“, ურმებით ჩამოყვანეს. ხეობაში გაჩნდა ახალი გვარები: ბანდური, ნაგოგა, გავვა, ჩუბუკო, უსტიინეკო, პაშჩინეკო, შევჩენეკო, მარტინენეკო და ა.შ.

მიხეილ ვორონცოვის ბრძანებით ხეობა შესაფერისად მომზადებული შეხვდა გადმოსახლებულებს. ხეობიდან იდევნებოდა მკვიდრი მოსახლეობა, მათი სახლ-კარი და სახლთან მდგარი ყოველგვარი ნაგებობა გადმოსახლებულებს უნდა გადასცემოდათ. ადგილობრივი მოსახლეობა ვალდებული იყო მოეხნა, დაეთესა და ყოველმხრივ მომსახურებოდა ჩამოსახლებულებს, რათა მათ უცხო მინაზე დამკვიდრება გაადვილებოდათ. 200 ოჯახს 3000 დესეტინა საუკეთესო მიწა გადაეცა, თითოეულ მოსახლეს – 15-15 დესეტინა, მაშინ რო-

ვიანი ხარჯით დასახლდა, ხოლო ვინც სექტემბრამდე უსახსრობის გამო ვერ შეძლო უკან დაბრუნება, სამუდამოდ ბორჯომის ხეობაში დამკვიდრდა.

მრავალთვიანი მგზავრობის მიუხედავად, ხარებით წამოსულმა კაზაკებმა თან გამოიყილეს თავიანთი ოჯახური რელიკვიები: ხატები, ფოტოები, საოჯახო ნივთები, შექმნეს კომპაქტური დასახლებები და, მთავრობის შეზღუდვების პარარელურად, ეროვნული სახე და უნიკალური ეთნოსი მაინც შეინარჩუნეს. პოლტავის კაზაკებმა საქართველოში მინის დამუშავების საკუთარი კულტურა, ახალი პროდუქტი – კარტოფილი და მათთვის დამახასიათებელი არქიტექტურა ჩამოიტანეს. დღემდე შემორჩენილი ხის სახლები, ფანჯრები, აივნები, ყავრი

XVI საუკუნის შუა წლებიდან, დნეპრის ჭორომებს გაღმა წარმოქმნილი „ზაპოროჟსკაია სერ“-ის მავ ზღვაზე გასული თავისუფალი უკრაინელი კაზაკები ერთდერთ მოკავშირედ ქართველებს მიიჩნევენ...

საინტერესოა იტალიელი მოგზაურის პიეტრო დელა ვალეს საგანგებოდ მოთხოვნილი ქართველთა და დნეპრისპირელი კაზაკთა თბილი და მეგობრული ურთიერთობანი.

ისტორიაში ცნობილია, XVII საუკუნის პირველ ნახევარში დონის, თერგის და ზაპოროჟიის კაზაკები ქართველების გვერდით თურქეთის აგრესიის წინააღმდეგ როგორ იბრძოდნენ. დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა სიხარულით მასპინძლობდა კაზაკებს, რომლებიც თურქეთის ლაშქრობებიდან ბრუნდებოდნენ. კაზაკთა ხომალდები კი მყუდრო თავშესაფარს პოულობდნენ ჭოროხის, ხობის, რიონის, ენგურისა და სუფსის შესართავებში, სადაც ქართველები სურსათითა და ტყვიან-ნამლით უზრუნველყოფდნენ მათ.

1647 წელს „ზაპოროჟიე სერ“-ის კაზაკებს გმირული ბრძოლით თურქების მიერ დაპყრობილი ქართველთა კუთვნილი გონიოს ციხეც კი აუღიათ.

დასავლეთ საქართველოსთან ზაპოროჟიელ კაზაკთა ურთიერთობა იმდენად თბილი ყოფილა, რომ ისინი გურიისა და სამეგრელოს ქრისტიანულ ეკლესიებში ლოცულობდნენ და პატარ-პატარა დასახლებებშიც კი ჰქონიათ. ამ მეგობრობაში განსაკუთრებული ადგილი გურიის მთავარს – ქაიხოსრო I-ს უკავია, ხოლო გართულბულ ურთიერთობაში – სამეგრელოს მთავარს ლევან II დადიანს (1611-1657 წ.წ.).

დნეპრულ კაზაკებს დასავლეთ საქართველოს ბევრი გლეხი მიჰყვებოდა თურმე „ზაპოროჟიე სერ“-ში, მათ შორის თურქების ტყვეობიდან თავდახსნილებიც, რომლებიც თავისუფალ კაზაკებთან ერთად სხვადასხვა საბრძოლო მოქმედებებში იღებდნენ მონაწილეობას, მშვიდობიანობის დროს კი მინათმოქმედებას ეწეოდნენ, რასაც ცნობილი უკრაინელი მკვლევარი თ.შევჩენეკოც ადასტურებს: „ზაპოროჟიე სერში“ ჩინით და უჩინოდ ქართველებიც იყვნენ, რომლებიც შემდგომ გაუკრაინებლდნენ...“ ფაქტია, რომ მათ ქართველი მოძღვარიც კი ჰყოლიათ. კაზაკთა სიეში კი ქართველთა მრავალრიცხოვანი სახელები იწებებოდა: თედორე გურჯი, ალექსი გურჯი, დენის გურჯი, მიხაილო გურჯი, ივანე გურჯი, კორნელი გურჯული, დემიან გურჯული, გრიცკო გურჯისინი /გრიგოლ ქართველი/, ივანე გოგა, პავლე გურჯავა, პანკო /პანტელეიმოს/ კობა, ივანე ობიზი, ხარკო /ზაქრო/ გურჯი და ა.შ.. ცნობილია, რომ ძველი დროიდან მოყოლებული, ქართველებს რუსეთში „ობებებს“ უწოდებდნენ, რომლებიც, თურმე, არა მარტო სერში, არამედ ე.წ. „სლობოდებშიც“ ცხოვრობდნენ. ყოფილა სოფელი „გრუზინოვკა“-ც, სადაც არა მარტო მეგრძოლი, არამედ მინათმოქმედი ქართველებიც ცხოვრობდნენ, რომლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ უკრაინის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ყველა ხალხის ისტორიაშია ბრწყინვალე და საამაყო პერიოდი. 300 წელზე მეტ ხანს სწორედ ასეთი საკვირველი მოვლენა იყო კაზაკობა უკრაინაში, თანაც იმდენად დიდი და განმსახვრეველი, რომ XVII-XVIII საუკუნეების დოკუმენტებში უკრაინელებს „კაზაკთა ერადაც“ კი იხსენიებენ. დნეპრის ქვემო ნელში, უკრაინული კაზაკების მნიშვნელოვანი ცენტრი, ზაპოროჟიე სერის - „ზაპოროჟიის ლაშქართან“ და კაზაკურ სულთან ერთად მთელი უკრაინული კაზაკობის სინონიმი გახდა. როგორც გეტმანი ბოგდან ხმელნიცკი აღნიშნავს, კაზაკთა იქმნებოდა ხალხიდან, რომლებმაც „ყმობას ვერ გაუძლეს და კაზაკობას ეზიარნენ“.

1775 წელს იმპერატორ ეკატერინე II-ის ბრძანებით ლიკვიდირებულ კაზაკთა დასახლებების მიძივ ხევდრი სამწუნაროდ ქართველობასაც შეხებია.

ისტორიული ურთიერთობის საინტერესო ფურცელია ქართველთა აქტიური პოლტავის, მიროგორიისა და პრილუკის პოლკებში და ქართველ ჰუსარათა პოლკის შექმნა.

როგორც ირკვევა, რომანოვებს არა მარტო უკრაინელები გადმოუსახლება საქართველოში, არამედ ქართველებიც გადაუსახლებიათ უკრაინაში. ამის ნათელი დასტურია მ. პლოხინსკის ცნობილი ნაშრომი „ქართველთა დასახლებები მალდოროსში მე-XVIII საუკუნეში“, სადაც საუბარია ქართველთა განსახლებებზე უკრაინაში. იგი აქვე გავკრთ აღნიშნავს იმ ვარაუდზეც, რომ შესაძლებელია ქართველები სამხრეთიდან – თურქეთიდან აღნევიდნენ მალდოროსში. მ.პლოხინსკი ერთ მეტყველ ფაქტზეც საუბრობს, რომ უკრაინის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში შეიძლება მრავალ ფაქტს გადაეყარო, რომლებიც მოწმობენ, თუ როგორ გარბოდნენ ქართველი ტყვეები ცალკე-ცალკე და ჯგუფ-ჯგუფად თურქების საფლობელოებიდან უკრაინაში. საარქივო მასალებში ასევე შეიძლება ვნახოთ ისიც, თუ ვინ იყვნენ გაქცეულები, როგორ იყო მათი სოციალური მდგომარეობა, როგორ მოხვდნენ ტყვეობაში, სად დასახლდნენ და ა.შ....

ქრისტიანული, მართლმადიდებლური სარწმუნოების მიმდევრობამ მათ ქართულ გარემოში და ქართველებს უკრაინულ გარემოში ასიმილაციისა და ადაპტაციის საშუალება და შეურული ოჯახების შექმნის აუცილებლობა მისცა, კულტურული თავისებურებების შენარჩუნებით, მაგრამ მშობლიური ენის დაკარგვის ფასად.

**ვიოლბა ბალახაშვილი**

# წოდანობები და უკრაინელთა

ფორპოსტების ფუნქციების შესასრულებლად, თურქეთის მოსაზღვრე რეგიონებში და ჩრდილოეთ კავკასიაში ასახლებდნენ. ამავე პერიოდში, სოფელ გომბორში საარტილერიო პოლკი, ხოლო მანგლისში – საკავალერიო პოლკი იდგა. ყოფილი ჯარისკაცები, ოფიცრები, კაზაკები, კომპაქტურად სწორედ აქ, მდინარე ალაზანთან (დღევანდელი ლაგოდეხის რაიონში) – გომბორსა და მანგლისში ჩასახლეს და მიწები დაურიგეს. მათ ასევე გაფანტულად ასახლებდნენ საქართველოს სხვადასხვა ქალაქებსა თუ დასახლებულ პუნქტებში. გენერალ-ფელდმარშალ გრაფ პასკევიჩის თანამდებობიდან და, შესაბამისად, საქართველოდან წასვლის შემდეგ, ასეთი დასახლებების შექმნას მასიური ხასიათი აღარ მისცემია და დროებით კიდევ შეჩერდა.

საქართველოში ცარიზმის ამ კოლონიზატორული პოლიტიკის გატარების ერთ-ერთ გზას სხვადასხვა ეროვნების ხალხთა ჩამოსახლება წარმოადგენდა, რომლის შემსრულებლად კავკასიაში რუსეთის ყველაზე გამოცდილი და ნიჭიერი ადმინისტრატორი – მიხეილ ვორონცოვი მოვევლინა პირველ მეფისნაცვლად – 10 წლიანი „საგზურით“.

ნიჭიერი პოლიტიკოსი მოსახლეობას ნელ-ნელა ახვევდა თავს რუსულ კაპიტალს, მონესრიგებულად იპყრობდა შინაურ ბაზარს და რუსულ ბიუროკრატიაში ამკვიდრებდა მართვა-გამგეობის ყველა სფეროში. რუსული ადათი, ზნე-ჩვეულება, საზოგადოების ყველა ფენაში იკიდებდა ფეხს.

თავად ვორონცოვის გეგმის მიხედვით, დემოგრაფიული პრობლემისა და მხარის რუსიფიკაციის მიზნით, მიღებული იქნა გადამწყვეტილება საქართველოში მალდოროსი კაზაკების ჩამოსახლების შესახებ, რაც მათთვის – იმპერიისათვის ორმხრივად იყო სასარგებლო, რადგან გადასახლებაში გაგზავნილთა უკრაინული ნაყოფიერი მიწები ხელახლა აეთვისებინათ და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა ძირშივე აღმოეფხვრათ. XIX საუკუნის 40-იან წლებში პოლტავისა და ჩერნიგოვის გუბერნიებიდან უკრაინელები თავდაპირველად კახეთისა და ნინოწმინდის სოფლებში განსახლეს, შემდეგ კი, ამიერკავკასიის მეფისნაცვალმა, მიხეილ სერგის ძე ვორონცოვმა, კოლონიზატორების დასახლებულად ბორჯომის ხეობა აირჩია. „ამას იგი ორი მოსაზრებით აკეთებდა: ჯერ ერთი, ოსმალეთის საზღვარზე სანდო მოსახლეობას შექმნიდა, რამეთუ, ადგილობრივ მოსახლეობას რუსეთის თვითმპყობლობა არ ენდობოდა, პირიქით, ცდილობდა რაც შეიძლება მეტად დაეჩაგრა და თუ შეიძლებოდა, უცხოეთშიც გაეგზავნა“ და, მეორეც: იგი დიდი მიზნობებითა და ერთგულებით ცდილობდა კურორტ ბორჯომისა და, საერთოდ, მთელი ხეობის გარუსებას, რათა ადგილობრივი ქართული მოსახლეობა აეყარა და ეს „მდიდარი და ლამაზი კუთხე რუსი მოსახლეობით დაესახლებინა, ნამდვილ რუსულ პროვინციად გადაექცია“, რითაც კიდევ ერთხელ ამტკიცებდა რუსეთის იმპერიის, იმპერატორისა და საერთო საქმისადმი მის უზომო სიყვარულს.

ამ ყოველივეს სიძლიერეს მატებდა იმპერიის ხელისუფალთა ძლიერი სურვილი ბორჯომის სახაზინო მამულად გადაქცევის შესახებ, რაც დიდი ძალიანსმებით კიდევ განხორციელდა. აღნიშნული სიტუაცია კურორტის ასათვისებლად, სოფლის მეურნეობის განსავითარებლად, ტყის რესურსების გამოსაყენებლად და სხვა მრავალთათვის – მუშახელის რაოდენობრივად გაზრდას საჭიროებდა.

1853 წელს პოლტავის სახელმწიფო ქონების პალატამ ვერცხლის ფულით ოთხი ათასი მანეთი მიიღო მალდოროსიელ კაზაკთა ბორჯომის სახაზინო მამულში ჩასახლებლად. 1853 წლის 25 ივლისს კავკასიის მეფისნაცვალ თბილისის გუბერნიის პროკურორს – კრივეციკის უკვე ოფიციალურად წერს და უცხადებს, რომ „შუამდგომელ მთავრობის გადაწყვეტილებით ბორჯომის ხეობაში დასახლებულად მალდოროსების ორასი ოჯახი მიემგზავნება“. მალდოროსია – მცირე რუსეთი, უკრაინის სახელწოდება იყო, რომელიც მეფის რუსეთის აქტივში, ისტორიულ წყაროებში და ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიაში იხმარებოდა, რადგან სიტყვა „უკრაინა“ და „უკრაინელი“ გამოყენება რუსეთის იმპერიაში კატეგორიულად იკრძალებოდა.

ხეობის სოფლებში: სადგომში, დაბაში, ნალვერში, მიტარბში, ბაკურანში, საკოჭავსა და ციხისჯვარში 764 კაცი და 611 ქალი, აგარაკების ასახელებლად და, უპირველეს ყოვლისა,



# ჩამოსახლება ბორჯომში

დედაც ადგილობრივ მცხოვრებლებს მხოლოდ 4-4 დესეტინა მიწა ჰქონოდა. მათ ასევე უფასოდ ეძლეოდათ საშენი მასალა, ხე-ტყე და ა.შ. მიხეილ ვორონცოვი და მთავრობის მოხელენი გადმოსახლებულებს მუშა-საქონლის მიცემას, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარით დაკმაყოფილებას, წლების მანძილზე ხაზინის კმაყოფიანად ყოველსაც პირდებოდნენ. ხელშეწყობა და დახმარება მათ ბორჯომში განლაგებულმა ტიფლისის საეგერო პოლკმაც გაუწია. მათვე გამოეყოთ 20-20 მანეთი, ე. ი. თითოეულ ოჯახს 40 მანეთი პირვანდელი ხარჯების, საქონლისა და სასოფლო იარაღების შესაძენად.

ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული უნიკალური ექსპონატები, ფოტო და სხვადასხვა დოკუმენტები, ნათლად წარმოაჩენენ 1853-54 წლებში მალდოროსიელი კაზაკების – პოლტავისა და ჩერნიგოვის გუბერნიებიდან ბორჯომის სახაზინო მამულში ჩამოსახლებულთა ისტორიას. დოკუმენტებში აღწერილია მალდოროსიელი რეგიონების მკაცრი კლიმატური პირობები, უკიდურესი სიღარიბე, შიმშილი, ავადმყოფობა, ჩინოვნიკთა ტყუილები და ა.შ... ბორჯომის სახაზინო მამულის მმართველის, პორუჩიკ ე. ვოდუნისკის 1853 წლის 17 ნოემბრის ანგარიშიდან ნათლად ჩანს, რომ „გადმოსახლებულთა მდგომარეობა სავალალოა, ბევრი მათგანი ცხოვრობს დროებით მიწურებში, 150 კაცზე მეტი ავადაა, მეტწილად, საქმლის უკრაინელების გამო, 100 ჯანმრთელი მოსახლე ტიფლისის სამხედრო გუბერნატორის, თავად ანდრონიკოვთან მოლაპარაკებით გაგზავნილია ფულით სამოგზაოდ ქ.ტიფლისსა და გორში, ასევე პორუჩიკი თხოვს თავად ანდრონიკოვს გადასცეს გადმოსახლებულთ ყაჩაღობისგან და გარეული ცხოველებისგან თავის დასაცავად 200 თოფი, 4 ფუთი თოფის ნამალი და 8 ფუთი ტყვია, და სწორს აგრეთვე, გადმოსახლებულთათვის მართლმადიდებელი მღვდლის გამოყოფის აუცილებლობის შესახებ“.

ბორჯომის ხეობისათვის თავგადადებულ მიხეილ ვორონცოვი თავის თანამდებობას ტოვებს, ახალი ხელმძღვანელობა კი ახალ-მოსახლეებს დაპირებებს აღარ უსრულებს და ჯავახეთის მხარის უკმაყოფილო გადმოსახლებულნი, რომელნიც დარწმუნდნენ, რომ მათი გადმოსახლება მხოლოდ და მხოლოდ მთავრობის პოლიტიკას ემსახურებოდა და არა მათ ინტერესებს, პრეტენზიების წამოყენებას იწყებენ. ეტყობა, ეს პრეტენზიები იმდენად ძლიერი და ყოვლის მომცველი იყო, რომ მთავრობა იძულებული გამხდარა მათთვის თანხმობა გაეცხადებინა.

შექმნილი აუტანელი პირობების გამო 1854 წელს უკრაინელთა 132 ოჯახი, რომლებიც იმპერატორის თანხმობით, მის მიერვე მითითებულ ტერიტორიაზე – ჩრდილოეთ კავკასიაში, კავკასიის ხაზზე, ალხან ოურტის მე-2 სუნჯეუკის სახაზო კაზაკური პოლკის სადგურთან – სუნჯაში მთავრობის დაუხმარებლად, თავი

გადახურული სახლები, ლემელები. კაზაკური ნეს-ჩვეულებით ყველაზე საპატივსაცემო წარმომადგენელი სამი წლით სოფლის თავად ირჩეოდა და დიდი გულმოდგინებითაც ასრულებდა თავის მოვალეობას. ბაკურანში ამ მოვალეობის პირველი შემსრულებელი ტროფიმ რომანენეკო იყო, თორმე – ბოგდან ჩუბუკო, ნალვერში – 1835 წელს გადმოსახლებული, ექვსი ვაჟის მამა, სახაზინო მამულის მეტყვევ და ნალვერში ამ გვარის დამფუძნებელი მაისეი მარტინენკო.

როგორც ამბობენ, ნარსულის გარეშე არ არსებობს ანმყო და მომავალი. საქართველო კი დასაბამიდანაა ცნობილია თავისი მრავალეროვნულობით, პოლიეთნიკურობით, საოცარი რელიგიური და ეთნიკური ტოლერანტობით. ზუსტად 160 წელი გვაშორებს უკრაინელთა ბორჯომში გადმოსახლების დღიდან. ამ ხნის განმავლობაში ქართველები და უკრაინელები შეევეყენ ერთად ცხოვრებას... მათ კარგად ისწავლეს ქართული ენა, ადათ-წესები, გაჩნდა შერეული ოჯახები...

თუმცა, ისტორიის ლაბირინთებში თუ „ჩავიდირობით“, ვნახავთ, რომ ქართველთა და უკრაინელთა ურთიერთობანი გაცილებით ადრეულ საუკუნეებში იღებს სათავეს. კიეველების მიერ, ათონის ივერთა ტაძრის ყაიდაზე, კიევის განთქმული მღვიმის, კიევო-პეჩორის ლავრის აგება, ამ ლავრის მოხატვაში ქართველ ფერმწერთა მონაწილეობა, 1147 წელს ქართველი კათალიკოსის მიერ კიევის მიტროპოლიტის კურთხევა, 1154 წელს ქართველი მეფის ასულის, კიევის დიდ მთავარ ნიხასლავ მსტიისლავის ძეზე მითხოვება – ქართველთა და უკრაინელთა უძველეს ურთიერთობებზე და მეგობრობაზე მიანიშნებს.

1647 წელს არჩილ მეფეს პეტრო მოვილას სიცოცხლეშივე მისი „კატეხიზმი“, ხოლო XVII-XVIII საუკუნეების რუსეთში თავმეფარებულ ქართველებს კი პეტრე მოგვილას დიმიტრი ტუშტაოს თხზულებანი უთარგმნია.

ქართველი და უკრაინელი მწერლების მეგობრობის კეთილშობილური ტრადიცია ჩვენთვის დავით გურამიშვილისა და დღესია უკრაინკას, ტარას შევჩენკოსა და აკაკი წერეთელის სახეობა. პირველები სწორედ უკრაინელები – ტარას შევჩენკოს მეგობრები და თანამაზრეები – მიკოლა გულაკი და ალექსანდრე ნავეროცკი იყვნენ, რომლებმაც მოთა რუსთაველის პოეზიის თავისებურებებს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს, საუცხოოა პავლე გარბოვსკის მიერ ილია ჭავჭავაძის ლექსების თარგმანები, უკრაინული ხალხური პოეზიის პირველი გამოცემები და სხვ.

ჯერ კიდევ XV საუკუნის იტალიელი ელჩი ამროსი კონტარინი თავის საანგარიშო მოხსენებაში ხაზგასმით აღნიშნავდა მავ ზღვაზე ქართველთა და უკრაინელთა კავშირებზე. ზოგიერთი ისტორიკოსის აზრით, უკრაინელ კაზაკობასთან კავშირი ჰქონია გიორგი სააკაძესაც...

ტიტონ ივალაშვილი

1. ახალქალაქის მარა

1944 წელს სამცხე-ჯავახეთიდან გასახლებული მამამადიანი მოსახლეობის, ე.წ. „თურქი მესხების“ დაბრუნება-არდაბრუნების პრობლემა ქართველი ხალხის წინაშე დიდი ხანია დგას და მის შესახებ საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. პოლიტიკური კლიმატის ცვალებადობის შესაბამისად ეს საკითხი ხან გააქტიურდება, ხან მიწვევდება. ამ ბოლო დროს გარკვეულმა წრეებმა მასზე ყურადღება კვლავ გამაზვიანეს და ცალკე საერთაშორისო კონფერენციაც კი მოიწვევნენ.

არსებული წერილობითი წყაროების, სპეციალური თუ ზოგადი ლიტერატურის, დოკუმენტების, საარქივო მასალებისა და აღნიშნულ რეგიონში ჩვენს მიერ წლების განმავლობაში მოძიებულ-დაფიქსირებული ეთნოგრაფიული მასალების ურთიერთ შეჯერება-განალიზება საშუალებას გვაძლევს ერთხელ და საბოლოოდ განვსაზღვროთ, ვინ არიან ე.წ. „თურქი მესხები“ და ვინ, რა მიზნით იყენებს ამ ხელოვნურად შექმნილ ტერმინს.

გამაჰმადიანებული მოსახლეობა (თარაქამები, ქურთები, თურქები) მოგვიანებით ისლამიზებული ქართველები გასახლებამდე ძირითადად ახალქალაქისა და ახალციხის მარაში (დღევანდელი წინონწილის, ახალქალაქის, ასპინძის, ადიგენისა და ახალციხის რაიონები) ცხოვრობდა. ვინაიდან ამ მარებში მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა არაერთგვაროვანი იყო, ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია იმ დროისათვის ამ რეგიონებში არსებული ვითარება ცალ-ცალკე განვიხილოთ.

აღნიშნული რეგიონებიდან 1944 წელს გასახლებული მამამადიანი მოსახლეობის ე.წ. „თურქი მესხების“ ეთნიკურ ვინაობას და მათ უკან „სამშობლოში“ დაბრუნების საკითხზე ზოგადად არა ერთხელ ითქვა და დაინერა კიდევ. ახალციხის მარაშიდან განსხვავებით, სადაც (ურავლის ხეობის გარდა) მოსახლეობის უდიდეს ნაწილს გამაჰმადიანებული ქართველობა შეადგენდა, ახალქალაქის მარაში მცხოვრებთა ეთნიკური შემადგენლობა მეტად მრავალფეროვანი იყო. აქ ცხოვრობდნენ მკვიდრი ქრისტიანი და გამაჰმადიანებული ქართველები (რომელთა გვადრითი წილი საკმაოდ მოკრძალებული იყო), შემოცხოვრებული ქრისტიანი სომხები, თარაქამები (ყარაფაფახელები), ქურთები, თურქები და ბოშებიც კი. ვინ იყვნენ და როდის შემოცხოვრდნენ ეს უცხოტომელები ამ რეგიონში? მივყავთ ფაქტებს.

წერილობითი დოკუმენტებითა და ეთნოგრაფიული მასალებიდან ნათლად ჩანს, რომ ახალქალაქის მარაში არა მარტო გამაჰმადიანებული ქართველები, არამედ, ძირითადად, XVIII საუკუნის ბოლოსა და, განსაკუთრებით, XIX საუკუნის დასაწყისობის სხვადასხვა მამადიანური წარმოშობის ტომების წარმომადგენელთა მოჭარბება იყო. ამ ფაქტების დაკავშირებით ალექსანდრე ფრონელი გულისტკივილით აღნიშნავდა: „გარძიას რკინის რგოლივით გარს არტყია მამადიანობა; ნეტა ოსმალი მანც იყვნენ ან ჩვენი აჭარლები, ვინ რას იტყვის კიდევ? უფარგისი წარმომადგენელი მამადიანობისა: ქურთი, თარაქამი, მუთურფნი, ბოშანი გაბნეულან ვარძიის ვარშემო. ქართველთა მხოლოდ ოთხი სოფელია: აფნია, გოგამენი მტკვრის მარჯვნივ, აგარა და ზედათმოგვი მარცხნივ“ [3; გვ. 95].

1830 წელს „სომხების დიდი რაოდენობით შემოსახლებასთან დაკავშირებით, დაისვა საკითხი ჯავახეთიდან სხვა წარმომადგენლისა და სხვა ხალხის გასახლებისა და ჩამოსახლებული სომხებისათვის ერთგვარი ავტონომიური ბუფერის შექმნისა...ამასთან დაკავშირებული დონისძიება იყო, რომ 1831 წელს ყარაფაფახელების ერთი ნაწილი აყარეს ჯავახეთიდან და დასახლეს ერუშეთის იმ ნაწილში, რომელიც ანდრიაწილის ზავის შემდეგ რუსეთის საზღვრებში დარჩა და რომელსაც ისტორიულ წყაროებში „ნივალის“, ანუ ნიალის ველი (ეს ტერმინი დღეს ასპინძის რაიონს ეკუთვნის – თ. ი.) ეწოდება“ [2; გვ. 333].

აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ არა მხოლოდ ახალქალაქის მარაში, არამედ, საერთოდ, სამცხე-ჯავახეთში შემოცხოვრებულ ქურთებსა და თარაქამებს, რუსეთის მიერ ამ რეგიონის შემოერთებამდე და შემოერთების შემდეგაც, მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ თურქეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან და ხშირად გადადიოდნენ-გადმოდიოდნენ საზღვარზე. მათ ამგვარი მიმოსვლა არც საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგაც შეუწყვეტიათ.

თარაქამები (ანუ ყარაფაფახელები), სამცხე-ჯავახეთში შემოდიან XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის დასაწყისში. ისინი მომთაბარე ცხოვრებას ეწეოდნენ და ამავე საუკუნის ბოლოსაც კი მინაზე ნაკლებად იყვნენ დამარგებულინი [2; გვ., 334].

„მოსახლეობის 1926 წლის აღწერის დროს სომხეთში 6.331 ადამიანი დარეგისტრირდა როგორც ყარაფაფახე. მათი დიდი უმრავლესობა ცხოვრობდა საქართველოსა და თურქეთის მოსაზღვრე შირაქის ოლქში... 1940-იან წლებში ყარაფაფახელები უმთავრესად მესხეთში ცხოვრობდნენ“ [5; გვ., 21]. მათი უდიდესი ნაწილი მეფის რუსეთის ლოცვა-კურთხევით მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან ძირითადად ახალქალაქის მარაში იყო შემოცხოვრებული. ამ მკვლევარ-მომთაბარე ხალხისთვის იქ შესანიშნავი საზაფხულო-საზამთრო საძოვრები იყო

და იმ პერიოდში თურქეთში გადახვეწილი 65 ათასი მამადიანი ქართველის მიერ მიტოვებული ბინები ხელსაყრელ პირობებს უქმნიდა მათ ბინადარ ცხოვრებაზე გადასვლისათვის. ამ ფაქტთან დაკავშირებით ალ. ფრონელი აღნიშნავდა: „1828 წლის სექტემბრის ანდრეანო-პოლის ტრაქტატით ჯავახეთი შეუერთდა რუსეთს და, მამასადავამ, საქართველოს, როგორც რუსეთის იმპერიის ნაწილს. ამავე დროს მოხდა საოცარი და სამწუხარო ამბავი: გამაჰმადიანებული ჯავახობა ოსმალეთს გადაიხვეწა და დაცარიელდა ჯავახეთი. მკვიდრთაგან დარჩნენ მხოლოდ მცირეოდენი ჯავახობა... ჩუმი მართლმადიდებელი-ქრისტიანენი, ქართველი კათოლიკენი სომხის ტიბიკონისა, ქურთნი, თარაქამნი და გამაჰმადიანებული ქართველების სულ მცირე ნაწილი. დაცარიელებულ ჯავახეთში რუსის მხედროდენი სარდალმა პასკევიჩმა მოიყვანა 1830 წ. არზრუმისა და დიდდაბის სოფლები და დააბინავა ქართველების ნასოფლარებში. ბევრი დღევანდელ ჯავახეთში, ქართველობა, სამივე წესისა – მართლმადიდებელი, კათოლიკენი და მამადიანნი შექვეყნდნენ ნაწილს შეადგენენ. ამგვარად, დღევანდელ ჯავახეთში ცხოვრობენ: 1)ოსმალეთის ბატონობის დროიდან დარჩენილი ქურთები; 2)თარაქამნი; 3)

მცხოვრებ გამაჰმადიანებულ ქართველთა მოთარევე ბანდებს ეძახდა. 1918–1919 წლებში ეს ბანდები ქრისტიანულ მოსახლეობას განსაკუთრებული სისასტიკით უსწორდებოდა. შემოხვედნის დროს სოფელ ქუჩცაში მცხოვრებმა ერთ-ერთმა მუსლიმანმა ქართველმა თავის ბოსელში თავი მოუყარა მეზობელ, ასევე სხვა სოფელიდან შემოსული ქრისტიან ქართველებს და სამი დღე იარაღით იცავდა მოთარევე ხუშებისაგან. სამწუხაროდ, ასეთი ერთეულები ამინდს ვერ ქმნიდნენ, ამიტომ ახალქალაქის მარაში ქრისტიან მოსახლეობას ამ წლებში ორჯერ მოუხდა აყრა და ბაკურისისაკენ თუ ყარაიასაკენ გაქცევა. სარწმუნოება გამოცვლილი ქართული მოსახლეობის უდიდესი ნაწილი თავისი შეგნებით, მრწამსითა და რწმენით თურქები იყვნენ და ნებაყოფლობით აირჩიეს გასახლებულთა ბედი.

არსებული ეთნოგრაფიული მასალების მონაცემებით, ნიალაში 400, გავეთში 60, გელსუნდაში 30-40, თოლერაში 20, ალანძიაში 20 კომლი თარაქამი, ხოლო ნაქალაქეში 150, თომგვში 100, შულავერში 60, ხერთვისში 800 კომლი ქურთი ცხოვრობდა[8]. სამწუხაროდ, დანარჩენ სოფლებში მაცხოვრებელ კომლთა რაოდენობის შესახებ ზუსტი მონაცემები არ

წელს შუა აზიაში (მათ ისტორიულ სამშობლოში) გასახლებულ უცხოტომელებს გაეხსნათ საქართველოში დაბრუნების „გენეტიკური მესხიერება“?

არსებული წერილობითი წყაროებიდან და დოკუმენტური მასალებიდან ნათლად ჩანს, რომ ახალქალაქის მარაშიდან 1944 წელს გასახლებულთა 70%-ზე მეტი არც თურქი იყო და არც მესხი. ისინი XVIII-XIX საუკუნეებში შემოცხოვრებული მამადიანურ სარწმუნოებაში-ლებული სხვადასხვა ტომის წარმომადგენლები იყვნენ (რომელთა წინაპრების ბინადრობა აქ ას ნელსაც კი არ მოიცავდა) და არანაირი გენეტიკური ფესვები არ აკავშირებთ მკვიდრ ქართველ ხალხთან თუ საქართველოსთან. ისევე, როგორც სომხები, მათი შემოცხოვრებაც ამ რეგიონში თავის დროზე თურქეთის, შემდეგ კი რუსეთის შორს გამიზნული ქმედება იყო ადგილობრივი მკვიდრი ქართული მოსახლეობის ეთნიკური მემობისა და თვითმყოფადობის გადაგვარება-გაქრობისთვის. ამიტომ ვერ დავეთანხმებით ბატონ მამუკა არეშიძეს ყოფილი ახალქალაქის მარაშიდან 1944 წელს გასახლებულები თითქოს ყველა „საქართველოს მკვიდრები არიან და ადრე თუ გვიან საქართველოში უნდა დაბრუნებულიყვნენ“[5]

უკვე ათეული წლებია ქართულ პოლიტიკაში აქტიურად მუშაობს ე. წ. „თურქი მესხების“ „სამშობლოში“ დაბრუნებისა და მათი ინტეგრაციის საკითხი. ამ საქმეში ჩარეულია არაერთი პარაზიტი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომლებიც, ვითომდა საქმის შესასწავლად, ასეულათასობით (დღეისათვის უკვე მილიონობით) თანხებს ითვსებენ. ამ არასამთავრობის ნაცვლად (რომლის წევრთა უმრავლესობამ არც კი იცის ახალქალაქისა და ახალციხის მარაშის საზღვრები რა ტერიტორიებს მოიცავდა, ამიტომ მათ მიერ მოწოდებული ინფორმაცია ხშირად დაუზუსტებელი და მცდარია) უკეთესი იქნება შეიქმნა კომპეტენტურ სპეციალისტთა ჯგუფი, რომელიც დიფერენცირებული ცალ-ცალკე სიღრმისეულად შეისწავლის აღნიშნული მარაშის იმდროინდელი მოსახლეობის ეთნიკურ ვინაობას, შემოცხოვრების მიზანს, სახელმწიფოებრივ აზროვნებას, გასახლების ნამდვილ მიზეზს და არა შეთხზულსა თუ ყურით მოთურულს (გრანტის მიღების მიზნით ამ გზას არაერთი არასამთავრობო ორგანიზაცია მიმართავს), მათი მიღებისათვის ჩვენი ქვეყნის შიშაობა და ა. შ. ასეთი საჭიროებოტო და უმნიშვნელოვანესი პრობლემის გადასაწყვეტად აუცილებელია ყოველი წერილობითი თუ მეორეხარისხოვანი დეტალების გულდასმით საფუძვლიანი განაწილება. სადგინებროდ, გვეყავს ასეთი სპეციალისტები, რომლებსაც შეუძლიათ საქითხი უმოკლეს ვადაში ფუნდამენტურად შეისწავლონ და საფუძვლიანი რეკომენდაციები მიანოდონ ხელისუფლებას.

ჩვენ ადრეც ვაცხადებდით და ახლაც ვაცხადებთ, რომ ქართველ კაცს, თუ მას „გენეტიკურ მესხიერებაში“ შემორჩენილი აქვს ეროვნული თვითშეგნება, სახელმწიფოებრივი აზროვნება და სამშობლოში დაბრუნების სურვილი, ის ჩვენი საზრუნავია და შედეგებისდაგვარად კიდევ უნდა დავეხმაროთ. მაგრამ ისიც უნდა დავგვეხმაროს იმით, რომ გაითავალისწინო ქვეყნის დღევანდელი შესაძლებლობები, შექმნილი მძიმე მდგომარეობა და დასთანხმდეს იმას, რასაც ე.წ. თურქობა აღიარა და, ამდენად, თვითონვე გადწყვიტოს თავიანთი ბედი; მათ რჯულის დატოვებას სამშობლოს დატოვება არჩიეს და არა თუ ისინი, არამედ მათი შთამომავლებიც არ ნიბონენ. ამის თქმის უფლებას გვაძლევს მათთან არაერთგვარის შეხვედრა და საუბარი.

გასული საუკუნის 90-იან წლებში სამარყანდში (მე და ჩემი კოლეგები სამარყანდიდან ბუხარაში მივემგზავრებოდით) შემთხვევით შევხვდით და გავესაუბრეთ საფელ ანდლან (ახალციხის რაიონი) გადასახლებულ ჯავახროვების ოჯახის წევრებს. მათ გულთბილად და სიყვარულით გაიხსენეს თავიანთი სოფელი, მეზობლები, მათთან ურთიერთობა. დამშვიდობებისას ვკითხეთ, ხომ არ აპირებდნენ სამშობლოში დაბრუნებას. ყველამ (სულ ექვსნი იყვნენ) გულახდლად გვიპასუხეს: „რა თქმაუნდა არა. აქ კარვად ვცხოვრობთ, შეძლებულად, სარწმუნოებითაც და ენითაც აქაურებთან ერთად ერთად. იქ კი, სარწმუნოებითაც და ენითაც უცხო ვარწმუნო ვიქნებოდნენ და შეგუებას ვერ შევძლებთ“-ო. ჩვენს ამ საუბარს სხვებიც ისმენდნენ და ჯავახროვების ნასკლის შემდეგ რამდენიმე ახალგაზრდა მამაკაცი გამოველაპარაკა. ისინი აღმოჩნდნენ ასპინძის რაიონის სოფელ ალანძიდან გასახლებულ თარაქამთა შთამომავლები, რომლებსაც „სამშობლოში“ დაბრუნების დიდი სურვილი ჰქონდათ. გაცხადებდნენ რომცა ვკითხეთ, არა თავიანთ ისტორიულ სამშობლოში, არამედ მაინც და მაინც საქართველოში (სადაც XIX საუკუნეში მისი მომთაბარე-მეჯოგე პაპის მამამ შემოვიდა) – თუ რატომ სურდათ დაბრუნება, მათ გულახდლად გვიპასუხეს: „ჩვენთვის აქ ადგილი არ არის. ჩვენ ჩვენი კუთხე, ჩვენი ავტონომია გვინდა, აქ არ გვაძლევენ; ასე გვიპირდებიან და იმედს გვაძლევენ (მაგრამ არ დააკონკრეტეს ვინ პირდებდა ან ვინ აძლევს იმედს. თ. ი.), როცა საქართველოში დაბრუნდებით, იქ მიიღებთ ამ ყველაფერს. მათ თუ ეს დანაპირები არ შესარულეს, ჩვენ მაინც დავბრუნდებით და ჩვენ თვითონ შევიქმნით ჩვენს ავტონომიას“-ო.[7]. საინტერესოა, რაღა მაინც და მაინც ყოფილი ახალქალაქის მარაში XVIII-XIX საუკუნეებში შემოცხოვრებულ და 1944

კიდევ ერთხელ ე. წ. „თურქი მესხების“ ვინაობის შესახებ

არზრუმიდან მოსული სომხები; 4)რუსეთიდან არდემოსახლებული დუხაბურები და 5)მკვიდრნი ქართველები: მართლმადიდებელი, კათოლიკე და მამამადიანი ქართველები[3; გვ.170-171]. მეფის რუსეთის მიზანმიმართული პოლიტიკის წყალობით ახალქალაქის მარაში მამაპაპური მშობლიური კერა იძულებით დატოვა რამდენიმე ათეულმა ათასმა სარწმუნოებაგამოცვლილმა მკვიდრმა ქართველმა და არა შემოცხოვრებულმა თურქული მოდგმის ტომებმა თუ სხვა ხალხმა.

პროფესორ მ.ბერიძის მითითებით, – „თარაქამები (ყარაფაფახელები – თ.ი.) ცხოვრობდნენ ფანაქეთში, ქარზამეთში, არდობში, ვანში, ბუზმარეთში, ალანძიაში, ოთაში, ყოინდარაში, მოილოლში, ბაზირხანაში; ხოლო ქურთები სახლობდნენ 19 სოფელში – მირაშხანსა და ნაქალაქეში. 1944 წლისათვის ისინი დასახლებულად რწმენისა, მიეცა საშუალება ნებაყოფლობით თვითონ აერჩია ქრისტიანობა-ქართველობა თუ მამამადიანობა-თურქობა (ამ რაიონის მოსახლეობაში ქრისტიანობა ნიშნავდა ქართველობას, ხოლო მამამადიანობა – თათრობა-თურქობას). არა მარტო ქურთებმა, თარაქამებმა და თურქებმა, არამედ სარწმუნოება გამოცვლილმა ქართველთა დიდმა უმრავლესობამაც (რამდენიმე ცალკეული ოჯახის გარდა), შეგებულად თავის რჯულად მამამადიანობა, ე.წ. თურქობა აღიარა და, ამდენად, თვითონვე გადწყვიტეს თავიანთი ბედი; მათ რჯულის დატოვებას სამშობლოს დატოვება არჩიეს და არა თუ ისინი, არამედ მათი შთამომავლებიც არ ნიბონენ. ამის თქმის უფლებას გვაძლევს მათთან არაერთგვარის შეხვედრა და საუბარი.

„მამამადიანი ქურთების საქართველოში მასობრივი დასახლება მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში დაიწყო. ისინი, როგორც მომთაბარე ტომები, თურქეთიდან ჩამოვიდნენ და ძირითადად ჩასახლდნენ საქართველოს სამხრეთ რაიონებში...1939 წელს დარეგისტრირდა 12.915 ქურთი...აქედან 3.646 ადამიანი, უმთავრესად მამამადიანი ქურთი, სახლობდა მესხეთის რეგიონებში, ხოლო 2.898 კი აჭარაში. 1944 წლის ნოემბერში მესხეთთან და სამცხე-ჯავახეთისა და აჭარაში ნაცხოვრებ მამამადიანთა სხვა ჯგუფებთან ერთად გადასახლეს დაახლოებით 7.000-8.000 ქურთი“[6; გვ., 24-26].

მკვიდრი ქრისტიანი ქართველი მოსახლეობა იყო მხოლოდ სოფელ საროში, ხიზაბაერაში, ვარგავეში, თოკში, ზედათმოგვიში, ქილდაში, გოგამენში. ჩუენჩაში, პგენაში, მურჯახეთში, კოთელიაში, ბარალეთში აგარაში, ხოლო როკეთში, ოკაში, მარგასტანში, ქუჩცაში, დადუმში, ზეგლი, ერკოტაში ჭობარეთში, ტოლოშში, მოგვიანებით ქრისტიანი ქართველებთან ერთად გაჩნდნენ გამაჰმადიანებული ქართველებიც, რომელთა სალაპარაკო ენა იყო ქართული. იდუმალაში, ორგორაში, სახუდაბელში, ლობიეთში, რუსთავეში, ასპინძასა და ომორაში მხოლოდ გამაჰმადიანებული ქართველები ცხოვრობდნენ. მათ უკვე დავიწყებული ჰქონდათ მშობლიური ქართული ენა და ფაქტობრივად, თურქულ ენაზე საუბრობდნენ. გამაჰმადიანებული ქართველების იმ ნაწილს, რომლებიც ქრისტიანი თანამომემებთან ერთად ცხოვრობდნენ, ნაწილობრივ ვერ კიდევ ჰქონდათ შემოქმედებული ქართული ეროვნული ცნობიერება და მშობლებისდაგვარად ეხმარებოდნენ კიდევ ძნელებადობის ფაშს გაჭირვებაში ჩაწვარდნილ ქრისტიან თანამომემებს და მოძალადე თანამორწმუნეებისაგან იარაღითაც კი იცავდნენ. საილუსტრაციოდ მხოლოდ ერთ ფაქტს დავასახელებთ. 1918 წელს ხუშების (ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობა „ხუშნებს“ ახალციხისა და ადიგენის რაიონებში

გამოყენებული ლიტერატურა მ. ბერიძე, მამამადიანი მესხების ფესვები და დღევანდლობა, თბ., 2009.

შ. ლომსაძე, სამცხე-ჯავახეთი, თბ., 1975. ა. ფრონელი, დიდებული მესხეთი, თბ., 1991.

საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, თბ., 1930. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, № 56, 2013 წელი.

ტ. ტრიერი, გ. თარხან-მოურავი, ფ. კოლიმნიკი, მესხები: გზა შინისაკენ..., თბ., 2012.

გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 24 ნოემბერი, 1989 წელი.

თ. იველაშვილი, სამცხე-ჯავახეთში 1983 წლის მივლინების მასალები.

Материалы для изучения экономического быта государственных крестьян Закавказского края, т. 3. 1886. მ. ბერიძე, მამამადიანი მესხების ფესვები და დღევანდლობა, ახალციხე, 2013.

ბონდო არეპლაპი

საქართველოს ეკლესიის ისტორიის წყაროების სერიით გამოვიდა მანგლისის და წალკის ეპარქიის მიტროპოლიტი, პროფესორ ანანია ჯაფარიძის საკმაოდ ვრცელი მოცულობის კრებული — „უცხოური (ბერძნული—ლათინური), სომხური და ქართული წყაროები წმინდანის შესახებ, ფლავიუს არიანე ლაზებისა და ძივრიტების შესახებ, პროკოფი კესარიელი (Vს) ლაზიკის შესახებ“ (2013).

შესავალში ვეცნობით კრებულის გამოცემის მიზანს და დანიშნულებას, რომელიც მისი უწმინდესობის ილია II-ისა და წმ. სინოდის გადაწყვეტილებით ყოფილა განპირობებული. ეს გადაწყვეტილება მიმართულია — მცდარი ისტორიოგრაფიული თეორიების წინააღმდეგ.

მისი უწმინდესობა 2011 წლის საშობაო ეპისტოლეში წერს: „ჩვენი უძველესი ისტორიის ზოგიერთი საკვანძო საკითხი, რაც ქართველთა წარმომავლობას და ერის ერთიანობას უკავშირდება, რეალური სახით თანამედროვე საზოგადოებამ ნაკლებად იცის. ამის მიზეზი არს ის, რომ ცარიზმი და საბჭოთა იმპერია ყოველთვის ცდილობდნენ იგი არაობიექტურად წარმოეჩინათ. მათ არ სურდათ, ჩვენს ხალხში ეროვნულ-პატრიოტული სულისკვეთების გაღვივება, რადგან იგი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოთხოვნის საშუალებას შეიცავდა. არაობიექტურად მოწოდებული ისტორიის საფუძველზე, სრულიად უკანონოდ და უსამართლოდ შეიქმნა, მაგალითად, ავტონომიები XX საუკუნის დასაწყისში რუსეთის მიერ დაპყრობილი საქართველოში. ადრეც მითქვამს, რომ სწორედ ამიტომ განსაკუთრებულ ცნებურად განიციდა ქართული ისტორიოგრაფია, ენათმეცნიერება და სხვა ისეთი მიმართულებები, რომელთა მსოფლმხედველობაც განსაზღვრულ დარგებში მიიწინაოდა, ჩვენს ცნობილ მკვლევარებს დიდი ძალისხმევა და თავდადება დასჭირდებოდათ, რათა დაწინაურებულ მანკად დაეღწინათ და დღემდე მოეტანათ ჩვენი ერის ისტორიული სიმართლე“.

ამ მცდარი ისტორიოგრაფიული თეორიის მიხედვით, დასავლეთ საქართველოს ქართული ეკლესია მთელი 500 წლის განმავლობაში (IV–IX სს) კონსტანტინეპოლის იურისდიქციის ქვეშ იმყოფებოდა. მხოლოდ IV–X საუკუნეებში ქართლის (მცხეთის) საკათალიკოსო შეიქმნა დასავლეთ საქართველოს საპატრიარქოს იურისდიქციაში და იქ არსებული ბერძნული ეპარქიების გაუქმების შემდეგ დასავლეთ საქართველოში გაბატონდა.

სამწუხაროდ, ეს კონცეფცია თავის სასარგებლოდ გამოიყენა საეკლესიო სეპარატისტმა, აფხაზმა დ. დრბიმ და ქართველ მეცნიერთა ნაშრომებზე დაყრდნობით შეუდგა მტკიცებას — დასავლეთ საქართველოს ეკლესია კონსტანტინეპოლის იურისდიქციის ქვეშ იმყოფებოდა და იქ ღვთისმსახურებისთვის — ეკლესიებში არამართ ბერძნული, არამედ აფხაზური ენაც გამოიყენებოდა, ხოლო შემდეგ დასავლეთ საქართველოს ეკლესია და აფხაზური სახელმწიფო ქართველმა აგრესორებმა, ქართული ეკლესიის წინამძღოლობით დაიპყრეს და აფხაზური ეკლესია ჩაკლეს“. (Иермонах Дорифей „Драб“ (Краткий очерк истории Абхазской Православной Церкви, Новые Афины)).

ამ მცდარი ისტორიოგრაფიული კონცეფციის თვალსაზრისით, გამოდის — კახეთის ტერიტორიის დიდი ნაწილი უცხო ეკლესიის იურისდიქციაში ყოფილა — ბოძებ, დავით გარეჯის მიმდებარე მიწები შედიოდა ალბანეთის საკათალი-

კოსოს იურისდიქციაში. მხოლოდ მოგვიანებით გაბატონდა იქ ქართული ეკლესია (Провославная энциклопедия, т. I — „ალბანეთის საკათალიკოსო“).

აქვე უნდა ითქვას, ამ რუსულ ენციკლოპედიაში სამხრეთ საქართველო არაქართულ ქვეყნად არის გამოცხადებული, სადაც ქართული ეკლესიის გაბატონების შემდეგ მოხდა „მკვიდრი“ სომხების გაქართველება. ტაო-კლარჯეთის ქართული არქიტექტურა — ოშკი, იშხანი, ხახული ხანძთა და სხვა გამოცხადებულია სომხურად. ეს მოხდა ვითომ ადგილობრივი სომხების „ქართიზაციის“ შედეგად (Провославная энциклопедия, т. I — „სომხური ეკლესია“).

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, 2012 წლის 5 ივლისს წმ. სინოდმა თავის დადგენილებაში კატეგორიულად მიუთითა — „XIX საუკუნის მეორე ნახევარში და, განსაკუთრებით, XX ს-ის კომუნისტური მმართველობის ხანაში მიზანმიმართულად შეიცვალა და გაყალბდა შეხედულება საქართველოს ეკლესიის, საზღვრების შესახებ“...

აქედან გამომდინარე, უწმინდესი პატრიარქის ბრძანებით საპატრიარქოსთან შეიქმნა — „საქართველოს ეკლესიის რეალური ისტორიის დამდგენი მუდმივმოქმედი კომისია, მისი მალაყოვლადუსამღვდელოების, მანგლისის და წალკის ეპარქიის მიტროპოლიტის ანანია (ჯაფარიძე) ხელმძღვანელობით“.

მეუფე ანანიამ ამ წლების მანძილზე ბეჯითი, შესაშური შრომით მოიძია, შეკრიბა და დაურთო ვრცელი მეცნიერული კომენტარები და გამოცემა აღნიშნული კრებული. კერძოდ, ამ კრებულში ქართული და უცხო ავტორთა თხზულებებიდან მოხმოილია მასალა, რომელიც ადასტურებს იმ ფაქტს, რომ დასავლეთ საქართველოს ეკლესია ოდითგან (IV–IX სს) იყო ერთიანი საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში.

მოდით, მოკლედ გადავხედოთ ამ წყაროებს. დავიწყეთ გერმანული და ლათინური: გელასი კესარიელი (IV ს): „იმავე ხანებში ღვთის მცნება მიიღეს პონტოს განვრივ მინა-წყალზე მცხოვრებმა იბერებმა და ლაზებმა. ამ უდიდესი სიკეთის მიზეზი გახდა ერთი დედაკაცი, რომელიც მათთან ტყვედ იყო“ (გეორგიკა I, გვ. 186). გელასი კვირიკელი: „პონტოს გასწვრივ მცხოვრებმა იბერებმა და ლაზებმა მიიღეს ღვთის მცნება ტყვე ქალისგან“ (ივ. ჯავახიშვილი, I, გვ. 52). ტირანუს რუსიუსი (დაახ. ახ. წ. აღწ. 345–410 წწ) საეკლესიო ისტორია — „ტყვე ქალის მიერ იბერთა ტომმაც, რომელიც პონტოს ცის ქვეშ მიიღო უფლის სიტყვის სჯული და მომავალი სასუფლის რწმენა. ასეთი დიდი სიკეთის მიზეზი კი ერთი ტყვე ქალი აღმოჩნდა...“

შემდეგ მოდის მოვსეს ხორენაცის (ჯერ კიდევ ცალსახად არ არის დადგენილი რომელ საუკუნეში ცხოვრობდა — V, VII, IX. ბ.ა.) „სომხეთის ისტორიიდან“ ამონარიდი — „... წმ. ნინო იქადაგა სახარება კლარჯეთიდან და წყებოლი, ვიდრე ალანთა და კასპიის კარამდე, მანსქუთთა საზღვრამდე“.

მეუფე ანანიას საკმაოდ უხვად გადმოუღია წმინდა ნინოს ცხოვრება. ეს ჩვეულებრივად არის, რადგან ყველაზე სრულყოფილად ამ ქართულ თხზულებაშია წმინდა



# მიტროპოლიტ, პროფესორ ანანია ჯაფარიძის ახალი ნაშრომი

ნინოს ცხოვრება და ღვანლი ასახული იბერთა შორის ქრისტიანობის გავრცელების საქმეში.

აი, ეს არის მცირე ნაწილი კრებულში უხვად წარმოდგენილი მასალისა, რომელშიც არსად ბერძნული საპატრიარქოს ხსენებაც არ არის. ამდენად, დასავლეთ საქართველოს ეკლესიის კონსტანტინეპოლის იურისდიქციაში არსებობის თვალსაზრისი მცდარია და მიუღებელი.

განსაკუთრებით საყურადღებოა კრებულის მეორე ნაწილი. იგი იწყება სტრაბონის (ძვ. წ. I ს.) კოლხეთის შესახებ ვრცელი ამონარიდით. მეუფე ანანიამ სტრაბონის ცნობების და სხვა რეალიების მეშვეობით გამოარკვია, კოლხეთი მდებარეობდა არა „იბერიის გასწვრივ“, ე.ი. დასავლეთ საქართველოში, არამედ არმენიის გასწვრივ, ტრაპუნტ-ჭოროხის რეგიონში ან ისტორიულ საქართველოს, სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. ამ სრულიად ახალი ორიგინალური თვალსაზრისის დასამტკიცებლად, ავტორს მოხმოილია და, რასაკვირველია, გაანალიზებული აქვს საკმაო რაოდენობის ფაქტობრივი მასალა ამ მხარის ისტორიული გეოგრაფიიდან.

მეუფე ანანიას განხილული აქვს აგრეთვე ფლავიუს არიანეს (ჩვ. წ. I–II სს) ერთ-ერთი თხზულება — „მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო“ (2013). ამჯერადაც ერთობ საინტერესო და ახალ მოსაზრებას გვანდის. საქმე იმაშია, რომ მან უარყო საბჭოთა ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული აზრი, რომლის მიხედვით ფაზისი მიჩნეული იყო მდ. რიონად, ხოლო ფაზისის შავი ზღვის შესართავთან იყო ქ. ფაზისი (ამჟამინდელი ფოთი). არიანეს აღნიშნული ნაწარმოების სკურულოზური ანალიზის საფუძველზე წამოაყენა მოსაზრება — ფაზისი ეწოდებოდა მდ. ჭოროხს, ხოლო მის საზღვართან მიერთების მიდამოში შესაძლოა იყო მცირე ანტიკური ქალაქი (გვ. 114). ეს აზრიც დამაჯერებლად გამოიყურება.

მეუფე ანანია, მის ახალ მოსაზრებას, დასავლეთ საქართველოს ეკლესია რომ არასდროს ყოფილა კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს იურისდიქციის ქვეშ, არაერთგზის უბრუნდება და იგი კიდევ უფრო დამაჯერებლად რომ გამოხატოს, იმონებს ივ. ჯავახიშვილს — „გიორგი მთაწმინდელი და, განსაკუთრებით, ეფრემ მცირე, რუს-ურბნისის 1103 წლის საეკლესიო კრებულის ყველა სულისჩამდგმელი და ნიკოლოზ კათალიკოსი ამტკიცებენ, რომ ანდრია მოციქულმა იქადაგა ყოველსა ქვეყანასა საქართველოსა-სა“, ხოლო შემდგომ ქრისტიანობა აღადგინა წმინდა ნინომ, რომლის სასწაულმოქმედებამ და ქადაგებამ „მიიზიდა ყოველი საგვება ქართველთა ნათესავისა“. ნიკოლოზ კათალიკოსიც, წმინდა ნინოს საერთო მოციქულად და განმანათლებლად თვლიდა „ჩვენს ქართველთათვისა“ („სასწაულნი სვეტიცხოვლისა“). ერთი სიტყვით, ანდრია მოციქულიც და წმინდა ნინოც, საერთო ქართული ეკლესიის დამაარსებლად, მთელი ერის განმანათლებლად იყვნენ ცნობილი. საქართველოს სხვადასხვა სურვილიც არ ჰქონიათ, რადგან ისინი მთლიანად და განუყოფელი საქართველოს განმტკიცებისა და აღორძინებისთვის იღვწოდნენ. ანტიოქიელი — იერუსალიმელი პატრიარქი მიხეილ, სწორედ ამ ქართველ სახელოვან მეცნიერთა მიერ შექმნილსა და მთელი ქართველი ერის შესისხლხორცებულ შემეცნებას სპობდა“ (ივ. ჯავახიშვილი, თხზ. ტ. III, გვ. 340).

კრებულში ამ ნაწილის დასკვნაში მეუფე ანანია წერს: „როდესაც ჩვენ ვამტკიცებთ, რომ დასავლეთ საქართველოს იურისდიქციის ქვეშ არ გაჩნდა თავისი იურისდიქცია, ცხადია, იგულისხმება აქ სასაზღვრო მდინარეების აქეთ მდებარე დასავლეთ საქართველოს ტერიტორია. როგორც ცნობილია, მდ. ეგრისისწყლად მიიჩნევა მდ. ლალიძგა (ოჩამჩირის რაიონში), ხოლო მდ. კლისურად — მდ. კელასური (სოხუმთან)“ (გვ. 105).

ყველაფერი ნათლად არის ნათქვამი. მეუფე ანანიას აგრეთვე მოტანილი აქვს დამატებითი უცხოური წყაროების ცნობები, რათა აღნიშნული მოსაზრება უფრო ნათელყოს. ეს ცნობებია — პროკოფი კესარიელი (VI) ლაზიკის შესახებ აგათაი სქოლასტიკოსი (VII ს.) ლაზიკის შესახებ, ეპიფანე კონსტანტინეპოლიელი (VIII ს.) ლაზიკის შესახებ და იმპერატორი იუსტინიანე (VI ს) ლაზიკის შესახებ.

კრებულს ერთვის ავტორის მიერ შედგენილი ისტორიული რუკები — წყაროები წმიდა ნინოს შესახებ, სტრაბონი კოლხეთის შესახებ, არიანე-ლაზიკის შესახებ და სხვადასხვა ავტორები ლაზიკის შესახებ.

კრებულს ბოლოს დართული აქვს მიტროპოლიტი, პროფ. ანანია ჯაფარიძის ვრცელი დასკვნა, რომელშიც აღნიშნულია — „ჩემი კვლევა სტრაბონისა აჩვენებს, რომ სტრაბონის კოლხეთი მდებარეობა არა დასავლეთ საქართველოში, არამედ ქართველთა ისტორიულ ქვეყანაში — სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. ამიტომაც, სტრაბონი არათუ ეწინააღმდეგება ქართულ წყაროებს დასავლეთ საქართველოსთან დაკავშირებით, არამედ განამტკიცებს კიდევ მათ“ (გვ. 105).

**დაბოლოს. ხაზგასმით გვსურს აღვნიშნოთ მეუფე ანანიას მოსაზრება — დასავლეთ საქართველოს ეკლესია კონსტანტინეპოლის იურისდიქციაში არასდროს ყოფილა და ოდითგანვე იყო ერთიანი საქართველოს ეკლესიის ორგანული და განუყოფელი ნაწილი. მისაღება და საჭიროა მისი მეცნიერული პოპულარიზაცია. ვფიქრობთ, მიზანშეწონილი იქნება ქართველ მხედველობაშია მისაღები, რომ თითოეული წიგნი 60–80 და მეტ თავახს მოიცავს. ეს კრებული ამ ნაშრომებში აღქრული და გაანალიზებული რუკები და სტატისტიკური მონაცემების დასავლეთ საქართველოს შესახებ, ეპიფანე კონსტანტინეპოლიელი (VIII ს.) ლაზიკის შესახებ, ეპიფანე კონსტანტინეპოლიელი (VIII ს.) ლაზიკის შესახებ და იმპერატორი იუსტინიანე (VI ს) ლაზიკის შესახებ.**

### კულტურული ინიციატივები და სათემო ხელოვნება

CAUCULT საერთაშორისო, ინტერკულტურული პროგრამაა, რომელიც ხელს უწყობს სამხრეთ კავკასიაში ადგილობრივ კულტურასთან დაკავშირებული ინიციატივების განხორციელებას ეთნიკური, რელიგიური და კულტურული მრავალფეროვნების განმტკიცების მიზნით.

ტრენინგის ორგანიზატორები არიან: „Interkulturelles Zentrum“ (ავსტრია), კულტურულ ურთიერთობათა ცენტრი „კავკასიური სახლი“ (საქართველო), მშვიდობისა და განვითარების აკადემია (საქართველო), ჰუმანიტარული ცენტრი „Yuva“ (აზერბაიჯანი), ინტერკულტურული კვლევის, სწავლისა და დიალოგის საერთაშორისო ცენტრი (სომხეთი), არაფორმალური განათლების ასოციაცია (ლიტვა).

სამცხე-ჯავახეთი ამ ქსელის ფარგლებში მოექცა კულ-



ტურული მემკვიდრეობის უნიკალური ძეგლების გამო, რათა კულტურული ინიციატივები უფრო მეტად იყოს წახალისებული.

ტრენინგი ჩატარდა პროექ-

ტის CAUCULT - ის, კავკასიის კულტურულ ინიციატივთა ქსელის ფარგლებში. პროექტი დაფინანსდა ევროკავშირის ალმოსავლეთ პარტნიორობის კულტურული პროგრამისა და

ავსტრიის თანამშრომლობის განვითარების ფონდის მიერ.

პროგრამით ვათვალისწინებულია მიმდინარე წლის სექტემბერში ვარძიაში ჩატარდეს ფესტივალი და სათემო ხელოვნების ყველა საჭირო რესურსი იქნას ჩართული, რაც ითვალისწინებს რეგიონის წარმოჩენას საერთაშორისო დონეზე. ღონისძიების მხარდამჭერია ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგებობის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური და ახალციხის ახალგაზრდული ცენტრი. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, კდანესებულბათა გაერთიანების ფოლკლორული ანსამბლები, ინდივიდუალური შემსრულებლები, სახელოვნებო სკოლები...

მარინა ჯინჭველაძე

### ეროვნულ მუზეუმში სტრუქტურული ცვლილებების აუცილებლობის შესახებ

დასაწყისი გვ. 6-7

წარმომადგენლობითი საბჭო უნდა გახდეს განვითარებული საზოგადოების საფუძვლიანი საფუძველი, რაც გამოიწვევს ცალკეულ თანამშრომლის მაღალ მოტივაციას და გაზრდის პასუხისმგებლობას.

საბჭო ვალდებული იქნება:

- ა) შექმნას მუზეუმის მიმდინარე სამოქმედო გეგმა;
- ბ) გაუწიოს კურატორობა პროგრამების შესრულებას;
- გ) დააგეგმოს დეპარტამენტების სამუშაო მიმართულებები და განახორციელოს ხარჯების კონტროლი.

მუზეუმს უნდა წარმართავდეს აღმასრულებელი მენეჯერი, რომელსაც არჩევენ სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა შემადგენლობიდან. იგი იმ შემთხვევაში გახდება ლეგიტიმური, თუ მას საბჭოს ორი მესამედი დაუჭერს მხარს. საბჭომ უნდა განკარგოს თანამშრომელთა ანაზღაურების წესი და განიხილოს, რამდენად მართებულია მუზეუმში პოლიტიკური ხელფასების არსებობის მართლზომიერება.

დანესებულებაში სამუზეუმო საქმის მიმართულების მკვეთრად გასაუმჯობესებლად და მართვის შემდგომი სრულყოფისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია სამი დეპარტამენტის შექმნა, რომელთაც ცალ-ცალკე უნდა გააჩნდეთ დარგობრივი მიმართულების მენეჯერი, სადისკუსიო საბჭო, მოქმედების დებულება და ყოველ კვარტალური სამუშაო გეგმა. ეს დეპარტამენტები უნდა იყოს: სამუზეუმო საქმის დეპარტამენტი; სამეცნიერო კვლევებისა და საგანმანათლებლო საქმის დეპარტამენტი; ფინანსურ-მატერიალური რესურსებისა და ადმინისტრირების დეპარტამენტი.

ახალი სტრუქტურული დანაყოფების (წარმომადგენლობითი საბჭო, დეპარტამენტები, მენეჯერი-განმკარგულებელი) სინქრონული მუშაობისა და, მათ შორის, წინააღმდეგობების დაძლევის გადასაჭრელად, მიგვაჩნია, ჩამოყალიბდეს მუზეუმის „სამეთვალყურეო საბჭო“, რომელიც გააკონტროლებს და აღმოფხვრის სტრუქტურულ შორის არსებულ წინააღმდეგობებს.

მუზეუმების გაერთიანების შესახებ უნდა აღინიშნოს, რომ იგი მუზეუმების მექანიკურ ერთობლიობას წარმოადგენს და მხოლოდ ქალაქდება დეკლარირებული. გაერთიანება არ ეფუძნება სწორ, პროფესიონალური მიმართულების მენეჯერს, რაც მართვის სისტემაში გარკვეულ კრიზისს იწვევს. ვვარაუდობთ, რომ მათი გაერთიანება ნაჩქარევი გადაწყვეტილება იყო, რამაც დააზარალა მასში შემავალი ყველა ინსტიტუტი. ჩვენ მომხრე ვართ მუზეუმების გაერთიანებისა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სწორი და მიზანმიმართული სამუზეუმო პოლიტიკის განხორციელების შემდეგ, ყველა პრობლემა საბოლოოდ გადაიჭრება. სამუზეუმო საქმის გამართულმა მუშაობამ მუზეუმებს ბუნებრივად უნდა გაუჩინოს კორპორაციული ერთობის სურვილი.

მუზეუმში სტრუქტურულმა ცვლილებებმა არ უნდა გამოიწვიოს საკადრო ცვლილებები. რეორგანიზაციის დროს უნდა შეინარჩუნონ დასაქმებულთათვის სტაბილური გარემო. რეფორმებმა ხელი უნდა შეუწყოს პრიორიტეტულ მიმართულებებში მაქსიმალური შედეგების მიღწევას.

ახალი სტრუქტურული ბადა უნდა გახდეს მუზეუმის ავტონომიური მართვის, ფინანსური და მოუკიდებლობისა და გამჭვირვალობის სრული გარანტი. ამასთანავე, სისტემურმა ცვლილებებმა უნდა განაპირობოს როგორც დანესებულების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება, ასევე ეროვნული მუზეუმის პროფესიული კადრების ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება. სხვა შემთხვევაში, რეფორმა ჩატარდება რეფორმისათვის და არა სამუზეუმო საქმის სრულყოფისათვის.

ნოდარ ახალკაცი, ეროვნული მუზეუმის ექსპერტი 28 მაისი, 2013 წ.

### სადსუქი ცოცხი

#### სიკვდილი

სიკვდილმა ჩამოიარა, არაფერია ხართ შინაო? ავდეგ და გადავეგებე, არც ეგრე შემეშინდაო. სუფრა გავშალე, არ დაჯდა, ბაზარში ჩავიარეო, ვაშკაცნი დაბრუნებულან, მათი დარჩევა მინდაო. არჩია, გამოარჩია, სამ დღის ნაქორწილ მინდაო, - სიკვდილო, ჯერეთ ნუ მომკლავ, ახალ ქალის პატრონსაო. სიკვდილსა ქრთამი ვაძლიე, ოქროს თასი და კულაო, არ დაიშალა, მე მომკლა, დაიდვა ჩემი ცოდვაო, მარცხენა გვერდი შემტაცა, იმ ხარებობის დღესაო, იმტელი ვეღარ მოვასწარ, რომ შევხვეწნოდი ღმერთსაო. ტირიან და მიტირებენ, ცრემლს დამაყრიან ბევრსაო, სამარის კარს მიმიყვანენ, წიგნს წამიკითხვენ გრძელსაო.

(ნამბობი ნინე შუშაბერიძისა და ჩანერილი მესხი კონსტანტინე გვარამაძისა-ბან. სოფელი ვარგავი, 1930-იანი წლები, ასპინძის რაიონი), გიორგი ლეონიძის სახელობის თბილისის მუზეუმი, №1997, 26493-6, 7

#### მიღმარა ხელმწიფე

მონასტრის იყო ხელმწიფე დიად დიდ ხმელეთზეა, სასახლე და სადარბაზე უდგა ოქროს სვეტებზეა. ღვედელმა კაცი გაუზგაზნა, დღეს მობრძანდი ლოცვაზეა. - რა ლოცვისა მენადვლება, ჯაფად ვდგვევარ საქმეზეა. ორასი მუშა მუშაობს, იმათ ვადგავარ თავზეა. გლახას მისცა სამი ფარა: დღეს შენ წადი საყდარზეა. გლახა წავიდა საყდარშია, ღვედელი იდგა წირვაზეა. ღმერთო, მონა დამამათე, მე დამისხენ ცოდვებისგან. იქნა ღმერთისა ბრძანება, მოკვდა მეორე დღეზეა. ცხრა ადგილს გასჭრეს საფლავი, არ უშვივებდა დედა-მინა.

შვიდ კეცი ჯაჭვით მიაბეს, გადაჰკიდეს ციხეზეა. ცოდვით გატყდა რკინის ჯაჭვი, ჩავარდება ადგილზეა. არცა მივა ყვავ-ყორანი, არ დაჯდება მის მხარზეა. ბედდენ (გალაგნის გარეთ გააგდეს), ყვავ-ყორანმა შეჭამა.

მისივე

#### დავითი და კონსტანტინე

დავითსთან ბატონი არ გამოსვლია გვარშია, ადგა და ქვეით ნაბრძანდა, დიდი ყვენის კარშია. ყვენს მონყალეა მისცა, ლაშქარი მისცა ხელშია, ადგა და წინ გამოუძღვა, ვით ორაგული ზღვაშია. დაიჭირეს კონსტანტინე, შემოხსნეს ოქროს ხმალია, ცხრაკლიტულს შიგნით შეაგდეს, წინ დაუჭედეს კარია, ზევით ხედავთ, ცა დაბნელდა, ქვეშ გააპო მინა მყარი, ზღვასა ცურვით გამოვიდა, ხმელეთს გადაავლო თვალთ, ყარაულიც დაუყენეს ათას სამას ენიჩარი.

მისივე

#### მილოცვა

გოგუცი, დილა მშვიდობის, მომილოცავს ყველიერი; გაის ამ დროს ყოფილიყო ქმრიანი და ბედნიერი. ერთი ფილარი მესტუმრა, პატარა და მშვენიერი, გიგზავნი და არ გაუწყლე, თუ გნამს ღმერთი სახიერი.

გიორგი ლეონიძის სახელობის თბილისის მუზეუმი, №1997, ფ 26493-6, 7; ჩანერილია კონსტანტინე გვარამაძის მიერ, 1930-იანი წლები.

#### წაწყვეტნი

1. დედაჩემო, გამათხოვე, რას მიყურებ, რასაო. ქმარსა ლაშქარში წაყვეცი, მოვიწონებ თავსაო.

2. დავბრუნდი და დავტრიალდი, როგორც წისქვილის ჯარაო! დედამ რომ შვილი გაზარდოს, ე, მაგრე შენისთანაო.
3. მინდა გაქო და გადილო, ეგებ ცოტა შემობრლო! შევნიერებით სავსე ხარ, ბროლის გულო, ალმის ნარო, შენი ცალი არ გამოვა, ამ ქვეყნებისა თვალთ!
4. მაღლა მთაშია ყინული აპირობს ჩამოდნობას! რა გინდ რო გყავდეს მიჯნური, ვერ გიზამს ჩემოდნობასა.
5. სანყალსა კაცსა ვინ მისცა ალების ღამეს ღვინოსა, პური ჭამოს და წყალი სოს, დანვეს და დაიძინოსა.
6. ლამაზ ქალი იკვებნიდა, ჩვენში ყველიერია, ჩემი ლამაზი ქმარი, ყველაზე გემრიელია.
7. ლამაზო და შვენიერო, ღვინოს ფერო, მდინარეო, მე რომ შენკენ წამოვივდი, თავი მოიმძინარეო.
8. დაღონებულვარ სიკვდილსა, დაბნელებასა მზისასა. ტოლების მოშორებასა სიმძიმის სიპის ქვისასა.
9. ქალტი როდია ქართველი, ქართლისა შარა გზასაო, დავეყარე წერილი ობლები, ვერ გამოვრეკე ზღვასაო.
10. ასნიე მძიმე მძიმესა, სუბუქი რალა მეტია, თუ კაცი კაცსა ვერ იცნობს, სიკვდილზე გადამეტია.

(ივანე მინანძის ნამბობი და ჩანერილი მესხის კონსტანტინე გვარამაძისაბან, სოფელი ხიზაბაგრა). გიორგი ლეონიძის სახელობის მუზეუმი.

**დაგფუქნებლები:** შოთა რუსთაველის სახალხო მუზეუმის აღორძინების რესპუბლიკური ფონდის სახელით და კერძო პირის სტატუსით ავთანდილ ბერიძე;

საქართველოს მწერალთა კავშირის სამცხე-ჯავახეთის რეგიონული განყოფილება;

ა(ა)იპ-ი ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

გაზეთი რეგისტრირებულია ასპინძის რაიონის სასამართლოს მიერ 1998 წლის 15 ოქტომბერს. სარეგისტრაციო № 19/4-17

გაზეთი ადრე და დაკაბადონდა „კომორ-პრინტში“ მისამართი: ქ. თბილისი, საბურთალოს 43ა ტელ: 2-93-27-66

რედაქტორი ავთანდილ ბერიძე სარედაქციო საბჭო: მერაბ ბერიძე, დურმიშხან ბერიძე, რამაზ ბერაძე, სერგო მელიქიძე (პასუხისმგებელი მდივანი), ვახტანგ ინაური

გაზეთი დაიბეჭდა შ.პ.ს. „საარის“ სტამბაში. მისამართი: ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის 57. ტელ: 94-14-32

რედაქციის მისამართი: 0500, დაბა ასპინძა, თამარის ქ. № 3, ტელეფონები: მთავარი რედაქტორის: 599 97 95 24, პასუხისმგებელი მდივნის - 599 23 35 84; lit\_meskheta@yahoo.com

ქ. თბილისში გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ შექმნა შეგიძლიათ თავისუფლების მოედანზე - ალ. პუშკინის ქუჩა №5-ის წინ, საქართველოს რაიონებში - „საქპრესის“ ჯიხურებში